http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

რა მოგვიტანა „ვარდების რევოლუციამ“?

ახალი ეპოქა

უნივერსიტეტი

5 დეკემბერი, პარასკევი, 2008 წ. №14 (2081)

თსუ-ში ბოლონიის პროცესის 2007-2009 წლების სამუშაო პროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა

27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროსაბჭოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ბოლონიის პროცესის 2007-2009 წლების სამუშაო პროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის თემა იყო „ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების ურთიერთშესაბამისობა – თვითსერტიფიცირების პრინციპები“, მასში 22 ქვეყნის 150-მდე დელეგატი მონაწილეობდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წლის ბერგენის კონფერენციაზე მიუერთდა. უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების სხვადასხვა ეტაპის გავლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავების საკითხი, რაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად აუცილებელი ელემენტია.

მაია ტორაძე

რას გულისხმობს კვალიფიკაციის ჩარჩო? ეს არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების სისტემატიზაციისა და სწავლის შედეგების საფუძველზე მიღებული კრიტერიუმები, რომელიც გასაგებია, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ანუ, მარტივი ენით რომ ვთქვათ, ამ ჩარჩოების შემუშავების და თვითსერტიფიცირების პროცესის გავლის შემდეგ ერთიან ევროპულ სივრცეში მოხდება ბოლონიის პროცესთან მიერთებული ქვეყნების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების დიპლომების აღიარება, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს დასაქმებასა და მობილობას ევროკავშირის ტერიტორიაზე.

კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებისა და თვითსერტიფიცირების პროცესი უკვე დაწყებულია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ოფიციალური დოკუმენტი „საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო“ (სამუშაო ვერსია), რომელიც ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია. მასში მითითებულია, რომ „ჩარჩო ადგენს საფეხურების/დონეების საერთო ათვლის წერტილებს; აღწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ლოგიკურ ურთიერთკავშირებს; ხელს უწყობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და კვალიფიკაციების აღიარებას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით; უზრუნველყოფს კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და გაგებას“.

ამდენად, კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავება და ბოლონიის პროცესში ჩართული ქვეყნების მიერ გაცემული დიპლომების აღიარება ამ ქვეყნების საერთო მიზანია და ერთნაირად ჯდება როგორც სტუდენტებისა და სპეციალისტების, ასევე დამსაქმებლების ინტერესში. საკითხის განხილვა დაწყებულია და უკვე იმ ეტაპზეა, როცა ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნები, თავიანთი გამოცდილების გაზიარებისა და ეროვნული განათლების თავისებურებების გათვალისწინებით, ბოლონიის სამდივნოსთვის რეკომენდაციებს იძლევიან.

27 ნოემბერს გამართული კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია, რომელმაც იმ წარმატებულ ნაბიჯებზე ისაუბრა, რაც საქართველომ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით გადადგა. საუბარი შეეხებოდა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შემოღებას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის დანერგვას, უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდას, სტუდენტური სესხებისა და გრანტების შემოღებას, უმაღლეს სასწავლებლებში განათლებისა და კვლევის ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოს საერთაშორისო დონეზე განხილვა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ დოკუმენტის საშუალებით მოხდება ხარისხის სისტემის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გამარტივება, გაიზრდება კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებიც. ბატონმა გია ნოდიამ მადლობა გადაუხადა ევროსაბჭოს წარმომადგენლებს საქართველოს მიმართ გაწეული დახმარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებს წარმატებული სამუშაო დღეები უსურვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ. მან ყურადღება გაამახვილა ჩვენი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და ამ კონტექსტში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგების აუცილებლობაზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც თავის გამოსვლაში გამოკვეთა კონფერენციის საერთაშორისო მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია დიდ წვლილს შეიტანს კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავებაში. „ის ფაქტი, რომ ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ კონფერენციაზე 22 ქვეყნის წარმომადგენელი მსჯელობს პროფესიათა ეროვნული ჩარჩოების და თვითსერტიფიცირების სტანდარტების თავსებადობის შესახებ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ეს არა მარტო ქართული საუნივერსიტეტო განათლების რეფორმირების პროცესში, არამედ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და ასევე ბოლონიის პროცესის პრინციპების შესაბამისად გარდაქმნის მიმართულებით.

მე-2 გვერდზე

უნივერსიტეტის პანთეონში ნიკო ცხვედაძის ნეშტი გადმოასვენეს

26 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (გიმნაზიის) მშენებლობის ინიციატორისა და ორგანიზატორის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ნიკო ცხვედაძის ნეშტი დაკრძალეს. გადმოსვენების ცერემონიას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა უამრავი ადამიანი დაესწრო, მათ შორის: საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსი მეუფე თეოდორე, დედაქალაქის მერის მოადგილე ნიკო ხაჩირიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, პარლამენტარი გიგი წერეთელი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, ისტორიკოსი კოტე ჩოლოყაშვილი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ცერემონიალზე დასასწრებად მოსკოვიდან სპეციალურად ჩამობრძანდა ნიკო ცხვედაძის შთამომავალი ნიკო გამყრელიძე.

შურთხია გეროშვილი

როგორც ცნობილია, ნიკო ცხვედაძემ 1879 წელს თბილისში დააარსა პირველი ქართული სკოლა, რომელიც 1899-1900 წელს ქართულ გიმნაზიად ჩამოყალიბდა. 1897 წელს ნიკო ცხვედაძემ გიმნაზიისთვის საკუთარი შენობა მოითხოვა, რისთვისაც 1898 წელს, ქალაქის განაპირას, ვერაზე, ვარაზის ხევის გადაღმა 6 ჰექტარი მიწა შეიძინა. შენობის ასაგები თანხა უშუალოდ ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით შეგროვდა. დაფინანსებაში აქტიურად მონაწილეობდა საადგილმამულო ბანკი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. შენობის აგება 1906 წელს დასრულდა. 1918 წლის 26 იანვარს კი გიმნაზიის შენობაში პირველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. ნიკო ცხვედაძე მის მიერ აგებულ შენობაში უნივერსიტეტის გახსნას ვერ მოესწრო. იგი 1911 წელს გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

მე-3 გვერდზე

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამარჯვება ამერიკის იდეოლოგიური წარუმატებლობა იქნება
მე-5 გვერდზე

აგრესორის დიპლომატია
მე-6-7 გვ.

პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ შვეიცარიაში აგვისტოს მოვლენებზე საჯარო ლექციები წაიკითხა
მე-8 გვერდზე

თსუ-ში ბრიტანეთის საბჭოს გიბლიოთეკა გაიხსნა
მე-8 გვერდზე

უნივერსიტეტში სკოლიდან არასაკმარისი განათლების მქონე ახალგაზრდები მოდიან
მე-10 გვერდზე

„ქართული პუბლიცისტიკა“ — წიგნი, რომელიც ყველა თაობას გამოადგება!
მე-14 გვერდზე

ხშირად დასმული შეკითხვები

? ***– ჩვენს ფაკულტეტზე სასწავლო პროცესისთვის საჭირო უცხოურ ლიტერატურას ქართულ ენაზე ლექტორები თარგმნიან. რამდენად უწყობს უნივერსიტეტი ხელს ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის გამოცემას?***

ნინო შანიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

თათია ებრალიძე, უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი:

— ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ მშობლიურ ენაზე თარგმნილი წიგნების გამოცემით. თსუ-ის გამომცემლობამ, თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, არაერთი ნათარგმნი სასწავლო წიგნი გამოსცა. სულ ახლახან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის გამოვეცით თამაზ გამყრელიძის „ენათმეცნიერების შესავალი“. ეს საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდება. მაგალითად, ფსიქოლოგიის მიმართულებაზე ითარგმნა ძალიან პოპულარული წიგნი „ზიმბარდოს ფსიქოლოგია“, რომელიც მეორე სემესტრის დასაწყისისთვის გამოიცემა. ასევე, უახლოეს მომავალში ვგეგმავთ გამოვცეთ კისის „სოციოლოგია“, რომლის თარგმანს ჩვენ გავუკეთეთ რედაქტირება და დასაბეჭდად გავამზადეთ. სასწავლო წლის ბოლომდე აუცილებლად გამოვცემთ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოს. ამჟამად, სამედიცინო ფაკულტეტისთვის ითარგმნება ჰარისონის „შინაგანი სნეულებანი“, „გაეტონის ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელო. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ფაკუტეტებისგან ველოდებით კარგ თარგმანებს — სწორედ ეს არის ჩვენი დაინტერესების მთავარი საგანი.

? ***– არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ სასემინარო მეცადინეობა უფრო ადრე დაიწყოს? ვინაიდან, ერთი თვის თავზე საკმაოდ ბევრი მასალა გვიგროვდება, რაც პრობლემებს გვიქმნის.***

თამთა გულდადავა, იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

დავით ბოსტოღანაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— მოგახსენებთ, რომ მისაღები გამოცდების შედეგების გვიან გამოცხადების გამო ცხრილების ფორმირება დაგვიანდა, რამაც სასემინარო მეცადინეობის გადატანა გამოიწვია. შემდეგი სემესტრისთვის ეს პრობლემა აღარ გვექნება და სემინარები გაცილებით ადრე დაიწყება, ვიდრე სასწავლო წლის პირველ ნაწილში.

? ***– შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიტოლოგებს ჩვენი საკუთარი კომპიუტერული რესურს-ცენტრი გაგვიკეთონ?***

სოფო აბრამიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი:

შოთა მინდელი, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე:

— ცალკე ფაკულტეტებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული რესურს-ცენტრები არ არსებობს. ყველა სტუდენტს და პროფესორ-მასწავლებელს შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ყველა რესურს-ცენტრით სარგებლობა. შეიძლება, ამ ეტაპზე, კომპიუტერების ნაკლებობაა, მაგრამ სტუდენტებს ვპირდებით, რომ უახლოეს მომავალში უნივერსიტეტის მეორე კორპუსში არსებულ რესურს-ცენტრს დაახლოებით 75 კომპიუტერი კიდევ შეემატება. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ კომპიუტერებით სარგებლობა ყველას შეეძლება. თუ მაღლივ კორპუსში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მოხვდება, საჭიროების შემთხვევაში მას იქ არსებული რესურს-ცენტრით სარგებლობის საშუალება ჩვეულებრივად ექნება.

თსუ-ში ბოლონიის პროცესის 2007-2009 წლების სამუშაო პროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა

პირველი გვერდიდან

სიმბოლურია ისიც, რომ სწორედ პირველი ქართული უნივერსიტეტი მასპინძლობს ასეთ ღონისძიებას. ჩვენთან საუნივერსიტეტო განათლების სისტემა მივიდა იმ კონდიციამდე, რომ შეგვიძლია უფრო მეტი აქცენტი გავაკეთოთ წმინდა შინაარსობრივ ასპექტებზე, სასწავლო პროგრამებზე, სწავლების მეთოდებზე. ჩვენ გავიარეთ და დავაკმაყოფილეთ ბოლონიის პროცესის ბევრი ფორმალური მოთხოვნა და კრიტერიუმი. ახლა იწყება ეტაპი, როცა ძირითადი მუშაობა უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესის, მათი შინაარსის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებისთვის და გამოიკვეთოს ის თავსებადობა, რაც აუცილებელია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებსა და ბოლონიის პროცესში ჩართული სხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებს შორის“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით წარსდგა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, რომელმაც მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მომხდარი ცვლილებები, სასწავლო პროცესის ბოლონიის პროცესთან თავსებადობა, სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლებისა და პროფესიული უმაღლესი განათლების თავისებურებები.

მოხსენებაში საუბარი იყო, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ ახლად მიღებულმა კანონმა, ერთი მხრივ, დემოკრატიულობის, გამჭვირვალობისა და თანამედროვე კონკურენტულობის მოთხოვნების ერთიან პრინციპებზე დააფუძნა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, კანონიერების ჩარჩოში მოაქცია მათი მოქმედება და მოქმედების სრული ავტონომია მიანიჭა.

მომხსენებელმა ასევე გამოკვეთა „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან და აღნიშნა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლების ავტონომიურობა გამოიხატება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და სტუდენტური თვითმმართველობის არსებობაში. ამავე კანონის მიხედვით უზრუნველყოფილია ფაკულტეტების ავტონომიაც — ფაკულტეტის საბჭო ირჩევს დეკანს, წარმომადგენლობითი საბჭო ირჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხოლო აკადემიური საბჭო — რექტორს. სახელმწიფო თავის თავზე იღებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და მხოლოდ და მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს აღიარებს (დღეს საქართველოში არის 53 აკრედიტებული და 200-ზე მეტი არააკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი).

მოხსენებაში ხაზგასმით ითქვა, ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მნიშვნელობაზე. იგი ცენტრალიზებული, ობიექტური და თანაბარი კონკურენციის პრინციპის დაცვით ტარდება. შემოღებულია სოციალური გრანტების სისტემა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსების პრინციპი — ის, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე საუკეთესო შედეგს აჩვენებს, 100, 70, 50, 30 პროცენტიან გრანტს იღებს. ყველას შეუძლია ისარგებლოს სტუდენტური სესხებით.

ნოდარ სურგულაძემ მკაფიო სურათი აჩვენა, თუ რა მიმართებაშია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ბოლონიის პროცესთან. „საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს მიუერთდა და რეფორმირების პერიოდში სერიოზული ნაბიჯები გადადგა. ძირითადი მიღწევებია სამსაფეხურიანი სწავლება და კრედიტების სისტემის დანერგვა. ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულოა ECTS კრედიტების სისტემის გამოყენება, 2005 წლიდან გაიცემა დიპლომის დანართი ორ ენაზე — ქართულად და ინგლისურად.

განხორციელდა ორი ინსტიტუციური აკრედიტაცია, ხოლო 2011 წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველვყოთ პროგრამული აკრედიტაცია, რომლის გარეშეც ბოლონიის პროცესთან რეალური მიერთება წარმოუდგენელია“, — განაცხადა ნოდარ სურგულაძემ.

მოხსენების შემდეგი ნაწილი დაეთმო საქართველოს მიმართებას „თიუნინგის“ პროგრამასთან. როგორც მან აღნიშნა, პროექტის „თიუნინგი-ევროპა“ კოორდინატორებთან ერთად იწყება პროექტი „თიუნინგი-საქართველო“, რომლის მიზანია 10 დარგობრივი მიმართულებით ათვლის წერტილების შემუშავება და მის საფუძველზე კურიკულუმების გადამუშავება. ეს მიმართულებებია: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ევროპისმცოდნეობა, ბიზნესადმინისტრირება, საექიმო საქმე, სამოქალაქო მშენებლობა, განათლების მეცნიერებები.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოების შემუშავებას, მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველოში მოსამზადებელი პერიოდი 2006 წელს დაიწყო. ამ პროექტს ეროვნული და საერთაშორისო დანიშნულება აქვს — უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო წარმოადგენს მნიშვნელოვან ათვლის წერტილს სწავლის შედეგზე დაფუძნებული კურიკულუმის შესამუშავებლად და განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. „ეს ჩარჩო საშუალებას იძლევა, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიერ გაცემული კვალიფიკაციები გასაგები იყოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. კვალიფიკაციების გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს მათ აღიარებას საერთაშორისო დონეზე“, — ითქვა მოხსენებაში.

რა არის კვალიფიკაციების ჩარჩოების ჩამოყალიბების რეალური საფუძველი? 1) ეს არის ბოლონიის პროცესი; 2) ცვლილებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში; 3) პასუხისმგებლობა კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებაზე; 4) ჩარჩოს დამტკიცება; 5) კვალიფიკაციის ჩარჩოს თვითსერტიფიცირება, რომელიც 2010 წლისათვის უნდა განხორციელდეს.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავების პროცესში თანამშრომლობს ექსპერტებთან და ყველა დაინტერესებულ პირთან. ჩარჩოს შემუშავება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კურიკულუმის პროგრამის ფარგლებში. 2007 წელს მუშაობა დაიწყო კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებაზე – მოწვეული იქნა ექსპერტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, განისაზღვრა ჩარჩოს მიზანი და ძირითადი შემადგენელი ელემენტები.

2008 წლიდან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს კვალიფიკაციის ჩარჩოს განხილვები. ჩარჩოს დამტკიცება, ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2009 წელშია დაგეგმილი“.

ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავების მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, უმაღლესი სასწავლებლების კურიკულუმების განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა ლალი ბაქრაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩარჩოს შემუშავების მიზანია არსებული კვალიფიკაციის გაადვილება საზოგადოებისთვის – აბიტურიენტისთვის, მისი მშობლისთვის, სტუდენტისთვის, დამსაქმებლისთვის და ა.შ. ამისთვის საჭიროა ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებს შორის კავშირი) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში, რაც წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც ათვლის წერტილი უნდა გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისთვის.

„საქართველოში ძალიან ხშირად დამდგარა საკითხი კვალიფიკაციების აღიარების პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქართველ სტუდენტებს ჰქონიათ პრობლემა, როცა საქართველოში მიღებული კვალიფიკაციის (ექიმის, პედაგოგის სხვა სპეციალობების დიპლომების) დამტკიცება საზღვარგარეთ გაუჭირდათ. მათ ან თავიდან მოუწიათ კურსების გავლა, ან საერთოდ არ ჩაუთვალეს მიღებული სპეციალობა. ეს პრობლემას ქმნის დასაქმების კუთხითაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კვალიფიკაციების ჩარჩოს შექმნა — შემუშავდეს ისეთი დოკუმენტი, სადაც ყველა ქვეყნისთვის გასაგებად იქნება ჩამოყალიბებული, თუ რა კვალიფიკაციებს გასცემს ქვეყანა, რის შემდეგაც მოხდება მისი აღიარება. იმისათვის, რომ ამ ჩარჩოს ჰქონდეს ძალა, თვითსერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს. სწორედ თვითსერტიფიცირება ახდენს ეროვნული და ევროპული კრიტერიუმებისა და ჩარჩოების შედარებას.

კონფერენცია თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ეს პირველი ოფიციალური კონფერენციაა ბოლონიის პროცესის კონტექსტში. ეს საკითხები აქამდე არც ერთ სემინარსა და კონფერენციაზე არ განხილულა, რაც პირდაპირ გვავალდებულებს, შევიმუშაოთ რეკომენდაციები, რომელსაც ბოლონიის სამდივნო განიხილავს“, — განაცხადა ლალი ბაქრაძემ ჩვენთან საუბარში.

კონფერენციაზე თავიანთი ქვეყნების გამოცდილებაზე ისაუბრეს ირლანდიის, ნიდერლანდების, ავსტრიის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მონაწილეებს საინტერესო მოსაზრებები გაუზიარა ევროკავშირის წარმომადგენელმა კარლო სკატოლიმ, რომელმაც გარკვეული რეკომენდაციები ჩამოაყალიბა და განაცხადა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოები განხილული უნდა იქნეს, როგორც ეროვნული, ასევე საერთო ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით. „არსებობს განსხვავებები ერებსა და მათ სასწავლო პროგრამებს შორის და ამიტომ ჩარჩო უნდა განისაზღვროს სწავლების შედეგების პრინციპების მიხედვით. უმაღლესი განათლების ჩარჩო მიზნად ისახავს კვალიფიკაციის აღიარებას საერთო ევროპულ სივრცეში, რასაც სხვადასხვა დირექტივა არეგულირებს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომა შეიძლება იყოს მაგალითად, კოოპერაციაზე და ან ქვესისტემაზე, ან ინტეგრირების პროცესზე, შესაბამისად, ადგილობრივმა სტრუქტურებმა თავად უნდა განსაზღვრონ, რა არჩევანს გააკეთებენ კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავებისას. აქცენტი უნდა გაკეთდეს სწავლების შედეგებზე, მაგრამ, ამავდროულად, საჭიროა ნაციონალური კვალიფიკაციები ევროპის კვალიფიკაციის დონეებთან იყოს მჭიდრო კავშირში.

კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების და თვითსერტიფიცირების პროცესში შეგვიძლია ახალი ელემენტების დამატება. შეჯერებული რეკომენდაციები გადაეცემა ბოლონიის საკოორდინაციო ჯგუფს განხილვისათვის.

მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სირთულეები არ დავმალოთ და განვიხილოთ — რა არის დადებითი, რომელი ქვეყნის გამოცდილების გაზიარებაა შესაძლებელი. უნდა ვიპოვოთ პრობლემის გადაწყვეტის საერთო გზა“, — განაცხადა კარლო სკატოლიმ.

ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვერა სტასნამ საინტერესო წინადადებები დააყენა კონფერენციის მსვლელობისას. მან ჩვენთან საუბარში მნიშვნელოვანი უწოდა კონფერენციას და განაცხადა, რომ ეროვნული და საერთაშორისო კვალიფიკაციის ჩარჩოების განხილვა ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურების, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო სფეროსთვის. „ეს კონფერენცია უნდა დაეხმაროს ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებს იმ კუთხით, რომ სხვებს გამოცდილება გაუზიარონ და თავადაც გაითვალისწინონ საკუთარი რეკომენდაციები. ეს იყო წარმატებული კონფერენცია, რომელზეც სამუშაო ჯგუფმა მიიღო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც ბოლონიის სამდივნოში განიხილება. რამდენად გაითვალისწინებენ მათ, ამას შემდგომი პროცესები გვაჩვენებს. ერთი რამ ვიცი – ბოლონიის შემდგომი კონფერენცია გაიმართება ჩეხეთში და სასურველია, რომ აქ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება შევძლოთ", — განაცხადა ვერ სტასნამ.

ჩვენს კითხვაზე, თუ რას ითვალისწინებს უფრო კონკრეტულად ეს რეკომენდაციები, ქალბატონმა სტასნამ აღნიშნა, რომ იგი, ძირითადად, ითვალისწინებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოების დეტალების დაზუსტებასა და რჩევებს იმ სახელმწიფო სტრუქტურების მისამართით, რომლებიც ბოლონიის პროცესში ქვეყნის ჩართულობას ხელმძღვანელობენ. ამ რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები და სტუდენტები, ისევე როგორც ყველა სათანადო სტრუქტურა, აქტიურად უნდა ჩაერთონ ჩარჩოს შემუშავების პროცესში. აუცილებელი პირობა გახლავთ ისიც, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის და დამსაქმებლებისთვის, რათა ამ საკითხებთან დაკავშირებით ნაკლები კითხვა გაუჩნდეთ.

კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის მიერ და, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია, იგი ბოლონიის მინისტრების კომუნიკეშიც აისახოს.

უნივერსიტეტის პანთეონში ნიკო ცხვედაძის ნეშტი გადმოასვენეს

პირველი გვერდიდან

შემოდგომის ქრიზანთემებით შეიმკო ილია ჭავჭავაძის მიერ „აღმაშენებლად“ წოდებული საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხვედაძის ახალი ძვალთშესალაგი, რომელმაც უნივერსიტეტის ეზოს შემოსასვლელში დაიდო ბინა.

პანაშვიდი წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა კახაბერმა გადაიხადა, რის შემდეგაც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ სამგლოვიარო პანაშვიდი გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა.

თავის გამოსვლაში უნივერსიტეტის რექტორმა შენობის აგების ისტორია გაიხსენა და აღნიშნა, რომ 2008 წლის 26 ნოემბერს ქართული საზოგადოება ისტორიული ფაქტის თანაზიარი გახდა — უნივერსიტეტის მშენებლობის მთავარი ორგანიზატორის ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენებით ქართულმა საზოგადოებამ ამ პიროვნების მიმართ მადლიერება და პატივისცემა გამოხატა. მისი თქმით, უნივერსიტეტის შენობის საძირკველს საფუძველი სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს ჩაეყარა, რაც სიმბოლურად დაუკავშირდა საქართველოს აღმშენებლობის იდეას.

„პირველი ქართული უნივერსიტეტის მშენებლობის მთავარი ორგანიზოტორის ნიკო ცხვედაძის ნეშტის უნივერსიტეტის პანთეონში გადმოსვენებით ისტორიული სამართლიანობა აღდგა. დღეს მისი ცხედარი უნივერსიტეტთან უფრო ახლოს არის, რაც სრულიად ლოგიკურია.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს უნივერსიტეტის მშენებლობა მხოლოდ ფინანსურ პრობლემებთან არ იყო დაკავშირებული. ბატონი ნიკო საადგილმამულო ბანკთან ერთად აქტიურად ჩაერთო თანხების მოძიების პროცესში. ამისთვის მას დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ საგანმანათლებლო შენობის მშენებლობაზე უფრო აქტუალური სხვა პრობლემები იყო. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მან შეძლო ამ საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანა“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

უნივერსიტეტის რექტორმა სიამაყით აღნიშნა, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის არქიტექტურა თავისი აკადემიურობითა და სინატიფით დღესაც აოცებს და აღტაცებაში მოჰყავს არა მარტო ქართველობა, არამედ ბევრი უცხოელი სტუმარიც.

ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენების ორგანიზებისთვის გიორგი ხუბუამ მადლობა გადაუხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და დედაქალაქის მერიას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ დამსწრე საზოგადოებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა–კურთხევა გადასცა.

„ბატონმა ნიკომ ჩვენი ქვეყნისთვის, ერისთვის, სულიერი მემკვიდრეობისთვის მართლაც უზარმაზარი საქმე გააკეთა. მისი ფიქრი და გონება ამ შენობის აგების იდეას ემსახურებოდა. მრავალი თაობა აღიზარდა ამ კედლებში, რომლებიც დღესაც ჩვენი სულიერების, მეცნიერების გაძლიერებას ემსახურებიან“, — განაცხადა მეუფე თეოდორემ.

პარლამენტარმა გიგი წერეთელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრ საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი და ამის დასტურია ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენებაც, რომელიც სიმბოლურად უნივერსიტეტის 90 წლისთავს დაემთხვა. „მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ასეთი პიროვნებების შესახებ, რათა ჯეროვანი პატივი მიაგონ მათ ხსოვნას“, — აღნიშნა გიგი წერეთელმა.

ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენებას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეც დაესწრო და ამ ფაქტის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

„ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისი დაკრძალვა ამ უნივერსიტეტის დამაარსებელთა და გამოჩენილ ქართველ საუნივერსიტეტო მოღვაწეთა შორის, ქართული მეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ისტორიული აქტია.

პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „მკვდრეთით აღდგა“ უძველესი ქართული მეცნიერება და განათლება. ამასთანავე, ჩვენი უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, პირველი არარუსულენოვანი უნივერსიტეტი იყო მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში... და ყოველივე ეს შეამზადა ნიკო ცხვედაძემ იმ დროისათვის ასეთი გრანდიოზული შენობის აგებით — მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის შემოწირულობებითა და თანადგომით. ამ ნაგებობის მშენებლობის დაწყებისას ყველამ კარგად იცოდა, რომ იგი შენდებოდა სწორედ მომავალი ქართული უნივერსიტეტისთვის.

ამიტომ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ნიკო ცხვედაძე განისვენებდეს ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელთა გვერდით და ეს სამართლიანობა სწორედ დღეს ხორციელდება.

ამიერიდან ნიკო ცხვედაძე პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის განისვენებს, უნივერსიტეტისა, რომელიც სამუდამოდ დარჩება გასული საუკუნის დასაწყისში აღორძინებული ჩვენი ქართული მეცნიერების, კულტურისა და განათლების მატიანედ, მთელი თავისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით...“ — განაცხადა თამაზ გამყრელიძემ.

როგორც აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ნიკო ცხვედაძე მანამდეც საპატიო ადგილზე იყო დაკრძალული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ნეშტის აქ გადმოსვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც უნივერსიტეტის რექტორისა და თბილისის მერიის ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

„დღეს უნივერსიტეტი თავისი განვითარების ახალ ეტაპზეა. მას ბევრი სირთულის გადალახვა უწევს. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ამ ტერიტორიის მიწა-წყლის შეძენა და მშენებლობის დაწყება ნიკო ცხვედაძის დამსახურებაა. მაშინდელმა ხელისუფლებამ არ იცოდა, რისთვის შენდებოდა ეს შენობა. როდესაც ნიკო ცხვედაძეს ერთმა მაღალჩინოსანმა ჰკითხა, რა საჭირო იყო გიმნაზიისთვის ამხელა ნაგებობა, მან გარკვევით უპასუხა: — ეს ხომ ილია ჭავჭავაძის გეგმაა და აქ, ალბათ, მომავალში ბინას ქართული უნივერსიტეტი დაიდებსო. იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ეს მომავალ თაობას სჭირდებოდა. ჩვენი მოვალეობაც ეს არის, რომ მოვუფრთხილდეთ და პატივი მივაგოთ წინაპართა ხსოვნას“, — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ნიკო ცხვედაძის ნეშტის გადმოსვენებას უნივერსიტეტის პანთეონში ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ, მათ შორის, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც პირველი ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ბატონი რეზოს აზრით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მნიშვნელობით მხოლოდ ქართულ ეკლესიას თუ შეედრება.

„ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობა — ეს არის მოღვაწეობა ნაციონალური გმირისა. სწორედ ასეთი გმირების წყალობით ვარსებობთ, თორემ პატარა ერი ვართ და აქამდე აგრესორები გაგვსრესდნენ. ეს არ მომხდარა და არც მომავალში მოხდება, თუნდაც იმიტომ, რომ უნივერსიტეტი არსებობს. საზოგადოების ყურადღება ყოველთვის მოპყრობილია უნივერსიტეტისკენ და ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში ყოველთვის ისმის კითხვა: — რას იტყვის უნივერსიტეტი?! ეს კი იმ დიდი მამულიშვილების დამსახურებაა, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ.

ამიერიდან, უნივერსიტეტში შემოსული ადამიანი, პირველად, ნიკო ცხვედაძის გვარს წაიკითხავს. უზარმაზარი ჭკუა, გონება და სულია აქ შენახული, საიდანაც ეს ცეცხლი მოდის. ვფიქრობ, რომ ის ძალა, რომელმაც საქართველოს ბედი უნდა წარმართოს და გზაზე დააყენოს, დღევანდელი გაჭირვებიდან, დამღუპველი სიჭრელიდან გამოგვიყვანოს — ეს არის ქართული ეკლესია და უნივერსიტეტი. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის დამაარსებელი ამ შესანიშნავ ბაღში გადმოვასვენეთ, რომლის ტოლი პანთეონი მხოლოდ მთაწმინდაზეა,“ — აღნიშნა რეზო ჩხეიძემ.

უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით დამსწრე საზოგადოებას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი თეონა ლავრელაშვილიც მიესალმა:

„ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ბატონი ნიკოს ნეშტის დასვენებას უნივერსიტეტის დამაარსებლების — ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, პეტრე მელიქიშვილის და სხვა მოღვაწეთა გვერდით. ვალერიან გაფრინდაშვილმა ნიკო ცხვედაძეს ლექსიც კი მიუძღვნა, რომელიც ასე მთავრდება: „უნივერსიტეტს როცა ვხედავ ასე მგონია, რომ შენს ბეჭებზე აღმართულა მისი კედლები“.

ვულოცავ ქართულ საზოგადოებას, სტუდენტობას ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, მოგილოცავთ ყველას და გეტყვით, რომ ჩვენ უფრო დიდი სულისკვეთებით ვაგრძელებთ იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ქვეყანამ დაგვაკისრა, ვაგრძელებთ ბრძოლას უკეთესი მომავლისთვის ჩვენი ნიჭით, ენერგიითა და გამბედაობით, რამეთუ ივანე ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, სულ სხვაა უნივერსიტეტი“, — აღნიშნა თეონა ლავრელაშვილმა.

შეხვედრის დასასრულს უნივერსიტეტში შეკრებილ საზოგადოებას ნიკო ცხვედაძის შთამომავალმა ნიკო გამყრელიძემაც მიმართა.

„გამორჩეული დღე, თურმე, იმ ქვეყნად წასულებისთვისაც არსებობს. ჩემს მაგიდასთან ნიკოს ორი სურათი მიდევს: ერთში მას მკაცრი გამომეტყველება აქვს, მეორეში მომღიმარია. დღეს, როდესაც აქ მოვდიოდი და გამოსასვლელ სიტყვას ვამზადებდი, იგი თითქოს განსაკუთრებით მიღიმოდა.

ბატონი ნიკო „აღმაშენებლად“ იყო წოდებული ილია ჭავჭავაძის მიერ. დიდი, ტიტანური შრომა დასჭირდა ამ შენობის აგებას. ეს არ იყო მხოლოდ შენობა, სინამდვილეში ეს იყო ნაპერწკლის გაღვივების მცდელობა და დასტური, რომ აქ დანთებული ცეცხლი არასდროს ჩაქრება. მინდა ჩემი გამოსვლა დავამთავრო პატარა წერილით, რომელიც ჩემს ოჯახში ინახება. ეს არის უცნობი დედის წერილი, სადაც იგი წერს: „მე ჩემი შვილისგან ერთი ჯვარი დამრჩა და მინდა უნივერსიტეტს შევწიროო“. იმედი მაქვს, რომ ის ჯვარი, რომელიც მან ქართულ უნივერსიტეტს უძღვნა, აუცილებლად გამობრწყინდება“, — განაცხადა ნიკო გამყრელიძემ.

როგორც სამგლოვიარო პანაშვიდზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, უნივერსიტეტი, რომელიც თაობებს აერთიანებს, კვლავაც გაუფრთხილდება ქართული სახელმწიფოს ერთიანობის იდეას და ერთიანი ძალისხმევით გააგრძელებს წინაპართა გზას.

ხშირად დასმული შეკითხვები

? ***— სად შეუძლიათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს სტაჟირების გავლის შესახებ ინფორმაციის მიღება?***

მაკა ხუციშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

თედო დუნდუა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს სტაჟირების შესახებ ინფორმაციის მიღება როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში, ასევე საგარეო საქმეთა დეპარტამენტში შეუძლიათ. კონკურსი სისტემატურად ცხადდება, გამარჯვებულებს კი უნივერსიტეტი სტაჟირების გასავლელად საზღვარგარეთ სხვადასხვა უნივერსიტეტში აგზავნის. სტაჟირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება უნივერსიტეტის ვებ გვერდზეცაა შესაძლებელი.

? ***— როდის მოგვცემენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებს სტუდბილეთებს?***

მაკა თეთრაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორეკურსელი მაგისტრანტი

თედო დუნდუა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— სუტდბილეთების დამზადება არ არის მხოლოდ უნივერსიტეტზე დამოკიდებული. შეფერხება საბანკო სისტემიდან მოდის. ბანკს ჯერჯერობით არ აქვს წაღებული ბაკალავრებისა და მაგისტრანტების პირადი საქმეები, რაც სტუდბილეთების დასამზადებლად აუცილებელია. პრობლემის მოგვარებისთანავე სტუდბილეთები ეტაპობრივად დარიგდება.

? ***— რატომ არ აქვთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებს სტიპენდია?***

ანა ბაქანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი მაგისტრანტი

თედო დუნდუა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— უნივერსიტეტს იმდენი ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს, რომ ბაკალავრებთან ერთად მაგისტრანტებისთვის სტიპენდიების გაცემა უზრუნველყოს. თუმცა, ამის კომპენსირება, გარკვეულწილად, მაგისტრატურაში სწავლის საფასურის გადახდის გზით ხდება. თანხები „ნიჭიერი სტუდენტების წახალისების“ ფონდიდან გამოიყოფა.

? ***— როდის დასრულდება რემონტი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში?***

სტუდენტი (სახელი და გვარი არ დაასახელა):

შოთა მინდელი, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე:

— უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რემონტის დასრულებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. დღემდე რომ პირველ კორპუსში ვსხედვართ და ვსაუბრობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენობის რემონტი მთლიანად ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ჩვენ ვცდილობთ და გვინდა, რომ შენობის რეაბილიტაცია მალე დასრულდეს, თუმცა ამან ხარისხზე არ უნდა იმოქმედოს. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეკონსტრუქციის დამთავრების კონკრეტული ვადის დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ეს ვადები მშენებლებთან გაწერილია და სარემონტო სამუშაოებიც ინტენსიურად მიმდინარეობს.

მასალა მოამზადა
ნატო ოგოლაძემ

რა მოგვიტანა „ვარდების რევოლუციამ“?

„ვარდების რევოლუციის“ გარდაუვალობას 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ტოტალური გაყალბებით ხსნიან. „საქართველოს კონსტიტუციაზე ფეხის დაბიჯების“ პრეცედენტი შეიძლება თუ არა გაამართლო იმით, რომ როცა ხალხს არჩევანის გაკეთების შანსს ართმევ, ამით მას მხოლოდ აჯანყების უფლების გამოყენების გზას უტოვებ? — დღევანდელი გადასახედიდან ეს თემა კვლავ განსჯის საგანია. დასკვნის სახით დღეს მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა კიდევ ერთხელ რევოლუციური გზით კატასტროფულ შედეგებს გამოიღებს, რადგან „ვარდების რევოლუციამ“ დაგვანახა, რომ ამ ტალღაზე მოსული ხელისუფლების თვითკონტროლის უნარი ძალიან დაბალია. ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი დემოკრატიული პროცესების შეფერხების, რაც ჩვენი ქვეყნის იმიჯზე ცუდად აისახება.

ჩვენი რესპონდენტია თსუ-ის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კიკნაძე, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ მეხუთე წლისთავზე ერთგვარ ანალიზს გვთავაზობს, თუ რა იყო დადებითი და რა — უარყოფითი იმ თვალსაზრისით, რაც ამ რევოლუციამ მოგვიტანა.

ნინო კაკულია

— 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“, როგორც არაერთგზის ითქვა, გარდაუვალი იყო, რადგან ქვეყანა კორუფციის ჭაობში იფლობოდა, საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გზით ახალ პარლამენტში ადგილების შესავსებად პრეზიდენტმა შევარდნაძემ კორუფციული ხელისუფლების „ხელისმომკიდეების“ შეყვანა სცადა და მაშინ ქვეყნისთვის დამღუპველ ამ ტენდენციას ძლიერმა ოპოზიციამ რევოლუციური შტურმით უპასუხა. შეიქმნა კიდევ ერთი პრეცედენტი იმისა, რომ ხელისუფლება საქართველოში რევოლუციის გზით შეცვლილიყო და, საბედნიეროდ, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა. „ვარდების რევოლუცია“ ხალხის უკანასკნელი იმედი იყო. თქვენი აზრით, რა პასუხისმგებლობა უნდა ეკისრა ამის შემდეგ ახალ ხელისუფლებას, რაში გამოიხატა ეს პასუხისმგებლობა და რამდენად იქცა ის რეალურად ხალხის ხელისუფლებად?

— უდავოდ, „ვარდების რევოლუცია“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეს იყო პროტესტი იმ სტაგნაციის, კორუფციის, უკანონობის, ეროვნული ნიჰილიზმის მიმართ, რამაც წლების განმავლობაში მყარად მოიკიდა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში. ეს იყო ნეგატიური განწყობის გამოვლინება არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. ეს იყო ხალხის მოლოდინი და მზაობა რადიკალური რეფორმებისა და არსებითი ძვრებისთვის.

მოლოდინი, მართლაც, ძალიან დიდი იყო. ხალხში არნახული ეიფორია სუფევდა. ყველა მოელოდა, რომ ახალგაზრდა პროდასავლური ლიდერები ქვეყანას არსებული მდგომარეობიდან გამოიყვანდნენ და ნანატრ ტერიტორიულ ერთიანობასაც აღადგენდნენ. დასავლეთის აშკარა მხარდაჭერა და PR-აქციები კი ამ მოლოდინს კიდევ უფრო ამყარებდნენ. ასეთი სასტარტო პირობების ფონზე კი ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება მართებდა, რამეთუ ხალხისთვის იმედის გაცრუება გაცილებით უფრო მწარე და მტკივნეული იქნებოდა.

რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ხელისუფლებას ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს თავისი ხალხის წინაშე. იგი საზოგადოებასთან დადებული სოციალური კონტრაქტის განხორციელებაზე უნდა ფიქრობდეს და ხალხის მიერ ამ კონტრაქტით აღებული ვალდებულებების შესრულებაზეც აგებდეს პასუხს. წარმატებული ხელისუფლება უზრუნველყოფს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას – ცხოვრებისა და სხვადასხვა საქმიანობისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი გარემოს შექმნას, კეთილდღეობის ზრდას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას და სხვ.

ჯერ კიდევ ლათინური ანდაზა გვამცნობს: "Salus Populi Suprema Lax" — „ხალხის კეთილდღეობა – ეს უზენაესი კანონია“.

— „ვარდების რევოლუციის“ მშვიდობიანი დასასრული მსოფლიომ მაგალითად აიტაცა — ეს მოვლენები შეფასდა, როგორც საქართველოში დემოკრატიის გამარჯვება. რა ღირებულებები მოიტანა ამ რევოლუციამ? რა ფასეულობები წამოწიეს წინ რევოლუციონერებმა?

— დასავლეთი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიესალმა „ვარდების რევოლუციას“ და უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს და მის ხელისუფლებას. საქართველოში კი ყველამ ერთხმად კიდევ ერთხელ ვაღიარეთ, რომ დასავლურ ცივილიზაციას მივეკუთვნებით და დემოკრატიის მშენებლობაზე ვართ ორიენტირებულები. ქვეყანაში კი საყოველთაო ვესტერნიზაცია გაგრძელდა. ნატოსა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება უპირველეს ამოცანად დაისახა. დაიწყო რეფორმების პერიოდი.

— „ვარდების რევოლუციის“ მნიშვნელობა, ალბათ, არასდროს დასამარდება. საინტერესოა, მსოფლიოს თვალში კვლავ გამართლებულად ჩანს თუ არა სახალხო რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლა?

— „ვარდების რევოლუცია“ ექსპერიმენტი იყო და მას დიდი იმედით შეჰყურებდნენ როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ერთი მხრივ, მან ბოლო მოუღო სტაგნაციას, რომელიც ქვეყანაში სუფევდა და საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის მკვეთრად გამოხატული პროდასავლური კურსი, ხოლო

მეორე მხრივ, ამ რევოლუციის შედეგად მოსული ახალგაზრდა პოლიტიკოსების წინდაუხედავი, ხისტი საგარეო პოლიტიკის გამო ქვეყანას საკმაოდ სერიოზული საფრთხეები შეექმნა.

— „ვარდების რევოლუციის“ მთავარ ავტორთაგან ზურაბ ჟვანია დღეს ცოცხალი აღარ არის, ნინო ბურჯანაძემ ახალი ოპოზიციური პარტია შექმნა და უკვე ამ ხელისუფლების კრიტიკით გამოდის, ეროსი კიწმარიშვილიც ღიად მიუთითებს ხელისუფლების შეცდომებზე... რაზე მიანიშნებს ეს ყოველივე?

— მართლაც, მიხეილ სააკაშვილის ზოგიერთი ყოფილი თანამებრძოლი ახლა ოპოზიციონერია. ისინი უარყოფითად აფასებენ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვლილ წლებს და თვლიან, რომ ეს რევოლუცია შეცდომა იყო, რომ მან არ მოიტანა სასურველი შედეგი. ისინი ცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა სააკაშვილს დააკისრონ, ხოლო თვითონ ოპოზიციონერებად მოგვევლინონ — ამის რეალური მიზეზი კი ქვეყანაში შექმნილი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა.

— ერთ-ერთი ფსიქოლოგი ჩვენთან საუბარში აღნიშნავდა, რომ ქართველებისთვის დამახასიათებელი არ არის მომავლის პერსპექტივაზე გათვლილი ნაბიჯებით სვლა, თუმცა, მისი თქმით, „ვარდების ჯგუფი“ იყო გამონაკლისი, ვინც ქვეყნის განვითარების გრძელვადიან გეგმებზე ალაპარაკდა. რამდენად მოახერხა ამ ჯგუფმა დასახული მიზნისკენ სწორად სიარული?

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიერ დაშვებულმა უამრავმა შეცდომამ ნათლად დაგვანახა, რომ მართლაც გვიჭირს, როგორც თქვენ აღნიშნეთ, „მომავლის პერსპექტივაზე გათვლილი ნაბიჯებით სვლა“.

ქართული კულტურა იდეოლოგიურად აერთებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს... რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ევროპელები ვართ, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ქართული კულტურის ისტორია აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციის სინთეზური ფორმაა. „აღმოსავლეთი კი გრძნობის ქვეყანაა“. გრძნობა ყოველთვის ებრძვის გონებას. აკი ალექსანდრე ჭავჭავაძე ამბობდა: „მგრძნობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ ცით მოვლენილთა, შვებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს“ — ეს გავლენა დღეს პოლიტიკაში განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა.

ქართველების რასული ვინაობა საბოლოოდ გამორკვეული არ არის, მაგრამ ანთროპოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მეობაში ერთი რამ უდავოა: - ქართულ ძარღვებში მოძრაობს სისხლი ჩქარი, რყევადი — თითქმის ყველა აღმოსავლური რასის და ტომის: „გადმოდიოდნენ რა აღმოსავლეთიდან საქართველოს მიწა-წყალზე აზიელები, ტოვებდნენ როგორც ზნე-ჩვეულებებს და სტილს, აგრეთვე ფიზიოლოგიურ ელემენტებს, უჯრედებს და სისხლს; სისხლი შემდგარი სხვადასხვა ელემენტებიდან ქიმიური დაშლისა და ფსიქიკური ასხივოსნების დროს იძლეოდა ქაოტურ სახეს და ნებისყოფა ირყეოდა: გარკვეულობა, სისტემა ჩვენს კულტურულ განცდასა და შემოქმედებას არ ეტყობა“, – წერდა კონსტანტინე კაპანელი.

გონებისა და გრძნობის ურთიერთობის საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში. თითოეული სოციალური ჯგუფი ამ საკითხს თავისი ინტერესების თვალთახედვით უყურებს. ადამიანები კი, რომლებიც ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგანან, თავის გრძნობებს გონებას უმორჩილებენ. პოლიტიკური მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ურთიერთმოქიშპე ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმების ცოდნასა და რეგულირებას.

როგორც პასკალი ამბობდა: „დიდი ადამიანობა იმაში კი არაა, რომ უკიდურესობაში გადავარდე, არამედ იმაში, რომ ორივე უკიდურესობას შეეხო ერთდროულად და შეავსო მათ შორის არსებული ადგილი“.

— რამდენად აუცილებელია საარჩევნო სისტემის სრულყოფა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა საქართველოში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს „ვარდები და გადავარდების“ ძახილი ჩვენს ქვეყანაში?

— არც ერთი პოლიტიკური ინსტიტუტი არ განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტს ისეთი დოზით, როგორც მისი საარჩევნო სისტემა და პოლიტიკური პარტიები. ამიტომაც, ამ მხრივ, ნამდვილად არის ბევრი რამ გასაკეთებელი. საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. მაგრამ, რაც მთავარია, პირველ რიგში მოსაგვარებელია პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პრობლემა. არ შეიძლება ერთი და იგივე ხალხის გაუთავებელი „კარუსელი“, თანაც იმ ხალხისა, რომლის პირველი სამსახური მინისტრობიდან იწყება. უნდა არსებობდეს პოლიტიკოსებისა და დიპლომატიური კადრების თეორიული და პრაქტიკული მომზადების მექანიზმები და გზები. 27–28 წლის დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს სერიოზულად არავინ აღიქვამს. ჩვენ კი ის ფაქტი, რომ მათ არ იციან — ვინ იყვნენ ლენინი და სტალინი, სატრაბახოდ გაგვიხდია. ადამიანმა ეტაპობრივად უნდა მიაღწიოს კარიერის მწვერვალს, თავის თანამდებობას უნდა აფასებდეს და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდეს, მის მიერ გადადგმული ნაბიჯი კი ათასჯერ გაზომილი და აწონილი უნდა იყოს, რაც, ბუნებრივია, ახალგაზრდა ადამიანს არ ახასიათებს. ამიტომ მათ ხელში მართვის ბერკეტების გადაცემა ქვეყნისთვის მძიმე შედეგებით მთავრდება.

პოლიტიკა, პირველ რიგში, არის მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო და წესრიგის განსაკუთრებული სახე. აქვე მოვიშველიებ ჟან ბეშლერის სიტყვებს: „პოლიტიკოსის შეფასების კრიტერიუმი ერთია: ემსახურება თუ არა მისი კომპეტენტურობა, ენერგია, საქციელი, ხასიათი საერთო კეთილდღეობას“.

— რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ რევოლუციის მეხუთე წლისთავზე — რა იყო დადებითი და რა — უარყოფითი იმ თვალსაზრისით, რაც რევოლუციამ მოიტანა საქართველოში?

— რევოლუციამ მოიტანა აქტიურობა და რეფორმების განხორციელების სურვილი, ახალი პერსპექტივები და, ამავე დროს, იმედის გაცრუება.

ზოგი რამ მართლაც კარგი გაკეთდა. მაგალითად, მისასალმებელია, როდესაც საქართველოში ჩამოდიხარ და ადრინდელი კორუმპირებული სასაზღვრო და საბაჟო ჩინოვნიკების ნაცვლად თავაზიანი, კარგად ჩაცმული, ზრდილობიანი მოხელეები გხვდებიან, ან, იგივე, მისასალმებელია პატრულის წარმატებული მუშაობა... აღმოიფხვრა კორუფცია დაბალ და საშუალო დონეზე, დაიგო გზები და გალამაზდა სახლები...

მაგრამ, სამწუხაროდ, რეფორმები, რომლებსაც გრძელვადიანი შედეგი უნდა გამოეღო, ხშირად ნაჩქარევი და გაუაზრებელი იყო, ხოლო მათ სათავეში საეჭვო კვალიფიკაციის ადამიანები იდგნენ. ბევრი ადამიანის სოციალური მდგომარეობა გაუარესდა. გაღრმავდა სოციალური ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 55%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს (ოფიციალური მონაცემებით) საქმე კარგად ვერ არის. ყველაზე თვალშისაცემი კი საშუალო და უფროსი ასაკის ხალხის სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნა გახდა იმ მოტივით, რომ მათ საბჭოთა მენტალიტეტი აქვთ. ბევრ დარგში პროგრესის მაგივრად რეგრესი მივიღეთ. სავალალო მდგომარეობაა განათლების დარგშიც. ფაქტობრივად დაინგრა ფუნდამენტური მეცნიერებები და უნივერსიტეტის გარეთ დარჩნენ საუკეთესო სპეციალისტები.

მივიღეთ ლოგიკური შედეგი: – ახალგაზრდა რეფორმატორების ცდებმა ბევრი მიმართულებით მოლოდინი ვერ გაამართლა. და, რაც მთავარია, ომის სახით ქვეყნისათვის ძლიერ მტკივნეული შედეგი მივიღეთ – დაღუპული ბიჭების, ახალი ლტოლვილების, დანგრეული ინფრასტრუქტურის, ოკუპირებული ტერიტორიების სახით...

ანონსი

უნივერსიტეტი 15 დეკემბერს შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილეს აღნიშნავს

15 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი მესაძირკვლის შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავს აღნიშნავს. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია უნივერსიტეტის პანთეონში შალვა ნუცუბიძის საფლავის ყვავილებით შემკობა და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დამაარსებლის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენის მოწყობა. შალვა ნუცუბიძის ხსოვნას მიეძღვნება საიუბილეო სხდომა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართება. ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან შალვა ნუცუბიძის შთამომავლები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები, საზოგადო მოღვაწეები, უნივერსიტეტის სტუდენტობა...

შალვა ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ინიციატორი და ორგანიზატორია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის 18 მაისს ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონში მდებარე სკვერში შალვა ნუცუბიძის 120 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ინიციატივითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით მისი ბიუსტი გაიხსნა.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამარჯვება ამერიკის იდეოლოგიური წარუმატებლობა იქნება

ბოლო საუკუნეების განმავლობაში უკვე მერამდენედ იწყება მსოფლიო გადანაწილების პროცესი, რომლის დროსაც დიდი და პატარა სახელმწიფოები თვითდამკვიდრებისა და გადარჩენისთვის იბრძვიან. საქართველო ამ პროცესს საკმაოდ მოუმზადებელი შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ჩვენს ქვეყანას რამდენჯერმე ჰქონდა შანსი – მყარად დამკვიდრებულიყო მსოფლიო თანამეგობრობაში, 18 წლისთავზე ისევ ისმის კითხვა — ვისკენ და ვისთან? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საზოგადოების ერთი ნაწილისთვის სირთულეს სულაც არ წარმოადგენს, რადგან საქართველოს მხარდამჭერად უალტერნატივოდ მოიაზრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც ახალი პრეზიდენტის – ბარაკ ობამას არჩევით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პროგრესული ერია. მაგრამ რა შეიცვლება ჩვენთვის? რა პოზიციას დაიკავებს ამერიკა ახალი ლიდერისა და ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ? — ეს კითხვები ომგამოვლილი ქვეყნისთვის, რომელსაც რუსეთთან გართულებული ურთიერთობები აქვს, მეტად აქტუალურია.

გვესაუბრება ამერიკის შესწავლის ასოციაციის პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვასილ კაჭარავა:

მაია ტორაძე

— ბატონო ვასილ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. აცხადებდნენ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, რომელი კანდიდატი დაიკავებდა საპრეზიდენტო სავარძელს. არჩევნები დასრულდა და უკვე შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რას შეცვლის ამერიკის ახალი პრეზიდენტი საქართველოსთან უერთიერთობის კუთხით?

— გეთანხმებით, რომ ეს თანამედროვე მსოფლიოსთვის მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან იმაზე, თუ რა პროცესები განვითარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდადაა დამოკიდებული სხვა ქვეყნების ბედიც.

საარჩევნო პროგრამებში ორივე კანდიდატს ქვეყნის განვითარების განსხვავებული ხედვა ჰქონდა. მაგალითად, ობამას პროგრამაში საუბარი იყო ერაყიდან ჯარის გამოყვანის აუცილებლობაზე, მაკკეინი კი პირიქით — ომის ძლევამოსილად დასრულებას აპირებდა. მათ შორის რომელსაც არ უნდა გაემარჯვა, ერთი რამ მაინც ცხადი იყო — ამერიკა ადვილად არ ცვლის სტრატეგიულ მიმართულებებს და საქართველოსადმი მისი ინტერესიც არ შეიცვლებოდა, რადგან ამ რეგიონისადმი მას საკმაოდ პრაგმატული მოსაზრებები გააჩნია. ამერიკას სურს გავლენა ჰქონდეს ენერგორესურსების ალტერნატიულ გასასვლელზე, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.

დღეს ყველა ხედავს, რომ რუსეთი ამ ალტერნატიულ გასასვლელებზე მონოპოლიით ცდილობს ევროპაზე სერიოზული ზეწოლა მოახდინოს. ეს ის რუსეთია, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია და რომლის ეკონომიკური მაჩვენებლები, გარდა სამხედრო იარაღის წარმოებისა, მინიმუმ 15-ჯერ ჩამორჩება ევროპის მაჩვენებელს. ამიტომ მას სხვა გზა არ რჩება — ალტერნატიულ გასასვლელებზე მონოპოლიით უნდა აიძულოს ევროპა და ამერიკა, პატივი სცენ რუსეთის ინტერესებს. საქართველოსთან ომი მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა — რუსეთმა გადაწყვიტა, სამხედრო ძალით გადაჭრას ეს პრობლემა და ევროპას ან ამერიკას ალტერნატივაც არ დაუტოვოს.

მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამარჯვება ამერიკის იდეოლოგიური წარუმატებლობა იქნება. თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების დემოკრატიებისადმი ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულებას, ვნახავთ, რომ ევროპა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად ღალატობდა პარტნიორებს. ამ მხრივ ამერიკა უფრო პრინციპულია, თავის დროზე ერთა თვითგამორკვევის საკითხი სწორედ ამერიკამ დააყენა მაღალი პოლიტიკის რანგში.

ბარაკ ობამა მსოფლიო პოლიტიკაში მართლაც ახალი სისხლი და უპრეცედენტო მოვლენაა. ჩვენ არ გვესმის, რას ნიშნავს ფერადკანიანი პრეზიდენტი, რადგან ამ ფენომენს არ ვიცნობთ. მე 5 წელი ვიცხოვრე ამერიკაში და ვიცი, როგორ უყურებენ ისინი ამ საკითხს. არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა დაამტკიცეს, რომ პროგრესული ერია.

ამიტომ, საქართველოს იმის შიში არ უნდა ჰქონდეს, რომ პრეზიდენტის შეცვლით რამე შეიცვლება. ამერიკამ უკვე განაცხადა, რომ მზადაა, მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა დემოკრატიას და არ მგონია, არჩევნების შედეგებმა ამ მხრივ რაიმე შეცვალოს.

— წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადებების გამო მაკკეინს ომის პრეზიდენტი უწოდეს, ხოლო ობამას – მშვიდობის პრეზიდენტი. როგორ ფიქრობთ, ბარაკ ობამას გამარჯვება მართლაც მშვიდობას მოუტანს მსოფლიოს თუ რუსეთსა და ამერიკას შორის ცივი ომი გაგრძელდება?

— მაკკეინის წინასაარჩევნო გამოსვლა, როცა მან განაცხადა, რომ პუტინის დანახვაზე სუკ-ი მახსენდებაო, ძალიან ეფექტური იყო, მაგრამ ასეთი განცხადებები მან აშკარად მოიჭრა რუსეთთან ურთიერთობის გზა. ეს არ არის დიპლომატიის ენა.

სამაგიეროდ, შედარებით გამოუცდელმა ობამამ, რომელსაც უზარმაზარი მრჩეველთა ჯგუფი ჰყავდა (მარტო საგარეო საკითხებში 300 მრჩეველი), უფრო დიპლომატიური პოზიცია დაიკავა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი დაბალანსებული განცხადებები არ ნიშნავს, რომ ობამა უპრინციპობას გამოამჟღავნებს — პოლიტიკაში რბილი საუბარი სისუსტის მაჩვენებელი არ არის. ამიტომ არ მგონია, რომ რუსეთის პროვოკაციული განცხადებები, რომელსაც მედვედევი ახმოვანებს, უპასუხოდ დარჩეს. სხვათა შორის, ბევრი აღნიშნავს, რომ მედვედევის ბოლოდროინდელი გამოსვლა ძალიან ჰგავდა ალექსანდრე პირველის და ნიკოლოზ პირველის მიმართვას ხალხისადმი. ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად დემოგრაფიული კატასტროფის პრობლემაც აწუხებს, ასე არ უნდა მედიდურობდეს, მაგრამ ეს შიდა პოლიტიკის საკითხიცაა — რუსეთის პრეზიდენტს სურს, აჩვენოს საკუთარ ხალხს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა.

რაც შეეხება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის დარეგულირებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დიპლომატიურ პოზიციას დაიკავებს რუსეთი ამერიკასთან, ევროპასთან და თუნდაც საქართველოსთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელი აქვს, მაინც ეყოფა ძალა, მსოფლიო გაამწაროს. ამიტომ ტყუილად არ ვახსენე დიპლომატიური ენა — საჭიროა ამ ენის გამოყენება, რომ საომარი ვითარება თავიდან ავიცილოთ. აქამდე რუსეთ-საქართველოს შორის ეს პრობლემაც იდგა — გავიხსენოთ, რა ენით ელაპარაკებოდნენ ისინი ერთმანეთს. მართალია, რუსებს თავისი მიზნები ჰქონდათ და ამ აგრესიას ნებისმიერ შემთხვევაში განახორციელებდნენ, მაგრამ ასეთი არადიპლომატიური საუბრებით ჩვენც მკვეთრად მოვიჭერით ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსთან მისასვლელი გზა.

— საქართველო თითქოს უფრო მაკკეინის მხარდამჭერთა სიაში მოიაზრებოდა, თუმცა თანამშრომლობდა ობამას საარჩევნო შტაბთანაც...

— სხვათა შორის, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს საქართველოს დიპლომატიური შეცდომა არ დაუშვია. ამ მხრივ სასაყვედურო არ გვაქვს. ჩვენ ორივე მხარესთან ვთანამშრომლობდით — მაკკეინთანაც და ობამასთანაც. ეს მიღებულია და ჩვეულებრივი დიპლომატიური ხერხია.

რაც შეეხება ამერიკის საქართველოსადმი დამოკიდებულებას — ჩემი აზრით, ის ისევ გააგრძელებს ეკონომიკურ დახმარებას, მხარდაჭერას სამხედრო მომზადების სფეროში და ნატოში გაწევრიანების პროცესში, ასევე მხარს დაუჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროსტრუქტურებთან.

ვფიქრობ, რომ ამ არჩევნების შემდეგ საქართველომ ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს. აქამდე ამერიკა დაკავებული იყო საარჩევნო ციებ-ცხელებითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოგვარებით, ახალი წლიდან ამერიკის ადმინისტრაცია უფრო მეტად მოიცლის საგარეო პოლიტიკისთვისაც.

ამ ეტაპზე ქართულმა დიპლომატიამ პროფესიონალიზმი უნდა გამოამჟღავნოს. ხომ ხედავთ, ლავროვი როგორ მუშაობს იმაზე, რომ დასავლეთს გადაათქმევინოს, რომ საქართველო რუსეთის მსხვერპლია.

— ბოლო დროს გაჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც დადეს დოკუმენტები, რომ საქართველო არ იყო მსხვერპლი...

— დიახ, გაჩნდა ასეთი დოკუმენტი და მე ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები. ასეც რომ იყოს, ქვეყანა უნდა დასაჯო და 1/5 ჩამოაჭრა? დავუშვათ ქართველმა გენერალმა სამხედრო მოქმედებების ბრძანება გასცა, ამისთვის მთელი ქვეყანა არ უნდა დაბომბო. თვითნებობის ასალაგმად არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია.

დღეს დგას საკითხი — რამდენად მედგრად დაუდგება ევროპა რუსეთს იმის მიუხედავად, რომ მას რუსეთთან ძალიან ბევრი ინტერესი აქვს: ზამთარი მოდის, ბუნებრივი აირი, ნავთობი სჭირდება... თუ პრაგმატულად მივუდგებით, ევროპას რუსეთთან კარგი ურთიერთობა ურჩევნია.

— ამაში ისიც ხომ არ თამაშობს თავის როლს, რომ ევროპას გაუჩნდა ამბიცია — ძლიერ სახელმწიფოთა გაერთიანების შედეგად უკან დაახევინოს ამერიკას?

— ეს ტენდენცია ახლა არ დაწყებულა. ჯერ კიდევ შარლ დე გოლი ეწინააღმდეგებოდა ამერიკელთა ლიდერობას, ნატოდანაც ამიტომ გამოიყვანა თავისი ჯარი და ხშირად რუსულ კარტსაც ათამაშებდა. ეს ტრადიციულად მოსდევს ფრანგულ პოლიტიკას. მას თავი მიაჩნია მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრად. ევროპელებს გამძაფრებული აქვთ მდიდარი ისტორიული წარსულის შეგრძნება. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, სანამ ამ ქვეყნებზე საბჭოთა რაკეტები იყო მიმართული, ევროპას ხმა არ ამოუღია და, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ამის გასანეიტრალებლად ამერიკელთა ლიდერობა უნდა მოეთმინათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპა სულ სხვა რიხით ალაპარაკდა. მას უკვე აღარ უნდა ამერიკის ლიდერობა. თან გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსეთთან თავისი ინტერესები აქვს გერმანიასაც. სულ მიკვირდა, როგორ მოახერხეს გერმანელებმა და რუსებმა ორ მსოფლიო ომში დაპირისპირება, როცა ურთიერთგადაჯაჭვული ისტორია და საერთო ინტერესები აქვთ.

ცოტა ხნის წინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა განაცხადა, რომ საფრანგეთს ამერიკასთან მეგობრობა უნდა და არა ამერიკული იმპერიალიზმი. ასეთი განცხადებები შემთხვევით არ კეთდება ისეთი გამოცდილი დიპლომატის მხრიდან, როგორიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრია.

— რესპუბლიკელების ჩანაცვლება დემოკრატებით ამერიკის პოლიტიკაში არაფერს შეცვლის?

— ადმინისტრაციის ასაწყობად დემოკრატებს ცოტა მეტი დრო დასჭირდებათ, რადგან 8 წელია ხელისუფლებაში არ ყოფილან, მაგრამ ობამას ჯგუფი შეეცდება ეს ხარვეზები პრეზიდენტის ინაუგურაციამდე მოაწესრიგოს. მთავარია, რომ ამერიკაში საქმისადმი ზეპარტიული დამოკიდებულებაა.

რა თქმა უნდა, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, „დემოკრატები“ როგორ მოიქცევიან რუსეთთან. არა მგონია, რომ ამერიკა მედვედევისგან მუქარანარევ ტონს შეეგუოს. ამიტომ რაიმე რადიკალურ ცვლილებებს რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობის მხრივ არ ველოდები.

ამერიკა იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურად წარმართავს საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას

ინტერვიუ ექსპერტთან
შალვა ფიჩხაძესთან

— ბატონო შალვა, რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ბარაკ ობამას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევას მსოფლიოსა და საქართველოში, რა მიმართულებას შეიძენს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები?

— ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვის დანიშნავს ობამა ადმინისტრაციაში და როგორ შეიცვლება ამერიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.

ჩემი აზრით, საქართველოს ისევ ექნება ამერიკის მხარდაჭერა, მაგრამ არა ისეთი, როგორც აქამდე ჰქონდა. მომავალში ამერიკა იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურად წარმართავს საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ვფიქრობ, ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას უპირობო თანადგომა აღარ ექნება.

თუ საქართველოსადმი ამერიკის დამოკიდებულებას ამერიკულ-რუსული და ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში განვიხილავთ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ გამოცდილების მიხედვით, რაც ამერიკის ხელისუფლებაში „დემოკრატების“ ყოფნის დროს დავაგროვეთ, ვინაიდან ჯერ არ ვიცით, როგორ მოიქცევიან რესპუბლიკელები.

„დემოკრატები“ რუსეთის მიმართ ნაკლებად ხისტი რიტორიკით იყვნენ განწყობილნი და მას თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელს უწვდიდნენ, მაგრამ არასოდეს აკეთებდნენ ამას ფუნდამენტურ საკითხებში რუსეთის მიმართ დათმობის ხარჯზე. ასე რომ, ჩემი აზრით, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ ობამას არჩევის შემდეგ რუსეთს საქართველოში სამოქმედოდ ხელები გაეხსნება, ცდება. რუსეთის მიმართ ამერიკის დამოკიდებულება ნაკლებად კონფრონტაციული იქნება, მაგრამ არა დამთმობი. ვფიქრობ, ასეთივე პოლიტიკის გატარებას მოითხოვს ამერიკა საქართველოსგანაც.

— თქვენი აზრით, ამერიკას რეალურად რა ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიაში?

— ამერიკის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სახელმწიფოების სტაბილურობა და კეთილგანწყობაა. ამერიკისთვის კავკასია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია რამდენიმე მიზეზის გამო: 1. ის არის ალტერნატიული გზა (როცა ალტერნატიულს ვამბობთ, რუსეთის ალტერნატივაზეა საუბარი) ენერგოშემცველების ტრანზიტისთვის მსოფლიო ბაზარზე და, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში. 2. ის გეოგრაფიულად ახლოსაა იმ საფრთხეებთან, რომელიც ამერიკისთვის პრობლემატურია, ანუ ახლო აღმოსავლეთთან, იმ კერებთან, საიდანაც მომდინარეობს მსოფლიო ტერორიზმი, ნარკოვაჭრობა, კონფლიქტები. ამერიკა დაინტერესებულია, ეს რეგიონი სტაბილური და მის მიმართ კეთილგანწყობილი იყოს.

თუ კონკრეტულად საქართველოზე ვილაპარაკებთ, ჩვენი ქვეყანა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის ამერიკის ყველაზე კეთილგანწყობილ პარტნიორად და მოკავშირედ განიხილება. მაგრამ, მოდით, კითხვა ასე დავსვათ — თავად საქართველოს თუ შეუძლია იყოს სტაბილური?

მე-6 გვერდზე

ამერიკა იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურად წარმართავს საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას

მე-5 გვერდიდან

სანამ ამას ვიტყვით, გავიხსენოთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არის არადემოკრატიული, მაგრამ სტაბილური სახელმწიფოები. კორექტულობის მიზნით ამ სახელმწიფოებს არ დავასახელებ, მაგრამ იმას ვეტყვით, რომ ეს, ძირითადად, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს და რუსეთსაც ეხება. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ჩემი აზრით, არადემოკრატიული საქართველო ვერ იქნება სტაბილური. ეს დაადასტურა როგორც შარშანდელი ნოემბრის, ისე წლევანდელი აგვისტოს მოვლენებმაც.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამერიკელების მიზანი არ გახლავთ დემოკრატიის დამყარება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რადგან ყველა ქვეყანა დემოკრატიისთვის მზად არ არის. მაგალითად, საუდის არაბეთი და პაკისტანი ამერიკის უახლოესი მოკავშირეები არიან, მაგრამ საუდის არაბეთზე ვერავინ იტყვის დემოკრატიული სახელმწიფოაო, პირიქით, იქ რომ დემოკრატია დაუშვა, შეიძლება ცუდი ამბები მოხდეს.

საქართველო ასეთი სახელმწიფო არ გახლავთ. აქ დემოკრატიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილურობა და სწორედ ამ ნიშნით იქნება შესაძლებელი — იგი ამერიკის მოკავშირედ ჩაითვალოს.

— არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენი ქვეყანა ამერიკისა და რუსეთის ინტერესებს ეწირება. არის თუ არა მოსალოდნელი საქართველოსა და რუსეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირების განახლება და ამ შემთხვევაში რა პოზიციას დაიკავებს ამერიკის შეერთებული შტატები?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველო რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ეწირება. ჩვენი უსაფრთხოება და მშვიდობა ეწირება იმას, რომ საქართველოს სურს დამოუკიდებელი არსებობა, თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის დამოუკიდებლად განსაზღვრა, რაც რუსეთისთვის მიუღებელია.

ამერიკას ჩვენთვის მოკავშირეობა თავზე არ მოუხვევია. საქართველოს სჭირდება უსაფრთხოების ქოლგა, რადგან დამოუკიდებლად ამის უზრუნველყოფა არ შეუძლია და თუ შეერთებული შტატების ინტერესები ჩვენს ინტერესებს დაემთხვევა, ეს ჩვენთვის კარგი იქნება.

მოსალოდნელია თუ არ ახალი დაპირისპირება? რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, მაგრამ არა იმიტომ, რომ სამხრეთ კავკასიაში ამერიკის ინტერესები მძლავრობენ, არამედ იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი განვითარების მისაღწევად პოზიციებს არ თმობს. აქვე ვიტყვი, რომ საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში არ გამოვრიცხავ ჩვენს უგუნურ პოლიტიკასაც. გავიხსენოთ, რა მოხდა 2004 წელს ცხინვალის რეგიონში და როგორ განვითარდა მოვლენები აგვისტოში... ჩვენ ხომ ჩასაფრებულ რუსეთს შესანიშნავად ჩავუყავით ხელი გახსნილ ხახაში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ აგვისტოს მოვლენები ჩვენი მცდარი პოლიტიკის შედეგი იყო?

— მოცემულ მომენტში, მოცემულ კონკრეტულ ეპიზოდში ეს ჩვენი უგუნური პოლიტიკის შედეგი იყო, თუმცა უფრო ფართო კონტექსტში, ეს გახლდათ ლოგიკური დასასრული რუსეთის საქართველოზე ნადირობისა. დავაკვირდეთ, როდესაც ჩვენ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებით ვმოქმედებთ, რუსეთს არ გასდის თავისი, ხოლო როდესაც დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ — პირიქით. ახლაც დინების საწინააღმდეგოდ გავცურეთ.

— ჩვენ ვისაუბრეთ ამერიკის ინტერესებზე... ახლა შევეხოთ რუსეთის ინტერესებსაც, რისი განხორციელებისთვისაც იგი არაფერზე უკან არ იხევს...

— რუსეთის ინტერესი არის ის, რომ ამ რეგიონის სახელმწიფოები დაჰყვნენ რუსეთის ნებას და იქცეოდნენ ისე, როგორც მას სურს... რუსეთს უნდა, სატრანზიტო გზაზე მონოპოლიური უფლებები ჰქონდეს. მას აქ სამხედრო ბაზების განთავსება სურს. ეს იმისთვის სჭირდება, რომ სამხრეთიდან გააუნეტარებელყოს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული საფრთხე, უფრო ახლოს იყოს თავის მოკავშირე ირანთან, არ მისცეს სხვებს საშუალება, აკონტროლოს ცენტრალურ აზიაზე გასასვლელი და, შესაბამისად, აქ თავისი გავლენა გაზარდოს. ამ მიზნებში შედის ენერგოშემცველებზე კონტროლიც.

— ეკონომიკური ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის მიზეზი შესაძლოა მისი მსოფლიო ეკონომიკური ლიდერობისკენ სწრაფვა იყოს... ანალოგიური პრეტენზიები, შესაძლოა, ევროკავშირსაც ჰქონდეს...

— დღევანდელ მსოფლიოში რუსეთი ეკონომიკური ლიდერი კი არა, ლიდერთაგან ერთ-ერთიც ვერ გახდება, რადგან მისი ეკონომიკა განუზომლად უფრო სუსტია, ვიდრე განვითარებული ევროპული ქვეყნებისა. რუსეთის კეთილდღეობა დიდწილად დამოკიდებულია ენერგოშემცველებზე, მსოფლიო ბაზარზე მათ ფასზე და ბალანსზე, მის ექსპორტზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი ფაქტორია, მაგრამ არა ერთადერთი. ვერ დავეთანხმები იმ ექსპერტებს, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთს სურს ეკონომიკური ლიდერობის მოპოვება. უფრო სწორად, რუსეთს ლიდერობა კი სურს, მაგრამ თუ ამბობენ, რომ ის ამისთვის იღვწის, არ იქნება მართალი. რუსები სულელები არ არიან და იციან, რომ რეალური მიზანი უნდა დაისახონ. ამ ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკური ლიდერობა ან ლიდერებს შორის ყოფნა არარეალისტურად მეჩვენება...

რაც შეეხება ევროკავშირს, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირეები არიან, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთსა და ევროპაზე. აშშ-სა და ევროპას შორის სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვანწილად ჭარბობს სავაჭრო ბალანსს რუსეთთან. ამას ემატება პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები. ყოველთვის არსებობდა ის ფაქტორი, რომ ევროპელები ხანდახან ეჭვის თვალით შეჰყურებენ ამერიკის ძლიერებას და სურთ მასთან გატოლება, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს კავკასიაში ამერიკისა და ევროპის ინტერესები ერთიანია და ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

— ხომ არ დაუშვებს ამერიკის ახალი მთავრობა იმის პრეცედენტს, რომ ლობირება გაუწიოს საქართველოს ნატოში დაჩქარებულ გაწევრიანებას?

— მეეჭვება, რომ ამერიკამ შეძლოს ამ საკითხის ლობირება და შემდეგ ნატოში გატანა, რადგან ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მხოლოდ ამერიკა არ არის.

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე შემაფერხებელი ფაქტორი იმისათვის, რომ ჩვენ უფრო მეტად დავუახლოვდეთ ნატოს. ეს ფაქტორები შეიძლება სამ ჯგუფად განაწილდეს: 1. ცუდი ურთიერთობები რუსეთთან, რასაც ნატო არ მიესალმება. მას სურს, გაწევრიანების მოსურნე ქვეყანას კარგი ურთიერთობები ჰქონდეს მეზობლებთან; 2. მოუგვარებელი კონფლიქტები და 3. დემოკრატიის არარსებობა (ან დემოკრატიის ნაკლებობა) ქვეყანაში.

პირველსა და მეორე მიზეზებში, ამ ორი ხარვეზის გამოსასწორებლად, ჩვენი შესაძლებლობები დიდი არ არის, რადგან თუ რუსეთს არ სურს ჩვენთან კარგი ურთიერთობა, ჩვენ ეს ვერ გვექნება; თუ სეპარატისტულ რეგიონებს არ სურთ კონფლიქტების მოგვარება, კონფლიქტები ვერ მოგვარდება. ჩემი აზრით, ნატო ჩვენგან ამას მაინც იმიტომ მოითხოვს, რომ ეს საკითხები არ გავამწვავოთ და ცეცხლზე ნავთი არ დავასხათ და რომ ჩვენი კონსტრუქციულობა ვაჩვენოთ, რაც აქამდე არ გაგვიკეთებია.

კონფლიქტებთან დაკავშირებით შემიძლია გაგიზიაროთ უშუალოდ ნატოს წევრი ჩინოვნიკის მოსაზრება. ეს გახლავთ პიროვნება, ვინც ჩვენს მიერ IPAP-ის შესრულების თაობაზე ყოველწლიურ ანგარიშს წერს. მისი აზრით, საქართველომ ის მაინც უნდა აჩვენოს, რომ შეუქცევადად ადგას კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას. მისგან მომისმენია, რომ ამ შეუქცევადობის ინდიკატორი იქნებოდა საქართველოში შეცვლილი ხელისუფლება, რომელიც კონფლიქტების მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზას დაადგებოდა. აქამდე ამის ჩვენება ვერ შევძელით. ჩვენ დიდი წვლილი მიგვიძღვის რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებაში.

რაც შეეხება მესამე მიზეზს, ჩემი აზრით, ჩვენ ბევრს არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დემოკრატიული სახელმწიფო გავხდეთ, ხოლო არადემოკრატიული სახელმწიფოსათვის დასავლეთი არ იბრძოლებს. მას უნდა უღირდეს საქართველო იმად, რომ რუსეთს დაუპირისპირდეს. ბალტიისპირეთი კი უღირ-

და. ამ ქვეყნებმა აჩვენეს, რომ სურთ დასავლური ყაიდის დემოკრატია შექმნან და ქმნიან კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათაგან ზოგიერთის გადაწყვეტა ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ქვეყანამ ყველა ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციები მაინც უნდა აჩვენოს. მაგრამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, ამიტომ ნატოს ჩვენი დაჩქარებული ნესით მიღების სტიმული არ გააჩნია.

ოპონენტი შეიძლება შემეკამათოს იმაში, რომ ყოფილა შემთხვევა, როცა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ნატოს თავის რიგებში გაუწევრიანებია ქვეყნები, რომელთაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ, მაგალითად, თურქეთი, პორტუგალია, ნაწილობრივ, ესპანეთი და ა.შ. დიახ, ასეთი შემთხვევები იყო, მაგრამ მაშინ საერთაშორისო ასპარეზზე სხვა კონტექსტი იყო და ამის გაკეთება ნატომ საჭიროდ ჩათვალა. ჯერჯერობით ნატო საქართველოს მიღებას საჭიროდ არ თვლის, ამიტომ საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა, რაც ნატოს აქვს გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიმართ.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ნატოს მხრიდან საქართველოსთვის მხარდაჭერის ჩვენება ძალიან კარგი იქნებოდა რუსეთის აგრესიის პირობებში. მით უმეტეს, რომ MAP-ი თავად ნატოს არაფერზე ავალდებულებს.

— რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ საქართველოს საკითხი ნატოში გაწევრიანების თაობაზე დაკავშირებულია უკრაინის საკითხთან?

— ის, რომ საქართველოსა და უკრაინას ერთ კონტექსტში განიხილავენ, ნაწილობრივ სწორია, მაგრამ თუ რომელიმე ქვეყანა ამ ბმულიდან ამოვარდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმეს გზა გადაეკეტება. უკრაინას სხვა პრობლემა აქვს. იქ მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოს მხარდამჭერი არ არის, ხოლო ნატოს არ სურს თავის რიგებში ძალით შეთრეული ქვეყანა.

ისტორია

აგრესორის დიპლომატია

სამსაუკუნოვანი პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ერისათვის დიდი კატასტროფით დასრულდა — ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები, ქართველი დიპლომატები ასე დაჟინებით, ასე ჯიუტად პრორუსული ორიენტაციის რეალიზებას — რუსეთის დახმარებით ირანისა და ოსმალეთისგან საქართველოს დაცვას? არსებობდა თუ არა პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ერთმორწმუნე რუსეთზე ორიენტაცია იყო ერთადერთი გამოსავალი თუ საბედისწერო სტრატეგიული შეცდომა? ამ კითხვებზე პასუხს ჩვენ მხოლოდ წარსულის ობიექტურად შესწავლის მიზნით არ ვეძიებთ. ყოველივე ეს მჭიდრო კავშირშია დღევანდელობასთან.

ვახტანგ გურული, ისტორიკოსი

XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ირანისა და ოსმალეთის ბრძოლა სამხრეთ კავკასიისთვის (ამიერკავკასიისთვის). სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ირანმა (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) და ოსმალეთმა (ჩრდილო-დასავლეთიდან) კავკასიის მთიანეთში შეღწევა შეძლო და იქაური მოსახლეობა გაამაჰმადიანა. შავ ზღვაზე გაბატონდა ოსმალეთი, კასპიის ზღვაზე — ირანი. საქართველოს გარშემო შეიკრა მუსლიმური სახელმწიფოებისა და ხალხების წრე. ქართველი მეფეებისა და დიპლომატების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა მოკავშირის პოვნის საკითხი.

რუსეთის დახმარებით მუსლიმურ სახელმწიფოთა აგრესიის მოგერიების იმედი პირველად კახეთის სამეფო სახლს ჩაესახა. 1483 წელს (ზოგიერთი ცნობით 1491 წელს) კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511) მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ს (1462-1505) ელჩობა გაუგზავნა. რას ემყარებოდა კახეთის მეფის გათვლა და რატომ ჰქონდა მას მოსკოვის დიდი მთავრის დახმარების იმედი, ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ საკმაოდ კარგად არის ცნობილი მოსკოვის რუსეთის გარშემო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. რუსეთს გამუდმებული ომები ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან, ამიტომ, კიდეც რომ მოენდომებინა, საქართველოს მუსლიმურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ვერ დაეხმარებოდა — ირანთან და ოსმალეთთან ომში არ ჩაებმებოდა. ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური საფუძველი ქართველი მეფეებისა და ქართველი დიპლომატების პრორუსულ ორიენტაციას შემდგომ ხანებში? მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრორუსულ ორიენტაციას არც XVI-XVII საუკუნეებში ჰქონდა რეალური საფუძველი. ბალტიისპირეთიდან — შვედეთის, უკრაინიდან — პოლონეთის, ბელორუსიიდან — ლიტვის, შავი ზღვისპირეთიდან — ყირიმის სახანოს მუდმივი აგრესიის მომლოდინე რუსეთი საქართველოსთვის რომ მოკავშირე და მფარველი ვერ იქნებოდა, ეს ცხადად უნდა ეგრძნოთ კახთა მეფეებს ალექსანდრე II-სა (1574-1605) და თეიმურაზ I-ს (1606-1648). დიდი ხნის მანძილზე ქართველი მეფეები და დიპლომატები, მოვლენათა ობიექტურად შეფასების ნაცვლად, რუსეთის მეფეების დაპირებებს ენდობოდნენ — მრავალჯერ გაწბილებულნი მაინც ერთმორწმუნე რუსეთის იმედად იყვნენ.

ცხადია, ქართველი მეფეებს, კერძოდ, ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაცია გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული. ამ მიზეზთაგან უმთავრესი იყო: 1. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, კათოლიკური სამყაროს სრული ინერტულობა, სამხრეთ კავკასიით დაუინტერესებლობა; 2. საქართველოს ჩრდილოეთით მოსკოვის დიდი მთავრის მიერ რუსული მიწების გაერთიანების დაწყება და მართლმადიდებლური სახელმწიფოს — რუსეთის გაძლიერება.

ქართველ მეფეებს, ქართველ დიპლომატებს ძალზე მცირე ინფორმაცია გააჩნდათ როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე რუსეთის საშინაო ვითარებისა და საგარეო პოლიტიკის, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. ძალზე ზერელე და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ირან-ევროპის, ოსმალეთ-ევროპის, რუსეთ-ევროპის, რუსეთ-ირანის, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობათა თაობაზე. ყოველივე ამან განაპირობა საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას დაშვებული დიდი სტრატეგიული შეცდომა — რუსეთზე ორიენტაცია.

მე-7 გვერდზე

აგრესორის დიპლომატია

მე-6 გვერდიდან

პრორუსულ ორიენტაციას შეეწირა ალექსანდრე II (ირანის შაჰმა თავისსავე გამაჰმადიანებულ შვილს მოაკვლევინა) და თეიმურაზ I (ირანის შაჰის ტყვეობაში გარდაიცვალა). მარცხიანი პრორუსული ორიენტაციის შედეგი იყო შაჰის მიერ ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტებზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონების: როსტომის (1632-1658), ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675), გიორგი XI-ის (1675-1709), ერეკლე I ნაზარალიხანის (1688-1709), ქაიხოსროს (1709-1711), დავით II იმამყულიხანის დასმა.

პრორუსული ორიენტაცია თითქოს დავიწყებას უნდა მისცემოდა. მიზეზი საკმარისზე მეტი იყო. მოხდა დაუჯერებელი რამ. 1703 წელს ქართლის სამეფოს ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა გამაჰმადიანებული გიორგი XI-ის ძმისშვილმა, მომავალმა მეფემ, ვახტანგ VI-მ პრორუსული ორიენტაცია ააღორძინა და მისი რეალიზებისთვის შეუპოვარი ბრძოლაც დაიწყო. ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსულ ორიენტაციას ვინმემ კიდევ შეიძლება რაიმე გამართლება მოუძებნოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვახტანგ VI-ზე. ვახტანგ VI-ს ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-თან შედარებით გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა იმისათვის, რომ კარგად გაეაზრებინა პრორუსული ორიენტაციის ყველა უარყოფითი შედეგი, არ გაემეორებინა წინამორბედთა დამღუპველი შეცდომები. ვახტანგ VI-ს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის, ოსმალეთის, რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების პერსპექტივის თაობაზე. გარდა ამისა, ვახტანგ VI იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, მკვლევარი, მეცნიერი.

პროირანული ორიენტაციის უარყოფის თაობაზე გადაწყვეტილება ვახტანგ VI-მ ირანში იძულებით ყოფნის პერიოდში (1712-1719 წწ.) მიიღო. ვახტანგ VI ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ორ შესაძლო ვარიანტს ამუშავებდა: დასავლეთ ევროპულსა და რუსულს. იმხანად დასავლეთ ევროპის ქვეყნები ირანის გაძლიერების პოლიტიკას ადგნენ. ასეთი პოლიტიკა განაპირობა ობიექტურმა ვითარებამ. ოსმალეთი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც აზიაში აქტიური საბრძოლო მოქმედებებით შეეძლო ოსმალეთის ძალების მიზიდვა და ამით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება. ცხადია, ასეთ ვითარებაში ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძებნა გულუბრყვილობა იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით მივლინებული სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს სამშობლოში ხელმოცარული დაბრუნდა. ამ დროიდან ჯერ კიდევ ირანში მყოფი ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაციის რეალიზებაზე იწყებს ზრუნვას. პრორუსული ორიენტაციის რეალიზების გზაზე პირველი ნაბიჯი რუსეთის ელჩთან არტიომ ვოლინსკისთან ურთიერთობის დამყარება იყო. მეფედ დამტკიცების (1716 წ.) შემდეგ, 1719 წელს, ქართლში დაბრუნებული ვახტანგ VI აქტიურად იღვწის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.

შეეძლო თუ არა რუსეთს ამ პერიოდისთვის (1719-1722 წწ.) აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ კავკასიის (აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) საქმეებში და ქართლის სამეფო ირანის ბატონობისგან გაეთავისუფლებინა? რუსეთი მზად არ იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ირანთან ომი აუცილებლად გადაიზრდებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში — ოსმალეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონებას არ დაუშვებდა. ირანთან და ოსმალეთთან რუსეთის ომებით დაუყოვნებლივ ისარგებლებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ირანის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722 წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. 1722 წლის მარტში შაჰმა ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპული როსტომის (ვახტანგ VI-ის ძმის) ნაცვლად თავისი გვარდიის სარდლად ვახტანგის ვაჟი ბაქარი დანიშნა და იგი ქართლის ჯართან ერთად სასწრაფოდ ირანში დაიბარა. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ირანისკენ დაიძრა, მაგრამ ვახტანგ VI-მ შვილს შაჰისთვის დახმარების აღმოჩენა აუკრძალა. ბაქარი მამას კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა: ქართლის სამეფოს ჯარის ნაწილი, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის მოლაპარაკების თანახმად, კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის ჯარს შეერთებოდა, ხოლო ნაწილი ავღანელების წინააღმდეგ ირანის შაჰს მიშველებოდა. სამეფო დარბაზის წევრთა დიდი ნაწილი რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევდა და პროირანული ორიენტაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. ვახტანგ VI-მ რჩევა არ გაითვალისწინა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პროირანული ორიენტაციის ერთხელ და სამუდამოდ უარყოფა. ამასობაში ავღანელებმა ისპაჰანი აიღეს, თუმცა ამას ქართლისთვის შვება არ მოუტანია. 1722 წლის მიწურულსა და 1723 წლის დამდეგს ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. პეტრე I-მა კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობა მალევე, 1722 წელს, შეწყვიტა; 2. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ის დასასჯელად ჯარებს აგროვებდა; 3. რუსეთის გააქტიურებითა და პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შეშფოთებული ოსმალეთიც ქართლის სამეფოში შესაჭრელად ემზადებოდა. 4. პროირანული ორიენტაციის კახეთის მეფე

კონსტანტინე ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას გეგმავდა; 5. თბილისში მდგარმა ირანის გარნიზონმა შაჰის ბრძანებით ქალაქს ზარბაზნებიდან ცეცხლი გაუხსნა; 6. 1723 წლის გაზაფხულზე ირანის შაჰის თანადგომით, ლეკთა, განჯისა და ერევნის ხანების ჯარების დახმარებით კახთა მეფე კონსტანტინემ თბილისი დაიკავა; 7. 1723 წლის ივნისში ოსმალეთის ჯარები თბილისს მოადგნენ და ქალაქი აიღეს. კონსტანტინემ კახეთს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამღუპველი შედეგები სახეზე იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. უფრო ადრე (1723 წ.) რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ის შემდეგ საქართველოში პრორუსული ორიენტაცია დავიწყებას მისცემოდა. ასეც მოხდა. 1744 წელს ირანის შაჰმა ნადირმა (1736-1747) ქართლის ტახტი კახთა მეფის კონსტანტინეს ძმას, თეიმურაზ II-ს, ხოლო კახეთისა — თეიმურაზის ვაჟს, ერეკლე II-ს უბოძა. ნადირ-შაჰი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. შაჰის მიზანს პრორუსული ორიენტაციის აღკვეთა შეადგენდა: მომავალში ქართლისა და კახეთის სამეფოები რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფორპოსტად არ უნდა ქცეულიყო. ამიტომ იყო, რომ ნადირ-შაჰი დათმობებზე წავიდა. შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი კახეთის ბაგრატიონებს უბოძა. ამასთან ერთად, თეიმურაზსა და ერეკლეს უფლება მისცა ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ.

ნადირ-შაჰის შემდეგ, ადილ-შაჰისა და განსაკუთრებით კი ქერიმ-ხანის (გარდაიცვალა 1779 წ.) მმართველობის წლებში, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის წყალობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება — „ოსმალობისაგან“ და „ყიზილბაშობისგან“ დაქცეული ქართლი და კახეთი წელში იმართებოდა. თეიმურაზმა და ერეკლემ პრაქტიკულად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს ირანული სახანოები (განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევნის, შუშის).

პროირანული ორიენტაციის წარმატების ფონზე XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთის იმპერიაზე იღებენ ორიენტაციას და მუსლიმური სახელმწიფოებისა და ხალხების აგრესიისგან ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით აპირებენ.

რამ განაპირობა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გადაწყვეტილება პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლის თაობაზე? ისტორიოგრაფიაში ამ საბედისწერო გადაწყვეტილებას თავისი ახსნა აქვს, თუმცა ყურადღების გარეშე რჩება მეტად მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, განმსაზღვრელი მომენტი. ქართლის დევნილმა მეფემ ვახტანგ VI-მ პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში იპოვა. მეფეს რუსეთში გაჰყვა 1200 კაციანი ამალა, მათ შორის ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენლები და აზნაურები. მალე ცხადი გახდა, რომ ვახტანგ VI და მისი თანამებრძოლები რუსეთის საიმპერატორო კარს ჰაერივით სჭირდებოდა. თეიმურაზისა და ერეკლეს წარმატებული პროირანული ორიენტაცია დიდ შეშფოთებას იწვევდა რუსეთში. ქართლისა და კახეთის სამეფოებზე რუსეთი სამხედრო-პოლიტიკურ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა, ეს ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ზე ზემოქმედებისთვის სხვა გზა არჩია. რუსმა დიპლომატებმა მათი დაშინება ქართლის სამეფო ტახტზე ქართლის ბაგრატიონების დაბრუნების მუქარით დაიწყეს. თეიმურაზმა და ერეკლემ კარგად იცოდნენ, რომ ქართლის თავადები ვახტანგ VI-ს დაჟინებით ურჩევდნენ ქართლში დაბრუნებას, ან ტახტის მემკვიდრის ბაქარის გამოგზავნას. რუსეთის საიმპერატორო კარი ვახტანგ VI-სა და ქართლის თავადების თხოვნას ბუნდოვანი დაპირებებით პასუხობდა და, იმავდროულად, საქმის კურსში აყენებდა თეიმურაზსა და ერეკლეს. თეიმურაზისა და ერეკლეს პოზიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ის, რომ 1744 წლიდან მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შვილი კათოლიკოს-პატრიარქი თეიმურაზ ბაგრატიონი (ანტონ I) იყო. ახალგაზრდა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ, მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი განათლება. ანტონ I თავიდანვე აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებსა და საგარეო პოლიტიკაში. მას იმედის თვალით შეჰყურებდნენ როგორც ქართლის თავადები, ისე რუსეთში გადახვეწილი ქართლის ბაგრატიონები, ვახტანგ VI-ის ამალის ცოცხლად დარჩენილი წევრები და მათი შთამომავლები. ეს ძალზე აღიზიანებდა ერეკლესა და თეიმურაზს, განსაკუთრებით თეიმურაზს. თეიმურაზსა და ერეკლეს კარგად ახსოვდათ, რომ 1747 წელს, თეიმურაზის ირანში ყოფნის პერიოდში, ანტონ I-მა მხარი დაუჭირა ქართლის ტახტისთვის მებრძოლ საკუთარ ძმას — იესეს მეორე ვაჟს აბდულა-ბეგს. აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ანტონ I-მა იგი სასჯელისგან იხსნა და ერეკლესთან შეარიგა. გარდა ამისა, ანტონ I-მა ირანიდან ჩამოიყვანა თავისი ნახევარძმა — იესეს მაჰმადიანი შვილი ალექსანდრე (ისაყ-ბეგი) თავისი ოჯახით, ყველანი მონათლა და ქართლში დაასახლა. თეიმურაზ II-ს ეჭვი ჰქონდა, რომ ანტონ I ალექსანდრე იესეს ძეს ქართლში გამეფებას უპირებდა.

თეიმურაზ II რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს ვერაფერს დააკლებდა. სამაგიეროდ, ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენებას კი მიაღწია. 1755 წელს ანტონ I-ს ბრალი დასდეს მართლმადიდებლობის ღალატში და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატის გაზიარებაში. ეს იყო სრული სიცრუე. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის არასოდეს უღალატია და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატი არასოდეს გაუზიარებია. ანტონ I-ს ცილი დასწამეს თეიმურაზ II-ის მომხრეებმა. 1755 წელს საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადააყენა და მღვდელმსახურება აუკრძალა. საეკლესიო კრებაზე ანტონ I მედგრად იცავდა თავს და წაყენებულ ბრალდებებს უარყოფდა. მალე ანტონ I მიხვდა, რომ მას ქართლ-კახეთში აღარ დაედგომებოდა და ტაქტიკა შეცვალა. 1756 წელს საეკლესიო კრებაზე ანტონ I-მა აღიარა „შეცდომა“ და „მოინანია“. ამის სანაცვლოდ მას მღვდელმსახურების უფლება აღუდგინეს და რუსეთში წასვლის ნებაც დართეს. ჩაუდენელი შეცოდების აღიარებითა და მონანიებით ანტონ I-მა თავი იხსნა მოსალოდნელი დევნა-შევიწროებისგან და უფრო მკაცრი სასჯელისგან. ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენება რუსეთმა საკუთარ მარცხად მიიჩნია. ქართლის ბაგრატიონების (ვახტანგ VI-ის შთამომავლების) რუსეთში ყოფნა და ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლის კათოლიკოს-პატრიარქობა თეიმურაზსა და ერეკლეზე ზემოქმედების (დაშინების) შესანიშნავი საშუალება იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. 1756 წელს ანტონ I-მა რუსეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და მალე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წინაშე თავიც იმართლა. ანტონ I-ს თავის მართლებაც არ სჭირდებოდა — რუსეთში კარგად უწყოდნენ მისი კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენების ნამდვილი მიზეზი. რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ანტონ I არქიეპისკოპოსად გამოარჩია და ვლადიმირისა და იაროპოლის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინა. ცხადია, ყოველივე ეს პროირანული ორიენტაციის მომხრე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამოწვევას ნიშნავდა. რუსეთში ჩასული ანტონ I დიდი სიხარულით მიიღეს მისმა ნათესავებმა — ქართლის ბაგრატიონებმა. თეიმურაზისა და ერეკლეს ოპოზიცია რუსეთში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა.

თეიმურაზ II-ის ელჩობის (1760-1762 წწ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი კვლავ განაგრძობს ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსულ ორიენტაციაზე საბოლოოდ დაყოლიებას. ერეკლე II-ს ამჯერადაც ქართლის ბაგრატიონების და ქართლის თავადების ოპოზიციით აშინებდნენ. რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს არ ენდობოდა. პეტერბურგში ისიც აღიზიანებდათ, რომ თეიმურაზის რუსეთში ელჩობით შეშფოთებულ ირანის მბრძანებელ ქერიმ-ხანთან ერეკლე II-მ ურთიერთობის მოგვარება შეძლო. ირანსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნება რუსეთის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. ერეკლე II რუსეთისთვის ადვილი სამართავი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ქართლ-კახეთის სამეფოსა და ირანს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა. ერეკლე II პოზიციებს ადვილად არ თმობდა. 1765 წელს იგი დიდი სისასტიკით გაუსწორდა რუსეთის ფარული მხარდაჭერით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულებას).

რუსეთის საიმპერატორო კარიდან მომდინარე შანტაჟის პოლიტიკას თეიმურაზმა და ერეკლემ 20 წელი გაუძლეს. ქართლ-კახეთის პროირანული ორიენტაცია დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა ქართლის თავადები ძალზე გააღიზიანა. 1770 წელს ასპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი თავადი ზაალ ორბელიანი რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებას ერეკლე II-ისთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდა. ერეკლესთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას გენერალ გ. ტოტლებენს სთხოვდნენ ზაალ ორბელიანი და დავით ქსნის ერისთავი. სავარაუდოა, რომ ქართლის თავადებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მითითება საქართველოში გამოგზავნილმა რუსეთის ჯარის სარდალმა გ. ტოტლებენმა პეტერბურგშივე მიიღო. ერეკლე II-სა და გ. ტოტლებენს შორის ურთიერთობის დაძაბვაში ქართლის თავადებმაც შეიტანეს წვლილი. ყოველივე ეს კარგად უწყოდა ერეკლე II-მ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა. ერეკლე II-ის წინაშე დადგა საკითხი: ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით უნდა შეეცვალა ან რუსეთი კვლავინდებურად გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების მხარდაჭერას ერეკლე II-ის წინააღმდეგ. კახეთის ბაგრატიონებმა ქართლის ტახტი ირანის შაჰის წყალობით მიიღეს და გამორიცხული არ იყო, ირანის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს ყველა ღონე ეხმარა ქართლის სამეფოს ტახტზე მისი ერთგული ვახტანგ VI-ის შთამომავლობის დასაბრუნებლად. ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა.

ამრიგად, ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია იყო იძულებითი და არ წარმოადგენდა ქართლ-კახეთის მეფის სურვილს. ერეკლე II ან პრორუსულ ორიენტაციას უნდა დასთანხმებოდა ან ირანის დახმარებით წინ უნდა აღდგომოდა რუსეთს. დასუსტებული ირანი ქართლ-კახეთის მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. ერეკლე II იძულებული გახდა პრორუსულ ორიენტაციაზე დამდგარიყო.

პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ შვეიცარიაში აგვისტოს მოვლენებზე საჯარო ლექციები წაიკითხა

31 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ნოდარ ბელქანია ლექციების კურსის წასაკითხად ბაზელის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტში იყო მიწვეული. მასპინძლების თხოვნით მან ბაზელის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტში 3 ნოემბერს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „კონფლიქტი კავკასიაში: მიზეზები და შედეგები“. 5 ნოემბერს პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ ბერნში ფედერალური კანცელარიის ე.წ. პოლიტ ფორუმზე იმავე თემაზე მეორე ლექცია წაიკითხა. ეს ლექცია ბერნის უნივერსიტეტის, ფედერალური კანცელარიის პოლიტ ფორუმის და ქართული დიასპორის თხოვნით გაიმართა. ორივე ლექციას ფართო აუდიტორია ჰყავდა. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის დეტალებით დაინტერესებულ საზოგადოებას — სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დიპლომატებს, ქართული დიასპორისა და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს არაერთ კითხვაზე სურდათ პასუხის მოსმენა. როგორც ბატონმა ნოდარ ბელქანიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, შვეიცარიის მოქალაქეებს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით რუსული ვერსიების გაცნობის უფრო მეტი საშუალება აქვთ, ვიდრე ქართული წყაროების. შედეგი სამწუხაროდ ისაა, რომ შვეიცარიაში ძირითადად ისე არიან ინფორმირებულნი, როგორც ეს რუსეთს აწყობს. ამდენად, ქართველი პროფესორის ბაზელის უნივერსიტეტსა და ბერნის ფედერალურ კანცელარიაში სტუმრობას და მის საჯაროდ წაკითხულ ლექციებს მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა არ ჰქონია. ლექციას პოლიტიკურ მნიშვნელობას სძენდა სწორედ ის ფაქტორი, რომ ბატონი ნოდარი საქართველოს წარმომადგენლის რანგში წარსდგა აუდიტორიის წინაშე და საზოგადოებას ის რეალური სურათი დაუხატა, რამაც ჩვენი ქვეყანა ომის ზღვარამდე მიიყვანა. მოხსენება იმ ისტორიულ რაკურსს მოიცავდა, რაც ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების გაღვივების მიზეზსა და საბაბს ხსნიდა.

ნინო კაკულია

აღსანიშნავია, რომ ბაზელის უნივერსიტეტში ლექციას ესწრებოდა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გაეროს ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ქალბატონი ჰაიდი ტალიავინი, რომლის კანდიდატურაც საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ აგვისტოს მოვლენების საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე წარადგინა. როგორც ნოდარ ბელქანიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ლექციის შინაარსი აუდიტორიისთვის სრულიად ახალი იყო. „მე მქონდა ისეთი მასალა წაღებული, რის შესახებაც შვეიცარიაში არაფერი იცოდნენ. ისინი იმ ინფორმაციას ფლობენ, რასაც მათ რუსული წყაროები აწვდიან. მე მათ გავაცანი პრობლემის ისტორია და ავუხსენი, რომ ეს კონფლიქტი აგვისტოდან კი არ იღებს სათავეს, არამედ იგი ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში დაიწყო, ანუ მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად საქართველო დამოუკიდებელი გახდა. ავუხსენი მათ, რომ კონფლიქტების არსებითი მიზეზი არის ის, რომ რუსეთი ვერ იტანს საქართველოს დამოუკიდებლობას. მათ პირველად ჩემგან გაიგეს, რომ ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში გაფუჭდა. ეს მაშინ, როდესაც საქართველო ერთა ლიგისგან დამოუკიდებლობის აღიარებას ცდილობდა, ხოლო რუსეთში ბოლშევიზმი მძვინვარებდა. ბოლშევიკები ყოველგვარი მექანიზმებით ცდილობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ეთნიკური უმცირესობები, განსაკუთრებით ოსები და აფხაზები გამოეყენებინათ.

ოსებმა სამჯერ წამოიწყეს აჯანყება, 1918 წელს საბჭოთა წყობილებაც კი გამოაცხადეს ცხინვალში, შემდეგ 1920 წელს მოხდა დიდი აჯანყება, რომელსაც ბოლშევიკები აფინანსებდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ქართველი ბოლშევიკებიც არანაკლებად აქტიურობდნენ და ებრძოდნენ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობას. 1920 წლის მაისში მართალია, რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოში ბოლშევიკების ხელშეუხებლობაც მოითხოვა. დაახლოებით 20 ათასი ოსი იძულებული გახდა გადასულიყო ჩრდილოეთში და ამის შემდეგ ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა ძალზე გაფუჭდა. 1921 წელს, როდესაც ორჯონიკიძის წინამძღოლობით სომხეთიდან მეთერთმეტე არმია შემოდიოდა, ოსებთან ერთად აფხაზებიც აჯანყდნენ და ამით ხელი შეუწყვეს საქართველოს გასაბჭოებას. შვეიცადე აუდიტორიისთვის ამეხსნა – რას ვერ პატიობს ქართველი ოსს და ოსი — ქართველს. საზღვარგარეთ ისიც უნდა იცოდნენ, როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთს თავის მეზობლებთან, განსაკუთრებით საქართველოსთან – ეს სათქმელი აუდიტორიამდე მგონი მივიტანე. განსაკუთრებით დიდი დაინტერესება გამოიწვია აგვისტოს მოვლენების ამსახველი თანამგზავრიდან გადაღებული სურათების ხილვამ, რაც ლექციის მსვლელობისას სლაიდების სახით ვუჩვენე. მათ საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით ენახათ, თუ რამდენად არის დანგრეული ცხინვალი, თამარაშენი, კეხვი... ამ თვალსაჩინო მასალამ დიდი დაინტერესება გამოიწვია: ცხინვალი არის 5 პროცენტით დანგრეული, თამარაშენი 52 პროცენტით, აჩაბეთი და სხვა ქართული სოფლები 40-დან 52 პროცენტამდეა დანგრეული... დამსწრე საზოგადოების ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ რუსეთმა სულ სხვანაირად წარმოაჩინა ეს სურათი. მისი ინფორმაციით, ცხინვალი მთლიანად დაინგრა და 2000-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. თანაც ცხინვალს ხომ თავად რუსეთიც ბომბავდა. მე მათ წარვუდგინე „ჰუმან რაიტს ვოჩის“ საბუთები, რომელიც მოწმობს, რომ ცხინვალში 94 მოსახლე დაიღუპა. თუმცა, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, რაოდენობრივი მიდგომა საერთოდ უხერხულია. ფოტო-მასალაზე თითოეული სახლი ჩანს და ისიც აღნიშნულია, თუ რომელია დაზიანებული და რომელი — უვნებელი. ვაჩვენე ის სურათებიც, რომელზეც ნათლად ჩანს დაღვრილი ნავთობი, განადგურებული ტყეები, ფოთის პორტი... “ — განაცხადა ნოდარ ბელქანიამ ჩვენთან საუბარში და აქვე მადლიერებით აღნიშნა, რომ ეკოლოგიური აგრესიის შესახებ მასალები მას პროფესორმა გიზო ურუშაძემ მიაწოდა. ბერნის უნივერსიტეტში ლექციას ესწრებოდნენ, ასევე, რუსეთის საელჩოდანაც, რომლის წარმომადგენლებსაც ლექციის მსვლელობისას ხმა არ ამოუღიათ. თუმცა შვეიცარიაშიც რუსეთი ისეთივე პროპაგანდას ეწევა, როგორც სხვა სახელმწიფოებში.

„ბაზელში წაკითხული ლექციის მოსმენის შემდეგ, მეორე დღეს დამირეკა გაზეთ „ბაზლერ ცაითუნგის“ კორესპონდენტმა, რომელიც თურმე ლექციას ესწრებოდა და ჩემგან ინტერვიუ აიღო. მათ სულ აინტერესებთ, რამდენად დამნაშავეა საქართველოს ხელისუფლება ამ კონფლიქტში. რუსები მილიონებს იხდიან იმაში, რომ გავლენიანი გაზეთების საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია გაავრცელონ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და არც ფინანსურად და არც გავლენით იმის საშუალება არ გვაქვს, რომ მსოფლიოს ჩვენი სიმართლე და პოზიციები გავაცნოთ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა ხერხი უნდა გამოვიყენოთ, რათა საზღვარგარეთ ხალხს ჩვენი კონფლიქტების რეალური ისტორია აღვუწეროთ — ამას ჩვენი ქვეყნისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. უცხოეთში არ იციან ამ პრობლემის რეალური არსი. რუსული ვერსია სულ სხვაა“, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა, რომელმაც გვითხრა, რომ აუდიტორია დიდი ყურადღებით ისმენდა ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიას და იმას, თუ რატომ დაერქვა ცხინვალს სტალინირი, რას ნიშნავს „ვლადიკავკაზი“ და ა.შ... „არ შემეძლო ლექციაზე მხოლოდ მეცნიერივით მელაპარაკა, რადგან ეს ომი მეც შემეხო. დამსწრე საზოგადოება ძალიან დაინტერესდა — სად ვიყავი ომის დროს და რას განვიცდიდი. მომიხდა ჩემი თავგადასავლისა და პირადი ემოციების შესახებაც მესაუბრა. ლექციის შემდეგ დისკუსიისას მოდერატორს ის აზრიც გაუჩნდა, რომ რუსეთის წარმომადგენლის პოზიციებიც მოესმინა. მე ვიკითხე – რუსს რისთვის იწვევთ? ოსი და აფხაზი მოიწვიეთ, რუსმა რა უნდა თქვას? მან გადაყლაპა ამ ქვეყნის ტერიტორიები და იმას ხომ არ იტყვის, ჩემი ბრალიაო? — ჩემს ამ კომენტარს დარბაზში აუდიტორიის ტაში მოჰყვა. მათ ჩემი კრიტიკაც მიიღეს, როდესაც ვთქვი, რომ დასავლეთი მაშინ არ უნდა გაჩუმებულიყო, როდესაც რუსეთმა ოსეთსა და აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო და აფხაზეთში რკინიგზა გაიყვანა. ევროპას არ უნდა გაემარტივებინა რუსეთისთვის სავიზო რეჟიმი, რამაც სეპარატისტებს რუსული პასპორტების აღების სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრა, ან საქართველოსთვისაც იგივე პრივილეგიები უნდა მიენიჭებინათ. მე მათ ვუთხარი, პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ-მეთქი. ამ მოსაზრებას ისინი დაეთანხმნენ“, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა.

მისი სტუმრობა შვეიცარიაში სასარგებლო იყო იმდენად, რამდენადაც ფართო აუდიტორიისთვის ცნობილი გახდა ის სიმართლე, რის მიტანასაც აუდიტორიამდე ქართული მხარე ხშირად ვერ ახერხებს. რუსეთის აგრესორად წარმოჩენა — ეს ქართველის აკვიატებული იდეაფიქსი არ გახლავთ, რუსეთი არის აგრესორი და თავისი გავლენის და პროპაგანდის წყალობით დღემდე ახერხებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებას, რადგან სეპარატისტული მოძრაობების წახალისების გზაზე სერიოზული წინააღმდეგობა მსოფლიოს მხრიდან ჯერ არ შეხვედრია. „ჩვენ სიმართლე უნდა გავაგებინოთ ყველას — ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ეს არის ამ პრობლემის გასაღები, თუმცა, ჩვენი წილი პასუხისმგებლობაც უნდა ავიღოთ“, — ამბობს ნოდარ ბელქანია, რომელსაც მიაჩნია, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთოს საზღვარგარეთ საჯარო ლექციების კითხვის პროცესში. შვეიცარიაში თსუ-ის პროფესორის ნოდარ ბელქანიას ვიზიტის დასრულების შემდეგ ამ ღონისძიების ინიციატორთა მხრიდან მადლობის წერილები მოვიდა, სადაც ისინი საჯარო ლექციების აქტუალობასა და ბატონ ნოდარ ბელქანიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს.

ნოდარ ბელქანიას შვეიცარიაში ვიზიტს ჩვენი უნივერსიტეტისთვის ერთი ძალზე პოზიტიური შედეგიც მოჰყვა: ბაზელის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტი მზადაა ყოველწლიურად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მაგისტრატურაში სასწავლებლად 4 სტუდენტი მიიღოს.

სიახლე

თსუ-ში ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკა სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული შინაარსის ინგლისურენოვანი ლიტერატურით არის აღჭურვილი. თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიებითაც ისარგებლებენ. მკითხველს წიგნების გატანა ორი კვირის ვადით შეეძლება. ბიბლიოთეკის პრეზენტაცია 18 ნოემბერს გაიმართა. ახალი შემეცნებითი ცენტრის გახსნას თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დენის კიფი და ბრიტანეთის საბჭოს თბილისის ფილიალის ხელმძღვანელი პოლ დაბლდეი დაესწრნენ.

ნატო ოგოლაძე

ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა თსუ-ის მეორე კორპუსში განთავსდა. ბიბლიოთეკით სარგებლობა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გარდა ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურით, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით მსურველებს ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე ნებისმიერი დარგის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეეძლებათ. მკითხველებს ერთი ბიბლიოთეკარი გაუწევს მომსახურებას. წიგნების მრავალფეროვნებისა და კომფორტული გარემოს გამო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკას მკითხველი არ მოაკლდება. „ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა იმ დეფიციტს შეავსებს, რომელიც უნივერსიტეტში თანამედროვე ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით იქმნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებსა და პროფესურას წიგნების გარკვეული ვადით გატანა შეეძლებათ. მადლობა მინდა ვუთხრა ბრიტანეთის საბჭოს იმისთვის, რომ ამ ბიბლიოთეკამ სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში დაიდო ბინა“, – განაცხადა პრეზენტაციაზე გიორგი ხუბუამ.

ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოტანა საბჭოს ცენტრალურ ოფისში გადაწყდა. ამავე გადაწყვეტილებით ანალოგიური ღონისძიება მსოფლიოს მასშტაბით 109 ქვეყანაში გატარდა — საბჭოს ხელმძღვანელობამ ყველა ფილიალის ბიბლიოთეკები ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებს გადასცა.

ბიბლიოთეკის პრეზენტაციაზე ბრიტანეთის საბჭოს თბილისის ფილიალის ხელმძღვანელმა პოლ დაბლდეიმ აღნიშნა, რომ ბრიტანელები უნივერსიტეტისთვის დახმარების გაწევას მომავალშიც გეგმავენ. „უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი შემეცნებითი ცენტრის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია. მოხარული ვარ, რომ წიგნები უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადაეცა. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიება უნივერსიტეტთან მჭიდრო პარტნიორობისთვის კარგი დასაწყისია“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის პროფესორებისა და ბრიტანელი დიპლომატების მოსაზრებებს უნივერსიტეტის სტუდენტებიც იზიარებენ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ახალი ლიტერატურის გაცნობა წიგნის საშუალებით გაცილებით უკეთესია, ვიდრე ინტერნეტით და რომ ბიბლიოთეკის გახსნა მათ თანამედროვე ინგლისურენოვანი წიგნების დეფიციტს შეუვსებს.

ბრიტანული საბჭოს ბიბლიოთეკას ახალი წიგნები პრეზენტაციაზეც გადასცეს. „ბაირონის საზოგადოების“ ხელმძღვანელმა ინესა მერაბიშვილმა ბიბლიოთეკას მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „გალაკტიონ ტაბიძის პოემები“, საკუთარი საავტორო წიგნი „კულტურათა დიალოგი“ და ქართულ-ინგლისურ ენებზე გამოცემული „ბაირონის პოემები“ გადასცა.

საქართველო და აზერბაიჯანი — რეგიონალური ინტეგრაციის პერსპექტივები

11 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აზერბაიჯანის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი სემინარი: „საქართველო და აზერბაიჯანი — რეგიონალური ინტეგრაციის პერსპექტივები“.

სემინარს ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, პროფესორი ნამიკ ალიევი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი, ასოცირებული პროფესორი გიორგი კვერენჩხილაძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნიკა ჩიტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სარდიონ ზედელაშვილი, აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

მაია ტორაძე

სემინარი გახსნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის ელჩს საქართველოში, პროფესორ ნამიკ ალიევს ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის და აღნიშნა, რომ სემინარის თემატიკა სწორად შეირჩა, რადგან საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობას განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება, როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. „ეს სემინარი მხოლოდ დასაწყისია ამ ურთიერთობის სამართლებრივი მხარეების გაანალიზების კუთხით. აქ შევიკრიბეთ ქართველები და აზერბაიჯანელები, რომელთათვისაც ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ურთიერთობებს თავისი ტრადიციები გააჩნია, რაც მომავალში კიდევ უფრო უნდა გამყარდეს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ და მადლობა გადაუხადა კოლეგებს, რომლებმაც სემინარისთვის მოხსენებები მოამზადეს.

მოხსენება — „ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის თანამედროვე კონსტიტუციის იდეოლოგი“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, პროფესორმა ნამიკ ალიევმა წარმოადგინა. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა აზერბაიჯანელი ხალხის მაშინდელი ლიდერის ჰეიდარ ალიევის დამსახურება კონსტიტუციის მიღებაში: „ჰეიდარ ალიევი იურისტი არ იყო, მაგრამ იგი აქტიურად მონაწილეობდა კონსტიტუციის შემუშავების პროცესში, ყურადღებით ეპყრობოდა თითოეული მუხლის შემუშავებას და კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის სხდომებზე საუბრობდა, როგორც პროფესიონალი, რომელიც ფლობდა საკითხის არსს, საერთაშორისო კანონებსა და ნორმებს. შედეგადაზერბაიჯანის კონსტიტუციაში ჩაიდო ყველაზე დემოკრატიული პრინციპები, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს. აზერბაიჯანის კონსტიტუცია უნიკალურია იმით, რომ მისი 158 მუხლიდან 66 ადამიანის უფლებების დაცვას ეძღვნება“, — აღინიშნა მოხსენებაში.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ავთანდილ დემეტრაშვილმა წაიკითხა მოხსენება — „კონსტიტუციური განვითარების თავისებურებანი (საქართველოსა და აზერბაიჯანის მაგალითზე)“. მან აღნიშნა, რომ ამ ორი ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ისტორიას შორის ძალიან ბევრი მსგავსებაა.

„ქვეყნის კონსტიტუციური განვითარება იწყება მას შემდეგ, რაც შეიქმნება კონსტიტუცია. საქართველოსა და აზერბაიჯანში ეს ისტორია სათავეს 1918 წლიდან იღებს, როცა ჩვენც და აზერბაიჯანელებმაც დამოუკიდებლობის დეკლარაცია მივიღეთ. შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, ორივე ქვეყანა საბჭოთა იმპერიაში ცხოვრობდა.

1990 წელს საქართველომ, ხოლო 1991 წელს აზერბაიჯანმა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი აღადგინეს. ამის შემდეგ ორივე ქვეყანაში დაიწყო 4 წლიანი ომის პერიოდი, რასაც არასამართლებრივი რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

1995 წელს საქართველომ (24 აგვისტოს) და აზერბაიჯანმა (12 ოქტომბერს) მიიღო ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია.

ძირითადი მუხლებით საქართველოსა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები აერთიანებენ თანამედროვე ფილოსოფიურ და ჰუმანურ პრინციპებს, რომლებიც დემოკრატიულ და სამართლებრივ პრინციპებსაც მოიცავენ. ორივე კონსტიტუციაში მთავარია სუვერენიტეტის დაცვა. ასევე, საკანონმდებლო მუხლების ნახევარზე მეტი ადამიანის უფლებების დაცვას ეთმობა. მასში მითითებულია ხელისუფლების ორგანიზების და დაყოფის თანამედროვე მოთხოვნები. აღნიშნულია, რომ საქართველოც და აზერბაიჯანიც არის ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. აზერბაიჯანის კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ფრანგი ექსპერტები, ხოლო საქართველოს კონსტიტუციაზე ამერიკელი ექსპერტები მუშაობდნენ. კონსტიტუციის პირველი რედაქცია (საქართველოს კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილება შევიდა) ითვალისწინებდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის ამერიკულ მოდელს.

ორივე კონსტიტუციაში დიდი ადგილი ეთმობა ქვეყნის მთავარ პირს — პრეზიდენტს. აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ 35 წლის პიროვნება. საპრეზიდენტო ვადა ორივე ქვეყანაში 5 წელია, პრეზიდენტის ზედიზედ 2-ჯერ არჩევის შესაძლებლობით.

აზერბაიჯანში პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. საქართველოში ეს მოვალეობა გამოკვეთილი არ არის, მაგრამ კონსტიტუციური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ორივე კონსტიტუციის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა შეიძლება, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამის შესაძლებლობას დაადგენს, მაგრამ არის მუხლები, რომლის გადახედვაც არ შეიძლება — ასეთია მუხლი ხელისუფლების უზურპაციის, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფის პრინციპების შესახებ“, — განაცხადა ავთანდილ დემეტრაშვილმა. მოხსენების დასრულების შემდეგ მან თხოვნით მიმართა ნამიკ ალიევს — აღადგინოს თსუ-სა და ბაქოს უნივერსიტეტს შორის ტრადიციულად არსებული სამეცნიერო პედაგოგიური კავშირები. ამ იდეას თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუაც მიესალმა.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი კვერენჩხილაძემ სამართლებრივად მიმოიხილა „კონსტიტუციური მართლმსაჯულება საქართველოსა და აზერბაიჯანში“.

მან აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას ევროპული კონვენციის სამართლებრივ ნორმებს ეყრდნობიან, რაც კონკრეტული მაგალითების მოშველიებით დაადასტურა.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნიკა ჩიტაძის მოხსენებაში — „სტრატეგიული თანამშრომლობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის“ წარმოდგენილი იყო საინტერესო მონაცემები ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველო-აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ურთიერთობის მაჩვენებლები იზრდება. ამის დამადასტურებლად მომხსენებელმა მოიყვანა სტატისტიკური მონაცემი, რომლის მიხედვითაც 2008 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობა 643 მილიონი ამერიკული დოლარია. საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში 2008 წელს გასულ წელთან შედარებით 69 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება აზერბაიჯანული პროდუქციის ექსპორტს საქართველოში, ექსპერტთა განცხადებით, წინა წელთან შედარებით მან 90 პროცენტით მოიმატა, რაც საერთო ჯამში 476 მილიონი ამერიკული დოლარია.

ნიკა ჩიტაძემ ისაუბრა აგრეთვე აზერბაიჯანის მხრიდან გაწეულ დახმარებაზე იმ პერიოდში, როცა გაზპრომმა ბუნებრივი აირის ტარიფები გააძვირა. მანვე ისაუბრა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მნიშვნელობაზე და საქართველოში აზერბაიჯანული ინვესტიციების მომრავლებაზე. მან მაგალითად მოიყვანა აზერბაიჯანული „სოპაკის“ 454 მილიონ დოლარიანი ინვესტიცია.

საერთო სურათის შესაქმნელად მომხსენებელმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზეც ისაუბრა და ამ რეგიონში რუსეთის მოქმედებებზე გაამახვილა ყურადღება. „რუსეთი შეეცადა აზერბაიჯანთან მოლაპარაკებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნიდან გაეტანა ბუნებრივი აირი და სანაცვლოდ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში დახმარებოდა, ოღონდ საქართველოსთან არ გაეფორმებინა ხელშეკრულება. ამ შეთავაზების მიუხედავად აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა“, — განაცხადა მოხსენებელმა.

ამავე მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივი მონაწილეობით საერთაშორისო პროექტების განხორციელება იწყება. „ევროკავშირი, რომელიც ცდილობს, თავი დააღწიოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას, ამ ეტაპზე იწყებს პროექტ „ნაბუქოს“ განხორციელებას, რომლის ღირებულება 6 მილიარდი დოლარია და, სხვა რესურსებთან ერთად, ითვალისწინებს 60 მილიარდი კუბური მეტრი (ექსპერტთა გათვლით) აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას“, — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

მანვე ისაუბრა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე, რომლის ღირებულება 600 მილიონი ამერიკული დოლარია. იგი დიდ როლს შეასრულებს საქართველო-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობაში, რადგან ამ გზით შეძლება 20 მილიონი ტონა ტვირთის ტრანსპორტირება.

სემინარის დასასრულს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა სარდიონ ზედელაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება „აზერბაიჯანი XX საუკუნის ბოლოს“. აღნიშნული ღონისძიება საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის სტრატეგიული მნიშვნელობა.

დღეს უფრო მეტი სომეხი ეროვნების ახალგაზრდა ინტერესდება უნივერსიტეტში სწავლით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არმენოლოგიის კათედრა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ჯერ კიდევ 1922 წელს შეიქმნა. სომხურ-ქართული ურთიერთობების მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებს და ამიტომ არმენოლოგიის, როგორც სამეცნიერო და აკადემიური დისციპლინის შესწავლას იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა.

უნივერსიტეტში სომხური ენის სწავლება ტრადიციისამებრ რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: სომხური ენა, სომხური ენის ისტორია, დიალექტოლოგია, სომხური ლიტერატურა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, წინამორბედთა მსგავსად, თვლის, რომ საქართველოში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდების ინტეგრაციისთვის მეტი ხელშეწყობა და თანადგომაა საჭირო.

შურთხია ბეროშვილი

11 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალქალაქის სომხური საჯარო სკოლის უფროსკლასელები და პედაგოგები ეწვივნენ, რომლებიც უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუასა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ.

როგორც გიორგი ხუბუამ მოსწავლეებთან საუბრისას აღნიშნა, სახელმწიფო უნივერსიტეტი სომეხი ეროვნების ახალგაზრდებს კვლავაც ხელს შეუწყობს ქართული ენის შესწავლაში, რათა მათ წარმატებული პროფესიული კარიერის შესაქმნელად უკეთესი პერსპექტივა ჰქონდეთ.

„საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს იმის განცდა უნდა დაეუფლოს, რომ ჩვენ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ და ჩვენი შანსები თანაბარია. ამიტომ სომეხი მოსახლეობისთვის აუცილებელია ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაცია.მიხარია, რომ ამ დარბაზში შეიკრიბა ახალგაზრდობა, რომელსაც სურს, რომ თავისი ბედი უნივერსიტეტს დაუკავშიროს და ქართული ენა შეისწავლოს“, — მიმართა გიორგი ხუბუამ სომეხი ეროვნების ახალგაზრდებს. მისი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი, რათა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შეძლოს.

„თქვენი სურვილი, ისწავლოთ ქართული ენა და ჩააბაროთ უნივერსიტეტში, მისასალმებელია. პროფესიული წარმატება განათლების დონითა და ხარისხით განისაზღვრება. თუ გსურთ, იყოთ კონკურენტუნარიანი, უნდა გქონდეთ შესაბამისი განათლებაც. გულწრფელად გვსურს, რომ ყველა სფეროში უფრო მეტი წარმატებული სომეხი ეროვნების ადამიანი მოღვაწეობდეს, კერძოდ: პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში... უხერხულიცკია ვამტკიცოთ, რომ ქართულ სახელმწიფოში არც ერთმა ერმა არ უნდა იგრძნოს თავი დაჩაგრულად. თქვენ უნდა გქონდეთ იმის განცდა, რომ ამ ქვეყანაში დიდი პერსპექტივა გაქვთ“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ახალქალაქის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს არმენოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ზაზა ალექსიძემაც მიმართა. მან იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც აღნიშნული მიმართულება ისახავს მიზნად. მისი თქმით, უნივერსიტეტში ყოველთვის ინტერესდებოდნენ სომხური კულტურით. ბატონმა ზაზამ იმედი გამოთქვა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება.

„თავად პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელმა ივანე ჯავახიშვილმა კარგად იცოდა სომხური ენა. როგორც ცნობილია, მან პეტერბურგში აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობით სომხურ-ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან არსებობდა არმენოლოგიის კათედრა, სადაც სერიოზული კვლევები მიმდინარეობდა. აქ პირველივე წლებიდან იკითხებოდა არმენოლოგიური დისციპლინები: ძველი სომხური ენა, სომხური სამართლის ისტორია, სომხეთის ისტორია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დღემდე შემონახულია პირველი ლექციების კონსპექტი, სრული კურსი — „სომხური ენის ისტორიის შესავალი“, რომელსაც დავით ყიფშიძე კითხულობდა. შემიძლია დავადასტურო, რომ ეს კონსპექტი თანამედროვე სწავლების დონეს დღესაც შეესაბამება.

მოხარული ვიქნებით, რომ თქვენი სახით ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა რიგებს სომეხი ეროვნების ახალგაზრდებიც შეემატებიან. დღევანდელი შეხვედრაც ამ მიზანს ემსახურება. ასევე, გვინდა გაგაცნოთ, თუ რა პირობებს გთავაზობთ უნივერსიტეტი აქ მოხვედრის შემთხვევაში, რათა უფრო მეტი მოტივაცია გაგიჩნდეთ — ეროვნული გამოცდებისთვის კარგად მოემზადოთ და ქართულ ენას დაეუფლოთ“, — აღნიშნა ზაზა ალექსიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ახალქალაქის საჯარო სკოლის უფროსკლასელებთან სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. საუბარის თარგმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არმენოლოგიის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა დიანა ტერ ბაღასარიანმა ითავა.

ზაზა ალექსიძემ მოსწავლეებს გააცნო, თუ რას ითვალისწინებს არმენოლოგიის მიმართულებაზე დანერგილი პროგრამები. მისი თქმით, ქართველი და სომეხი სტუდენტები მერხზე ერთად სხდომით უკეთესად ითვისებენ ერთმანეთის ენას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და პედაგოგებმა ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეებს წამატება უსურვეს და სტუდენტურ კაფეში მიიპატიჟეს.

უნივერსიტეტში სკოლიდან არასაკმარისი განათლების მქონე ახალგაზრდები მოდიან

განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების თაობაზე არაერთი განსხვავებული შეხედულება არსებობს. მოგეხსენებათ, რომ აჟიოტაჟი მოჰყვა საჯარო სკოლებში 12 წლიანი სასწავლო პროცესის შემოღებასა და რამდენიმე საგნის გაერთიანებას. ახალი სასწავლო სახელმძღვანელოების „დედაარსის“ გაცნობა კი დღემდე იწვევს მშობელთა, პედაგოგთა და სპეციალისტთა უკმაყოფილებას, რომელთა რიცხვს უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებიც შეემატა. საგანმანათლებლო რეფორმის მესამე წლისთავზე უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და 199-ე და 189-ე საჯარო სკოლების პედაგოგები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ, საერთო პრობლემაზე ისაუბრეს და საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის ერთიან სტრატეგიაზე შეთანხმდნენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 25 ნოემბერს გამართული სემინარი თემაზე: „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შეფასების წინასწარი ანგარიში“.

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოწვეულმა პროფესორმა რომან ჯობავამ სპეციალურ ჯგუფთან ერთად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შეფასების მიზნით კვლევა ჩაატარა და მთავარი პრობლემის — უნივერსიტეტში არასაკმარისი განათლების მქონე აბიტურიენტების მოსვლის მიზეზის დადგენას შეეცადა. კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და იესემ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასებებზე დაყრდნობით ჩატარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის პრიორიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პრობლემის წარმოჩენა იყო. პროფესორებმა კვლევისას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის საქმიანობის მთავარი ასპექტი — შეფასების სისტემაც შეისწავლეს. გაირკვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში არასაკმარისი განათლების მქონე აბიტურიენტთა ჩარიცხვის პრობლემა უკავშირდება სასწავლო პროგრამების ხარისხს, რაც სკოლის მოსწავლეთა სათანადოდ მომზადებას ვერ უზრუნველყოფს. სემინარზე კვლევის თანაავტორებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ უმაღლეს სასწავლებელში ოთხი ან თუნდაც ექვსწლიანი სწავლა სტუდენტს ვერ აუნაზღაურებს იმ დანაკლისს, რაც მისთვის ნორმალური სასწავლო პროგრამის პირობებში შეეძლო სკოლას მიეცა.

სემინარზე ანალიტიკური მოხსენება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შეფასების შესახებ დოქტორებმა ლევი გეონჯიანმა და მარიამ ლომოურმა წარმოადგინეს. კვლევის მიზანს აბიტურიენტთა განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემის გაანალიზება და მის გადასაჭრელად გარკვეული პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა. მომხსენებელთა მტკიცებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული კონტინგენტის განათლების დონე არ აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო მოთხოვნას და აბიტურიენტების უმეტესი ნაწილი საუნივერსიტეტო განათლების მიღებისთვის მზად არ არის. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა მისაღებ გამოცდებზე საკმაოდ დაბალი ქულები დააგროვეს. მიღებული სტუდენტებიდან სასწავლო პროცესში, პრაქტიკულად, ათამდე მათგანი თუ ჩაერთვება, დანარჩენებს კი საკმაოდ გაუჭირდებათ პროგრამის დაძლევა. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ სხვა ფაკულტეტებზე თავისი არჩევანის შესაბამისად მოხვდნენ ის აბიტურიენტები, რომელთაც მათემატიკასა და უნარ-ჩვევებში მისაღებ გამოცდებზე უფრო მაღალი შეფასებები მიიღეს მაშინ, როცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოხვედრილ აბიტურიენტთა ქულების მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ საგნებში მომზადების მხრივ ყველაზე კარგი კონტინგენტი წელს „იესემის უნივერსიტეტში“ მოხვდა, მეორე ადგილზეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ასევე დიდი პრობლემაა ისიც, რომ არსებული საგამოცდო სისტემა აბიტურიენტს, რომელიც რომელიმე საგანში არ არის მომზადებული, აძლევს იმის საშუალებას, რომ უნარ-ჩვევების გამოცდაზე მიღებული მაღალი ქულის საშუალებით ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში, რაც სტუდენტს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მხრივ გარკვეულ პრობლემებს უქმნის. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თუ უმაღლესი სასწავლებელი სათანადოდ მომზადებულ კადრებს ვერ ზრდის, ეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლთა არაკვალიფიციურობაზე როდი მიუთითებს. ეს იმის ბრალია, რომ ასეთ კონტინგენტს უმაღლეს სასწავლებელში სკოლა აგზავნის“, — განაცხადა დოქტორმა ლევი გეონჯიანმა.

კვლევის პრეზენტაციაზე მომხსენებლებმა დამსწრე აუდიტორიას პრობლემის მოგვარების მიზნით კონკრეტული პროგრამა შესთავაზეს, რის მიხედვითაც, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სურვილისამებრ სკოლებში მოსწავლეებს ლექციებს წაუკითხავენ და პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარებიან. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს სკოლის მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება უკვე გააჩნიათ. მარიამ ლომოური და ლევი გეონჯიანი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ირმის ნახტომი“ ფარგლებში საჯარო სკოლებში მოსწავლეებს ლექციებს უკითხავდნენ. პროექტის დასრულების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობას პროფესორ-მასწავლებლები უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით გააგრძელებენ.

„ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პედაგოგები და მოსწავლეები მონდომებულნი არიან, რომ სწავლებისა და სწავლის დონე გაუმჯობესდეს. ამ კუთხით თავისი სიტყვა უნივერსიტეტმაც უნდა თქვას. პროექტ „ირმის ნახტომის“ ფარგლებში მოსწავლეებთან ლექციების კურსის გაგრძელების რესურსი ამოწურულია, ამდენად, ამ პროექტის აღდგენა უნივერსიტეტს შეუძლია“, — განაცხადა დოქტორმა მარიამ ლომოურმა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კვლევაში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, მოსწავლეებისთვის სასურველი ცოდნის მიღებას ვერც სასწავლო სახელმძღვანელოები უზრუნველყოფენ. მაგალითად, ფიზიკის სასკოლო პროგრამა იმდენად პრიმიტიულია, რომ საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად აბიტურიენტს დამატებითი მომზადება და ინფორმაციის მიღება აუცილებლად ესაჭიროება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამ პრობლემის მოსაგვარებლად წიგნების ელექტრონული ვერსიის შექმნა გადაწყვიტეს, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდება და მათ ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

თსუ-ის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას ინფორმაციით, აბიტურიენტების ზოგადი განათლების პრობლემა არა მარტო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის წინაშე დგას: „მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ ქართული ენის, უცხო ენისა და უნარ-ჩვევების ჩაბარებაა სავალდებულო, ამიტომ მოსწავლეებს სხვა საგნების დაუფლებისთვის ნაკლები მოტივაცია აქვთ. ჩვენ აქტიური, მოტივირებული, მშრომელი, ნიჭიერი აბიტურიენტები გვყავს, მაგრამ მათ აკლიათ ის საბაზისო ცოდნა, რაც სკოლებში უნდა მიეღოთ და რაც უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია. ეს განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეხება. ვფიქრობ, განსახილველია ის წინადადება, რომ მისაღებ გამოცდებს დაემატოს მეოთხე გამოცდა იმ საგანში, რომელიც ამა თუ იმ ფაკულტეტზე პრიორიტეტულია. სავალდებულო მისაღები გამოცდების რიცხვის გაზრდის წინააღმდეგ არც გამოცდების ეროვნული ცენტრია და ამ საკითხზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს“, – განაცხადა ირინე დარჩიამ.

აბიტურიენტების მომზადების დონით მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა არ არის უკმაყოფილო. პროფესორ რომან ჯობავას კვლევის პრეზენტაციას შავი ზღვის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ შიოშვილიც დაესწრო. როგორც გაირკვა, მათ სასწავლებელში შესული კონტინგენტი ინგლისური ენის უნივერსიტეტისთვის შესაფერის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც რამდენიმე სტუდენტს სხვა სასწავლებელში გადასვლაც მოუწია. „აბიტურიენტების განათლების საერთო დონე ძალიან დაეცა. შავი ზღვის უნივერსიტეტში მისაღებად გვინდა დავამატოთ სავალდებულო მეოთხე გამოცდა ისტორიაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩარიცხულმა სტუდენტებმა ელემენტარული ისტორიული მოვლენები არ იციან. უნივერსიტეტში მოსახვედრად ახალგაზრდები სწავლობენ მხოლოდ სამ საგანს, რის გამოც საუნივერსიტეტო განათლების მიღებისთვის მზად არ არიან. სასკოლო სახელმძღვანელოებიც არ არის სათანადო დონეზე შედგენილი. მიმაჩნია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების წარმომადგენლებმა უნდა ჩამოაყალიბონ ერთიანი საბჭო, რომელიც სასწავლო სახელმძღვანელოების შინაარსს განიხილავს და მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა შერჩევის კრიტერიუმებსაც დაადგენს“, — განმარტა თამარ შიოშვილმა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კვლევის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დამსწრე პროფესორ-მასწავლებლებს შორის დისკუსია გაიმართა. განათლების რეფორმასთან დაკავშირებით აუდიტორიის განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად ყველა შეთანხმდა, რომ სკოლის პრობლემა უნივერსიტეტზეც პირდაპირ აისახება. ამდენად, ყველა იმ საკითხზე, რომელიც აბიტურიენტის მომზადების ხარისხს განსაზღვრავს, არც უნივერსიტეტის პროფესურამ უნდა დახუჭოს თვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას განცხადებით, „უნივერსიტეტს არ მართებს იმ პოზიციაზე დგომა, რომ აბიტურიენტების მოუმზადებლობის პრობლემა მხოლოდ სკოლის სატკივარია. სკოლას თუ ღირსეული მასწავლებელი არ ჰყავს, ეს, გარკვეულწილად, უმაღლესი სასწავლებლის პრობლემაცაა. სწორედ უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს მაღალკვალიფიციური პედაგოგების მომზადებას სკოლებისთვის, რომლებიც შემდეგ უმაღლესი სასწავლებლებისთვის სასურველ კადრებს გაზრდიან. ამიტომ თუ არ გვექნა კარგი სკოლა, არ გვექნება კარგი უნივერსიტეტი — ეს არის საერთო წრედი, რომელიც დასახული ამოცანების გადასაჭრელად განათლების სფეროს ყველა რგოლს მობილიზაციისკენ უბიძგებს“, — აღნიშნა რექტორმა.

იმედია, სემინარზე გამოთქმული ჯანსაღი კრიტიკა და პრობლემის გადაჭრის მიზნით გახმოვანებული ინიციატივები შედეგს გამოიღებს და შესაბამისი დაწესებულებები მოსწავლეთა მომზადება-გადამზადების ახალ მეთოდებს შეიმუშავებენ.

ნორჩი გეოგრაფებისთვის ლექცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და ენერგოდაზოგვა“

19 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ნორჩ გეოგრაფთა სკოლაში“ გეოგრაფიის დოქტორმა **გია სოფაძემ** *წაიკითხა ლექცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და ენერგოდაზოგვა“.*

ლექციამ თბილისის საჯარო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია. მსმენელთა შორის იყვნენ თბილისის 195-ე, 116-ე, 29-ე, 31-ე, 85-ე საჯარო სკოლებისა და კერძო სასწავლებლების „გერგეტის“, მერმისის“, „ქორალის“ და „კანდელის“ მოსწავლეები.

ლექტორმა პოპულარულ ენაზე ახსნა, რატომ აირჩია სალექციო თემად „კლიმატის ცვლილება და ენერგოდაზოგვა“, რატომ არ ვიყენებთ სათანადოდ მზის ენერგიას, რა იწვევს გარემოს დაბინძურებასა და კლიმატის ცვალებადობას და რა როლი ენიჭება ადამიანს ამ ცვლილებაში. „ახლავე რომ შევწყვიტოთ გარემოს დაბინძურება, 50 წლის განმავლობაში პროცესები მაინც გაგრძელდება: ისევ მოხდება გლობალური დათბობა, ნიადაგის გამოფიტვა, წყლის ხარისხის შეცვლა, ბიომრავალფეროვნების გაჩანაგება და ა.შ.“ — განაცხადა გია სოფაძემ.

საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს დასაბუთებული ახსნა, თუ რამდენად არარაციონალურად იყენებს საზოგადოება ენერგორესურსებს და რა ზიანი მოაქვს ასეთ დაუდევრობას კლიმატისთვის.

ბატონმა გია სოფაძემ დეტალურად ახსნა, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ ენერგორესურსების დაზოგვისთვის, როგორ უნდა დავიცვათ დედამიწა ენერგიის ზედმეტი ხარჯისგან.

ლექცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეები საკითხის განხილვაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ლექტორის დასმულ კითხვებზე პასუხობდნენ.

31-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგის დარეჯან გოგბერაშვილის თქმით, ეს უაღრესად ბევრისმომცველი ლექცია იყო, რადგან მოსწავლეებმა მათთვის საინტერესო საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. „როდესაც ჩემთვის ცნობილი გახდა ლექციის თემატიკა და ამის შესახებ სკოლაში განვაცხადე, დასწრების სურვილი ძალიან ბევრმა ბავშვმა გამოთქვა. აქ იმყოფება VII-VIII-IX კლასების 26 მოსწავლე. ლექციის თემატიკა სასკოლო პროგრამის თემებსაც ემთხვევა — ამ ეტაპზე VII და IX კლასელებს სწორედ კლიმატსა და ენერგობალანსებს ვასწავლით.

სკოლასა და უნივერსიტეტს შორის ასეთი კონტაქტები ძალზე კარგ შედეგს გამოიღებს და მიხარია, რომ უნივერსიტეტში ასეთი ინიციატივა განხორციელდა. ლექტორები, რომელთაც კონკრეტულ საკითხებში ჩვენზე მეტი ცოდნა აქვთ, ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე საუბრობენ. ვფიქრობ, ეს მეთოდი სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას უფრო შედეგიანს გახდის“, — განაცხადა დარეჯან გოგბერაშვილმა.

ლექციაზე მოსწავლეებმა ნახეს ფილმი, რომელშიც ნაჩვენები იყო – რა მოუვა დედამიწას, თუ მასზე ადამიანები აღარ იცხოვრებენ.

რა გეგმები აქვთ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო სტრუქტურის ჩამოყალიბება. შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების, ტურიზმის, სპორტის, კულტურის და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტები, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მონიტორინგის სამსახურები.

მაია ტორაძე

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის **გიორგი შამათავას** თქმით, საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო დეპარტამენტების საქმიანობა გარკვეულწილად შეფერხდა, თუმცა მუშაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე განახლდა. თვითმმართველობის დელეგატებმა აირჩიეს დეპარტამენტების ხელმძღვანელები და შეადგინეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა ღონისძიებებს ჩაატარებს თვითმმართველობა მიმდინარე სასწავლო წელს. „თითოეულ დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ ერთი თვით ადრე გაწერონ იმ ღონისძიებათა ნუსხა, რის განხორციელებასაც ისინი უახლოესი სამი თვის განმავლობაში აპირებენ. ჩემი ერთ-ერთი მოთხოვნა არის ის, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ღონისძიებები მაქსიმალურად მასშტაბური იყოს და სტუდენტთა დიდი რაოდენობის ჩართვას ითვალისწინებდეს“, — განაცხადა გიორგი შამათავამ ჩვენთან საუბარში. მანვე აღნიშნა, რომ დეპარტამენტების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველობის ბიუჯეტიდან მოხდება მას შემდეგ, რაც თვითმმართველობის აღმასრულებელი პალატა დაადგენს, რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი პროექტები მოთხოვნებს. მათში დეტალურად უნდა იყოს ნაჩვენები, რა მიზნით დაიხარჯება თითოეული გამოყოფილი თეთრი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს მოხდა სტუდენტური თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია, რის შედეგადაც მეტად გააქტიურდა ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობები. მათ გამოეყოთ სამუშაო ოთახები, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეეძლება წარადგინოს პროექტი და მიიღოს ამომწურავი პასუხი მისთვის საინტერესო კითხვებზე. ამასთან, ფაკულტეტებზე თავისი წარმომადგენლები დეპარტამენტებსაც ეყოლებათ. „ამ ცვლილებების მიზანია, მეტად დავუახლოვდეთ სტუდენტობას, ხელი შევუწყოთ მათი ინიციატივების განხორციელებას, მოვისმინოთ პრობლემები და დავეხმაროთ მათ ამ პრობლემების მოგვარებაში. ამ კუთხით თავისი სიტყვა უნდა თქვას სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა“, — განაცხადა გიორგი შამათავამ.

კონკრეტულად რას გეგმავენ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მიმდინარე სასწავლო წელს და როგორი იქნება მათი მუშაობის სპეციფიკა, ამ საკითხებზე დეპარტამენტების ხელმძღვანელები გვესაუბრებიან:

დიმიტრი ნადირაძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების IV კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ჩვენ უკვე გვაქვს იმ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით ყოველწლიურად იმართებოდა. მათ შორის არის ინტელექტუალური თამაშები „რა, სად, როდის“. ასევე დაგეგმილია რამდენიმე კონფერენცია, რომელთაგან ერთი — „საქართველო და გამოწვევები“ დეკემბერში ჩატარდება. დაგეგმილი გვაქვს საჯარო ლექციები, რომელიც მაღლივ კორპუსში გაიმართება. ვაპირებთ ჟურნალ „პირველი სიტყვისა“ და ჟურნალ „თსუ შემოქმედის“ გამოცემის გაგრძელებასაც.

ამის გარდა განსაზღვრულია არასტანდარტული პროექტების მიღება, განხილვა და დაფინანსება. ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც საინტერესო იდეა აქვს, შეუძლია მოგვმართოს. თუ იდეა ღირებულია, ანუ მასშტაბურია და სტუდენტების ჩართვას ითვალისწინებს, მის განხორციელებაში ყველას დავეხმარებით.

ალექსი მერებაშვილი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ჩვენი დეპარტამენტი, ძირითადად, სტუდენტის უფლებათა დაცვაზეა ორიენტირებული და მოწოდებული ვართ, თითოეული სტუდენტის უფლება დავიცვათ. ამ დეპარტამენტთან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა წესდებაშიც. ადრე ფუნქციონირებდა მხოლოდ ცენტრალური ორგანო, რომელიც პირველ კორპუსში იყო განთავსებული. წელს დეპარტამენტს წარმომადგენლები ყველა ფაკულტეტზე ჰყავს.

ჩვენ ვეყრდნობით საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონსა და უნივერსიტეტის წესდებას, რომლებშიც სტუდენტის ყველა უფლება გაწერილია. ჯერჯერობით რომელიმე უფლების დარღვევის თაობაზე განცხადებით არავის მოუმართავს, მაგრამ ვიცით, რომ არის პრობლემები. ამიტომ, ვაპირებთ მეტად გავაქტიურდეთ, შევხვდეთ თითოეული მიმართულების სტუდენტებს და გავაცნოთ ის უფლებები, რაც კანონით აქვთ მინიჭებული. ასევე, გვსურს, დავბეჭდოთ ბუკლეტი, სადაც სტუდენტის უფლებებს დაწვრილებით აღვწერთ. მე მგონია, რომ ჩვენს დეპარტამენტს ექნება უფრო შუამავლის ფუნქცია სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის.

უჩა ჯღამაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ჩვენი დეპარტამენტი სტუდენტებში ყველაზე პოპულარულია. უკვე ჩავატარეთ რამდენიმე ღონისძიება, მაგალითად, შეჯიბრება ქუჩის კალათბურთში (მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე).

სულ მალე დაიწყება შეჯიბრებები ფეხბურთში, რომელშიც ყველა ფაკულტეტიდან 515 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას. ფინალისთვის ვაპირებთ მოვიწვიოთ სტუმრები — მოქმედი სპორტსმენები, რათა სტუდენტები უფრო მეტად დაინტერესდნენ. დაგეგმილი გვაქვს ბილიარდის ტურნირი, შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ზამთრის პერიოდში გვინდა, გუდაურში ან ბაკურიანში ჩავატაროთ ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩავრთოთ ამ ღონისძიებებში, რათა ახალგაზრდებმა ქუჩაში ტყუილად დგომას სპორტი ამჯობინონ.

აკაკი გეწაძე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ქვეყნისთვის თავსმოხვეულმა საომარმა მდგომარეობამ ჩვენც გაგვიჩინა პრობლემები — დაგეგმილმა ღონისძიებებმა გარკვეული დროით გადაიწია. მიუხედავად ამისა, მომდინარე სასწავლო წელს უამრავი ექსკურსია და ექსპედიცია გვაქვს დაგეგმილი და ამისთვის ვემზადებით. ვგეგმავთ ექსპედიციებისთვის ახალი ეკიპირების შეძენას, რომ უფრო ხანგრძლივი დროით შევძლოთ სტუდენტთა წაყვანა. მსურველების რაოდენობა დიდია...

ალექსანდრე სისვაძე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ჩვენი დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა დიდად არ განსხვავდება სხვა დეპარტამენტების მუშაობის სპეციფიკისგან. ვიხილავთ სტუდენტთა საინტერესო იდეებს და ვეხმარებით მათ პროექტების დაწერასა და განხორციელებაში. უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე ყველა ღონისძიებას ვერ ვატარებთ, რადგან დარბაზის უქონლობის გამო ხელი გვეშლება. ამიტომ აქცენტი გადავიტანეთ საჯარო ლექციებზე, რომელსაც ყოველ კვირაში ვმართავთ.

ამ თვეში თსუ-ის II კორპუსში გაიმართება გოდერძი ჩოხელის საღამო. ასევე ვაპირებთ ანსამბლ „ქორალის“ კონცერტის გამართვას. ეს კონცერტები და საღამოები თსუ-ის სტუდენტებისთვის უფასო იქნება.

სალომე ქავთარაძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

— ჩვენ გვევალება თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების გაშუქება და საზოგადოებამდე მიტანა. შესაძლოა, დეპარტამენტებმა ძალიან კარგი ღონისძიებები დაგეგმონ, მაგრამ თუ ამის შესახებ სტუდენტებისათვის ცნობილი არ იქნება, ცხადია, მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

გარდა ამისა, ჩვენი მოვალეობაა ადმინისტრაციასთან ურთიერთობა, ყოველდღიურად შემოსული განცხადებებისა და პროექტების განხილვაში მონაწილეობა.

ვგეგმავთ სხვადასხვა მედიასაშუალებასთან აქტიურ თანამშრომლობას.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენი სამსახური შეხვდა პირველკურსელებს, რომელთაც სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და ამ ორგანიზაციის მუშაობის არსი გავაცანით. მათ ისიც ავუხსენით, რომ ჩვენი კარი ყველა სტუდენტისთვის ყოველთვის ღიაა. შედეგი ძალიან მალე დავინახეთ — მათი აქტიურობა ფაკულტეტების თვითმმართველობებში უკვე იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ I-II კურსელები უფრო აქტიურობენ, ვიდრე ზოგიერთი არჩეული დელეგატი. განსხვავებული აზრი შეიძლება არსებობდეს და ეს გარდაუვალია, მაგრამ თვითმმართველობის მიმართ სტუდენტთა კეთილგანწყობა უკვე იგრძნობა.

ჩვენ ახლახან გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყოველ კვირას გვექნება სტუდენტური ჩანართი, სადაც დაიწერება ჩვენი ღონისძიებების, სტუდენტური ცხოვრების, პრობლემების შესახებ. ასევე, ვაპირებთ აქტიურ თანამშრომლობას თსუ-ის გაზეთთანაც.

საბავშვო უნივერსიტეტი

როგორ ზომავენ და წონიან მოლეკულებსა და ატომებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში აკადემიკოს მათე მირიანაშვილის სახელობის აუდიტორიაში ფიზიკის მორიგი ლექცია გაიმართა. 116-ე, 177-ე, 199-ე და 42-ე სკოლის მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა ილია ლომიძემ მოლეკულებისა და ატომების გაზომვისა და აწონვის შესახებ ლექცია წაუკითხა. ლექციის თემა ბავშვების ინტერესის გათვალისწინებით და სასკოლო პროგრამასთან შეთავსებით შეირჩა. ილია ლომიძემ მოსწავლეებს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა მოლეკულების აღმოჩენისა და მათი არსებობის დამტკიცების პროცესის სირთულეების შესახებ.

ნატო ოგოლაძე

2008 წლის საშემოდგომო სასწავლო სემესტრის მანძილზე მოსწავლეებისთვის რიგით მესამე ლექცია ფიზიკაში 28 ნოემბერს გაიმართა. ლექტორმა მოლეკულებისა და ატომების გაზომვისა და აწონვის შესახებ მათ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა და იმ მეცნიერ-მკვლევარების შესახებ უამბო, რომლებმაც ნაწილაკების აღმოჩენა, მათი არსებობის დამტკიცება და ფიზიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა შეძლეს. ამადეო ავოგადროს, ჟან ბატისტ პერენის, ალბერტ აინშტაინის, მარიან სმოლუხოვსკის სამეცნიერო დამსახურებების გაცნობის გარდა, ილია ლომიძემ მოსწავლეებს მათი მუშაობის მანერისა და განხორციელებული ცდების შესახებ დაწვრილებით უამბო.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა აზრით, დღეისათვის ნაკლებად პოპულარული მეცნიერებებისთვის პროპაგანდის გაწევა „საბავშვო უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი ფუნქციაა. სამწუხაროდ, ფიზიკის შესწავლის მიმართ ინტერესის შენელებამ შესაძლოა მომავალში ამ სამეცნიერო დარგის სპეციალისტების დეფიციტი გამოიწვიოს. ფიზიკოსები ფიქრობენ, რომ პროექტ „საბავშვო უნივერსიტეტის“ დახმარებით, რაც მათ სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობის საშუალებას აძლევს, შეძლებენ ბავშვებში მეცნიერების მიმართ ინტერესის გაღვივებას და ამ სფეროს შესასწავლად გაცილებით მეტი ახალგაზრდის მოზიდვას.

ფიზიკის ლექციის თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა ატომური ფიზიკის ლაბორატორიაში გადაინაცვლეს, სადაც ლაბორატორიის გამგის რამაზ ლომსაძის ხელმძღვანელობით სასწავლო ცდები ჩაატარეს.

„ჩვენ ახალგაზრდებს ცოდნას ვაწვდით და პოპულარიზაციას ვუწევთ ფიზიკას, რომლის მიმართ ინტერესი, ამ ბოლო დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა. ფიზიკის მიმართულების პროფესურა აქტიურად მუშაობს, რათა ამ მეცნიერებით უფრო მეტი ახალგაზრდა დააინტერესოს. ვადგენთ ფიზიკის ამოცანებს, რომლებიც უნივერსიტეტის ვებგვერდზე მომავალ კვირაში განთავსდება. ფიზიკის სავარჯიშოები დასურათებული იქნება და თითოეულ ამოცანას ორი-სამი გვერდი ანოტაცია დაერთვება, რომელშიც განმარტებითი ინფორმაცია იქნება მოცემული“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში რამაზ ლომსაძემ.

მოლეკულებისა და ატომების მასის გაგებისა და მათი მოძრაობის სიჩქარის დადგენის შესახებ ჩატარებულ ლექციას ის მოსწავლეებიც დაესწრნენ, რომლებიც „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართულ ლექციას პირველად ისმენდნენ.

უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეებისთვის სასწავლო კურსი მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება, არდადეგების პერიოდში კი ლექციები უფრო ხშირად ჩატარდება. „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მოღვაწეობას საქართველოს ეროვნული ფონდიც აფინანსებს.

„გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“

საერთაშორისო კონფერენცია

22 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. წინასწარი განაცხადით კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და მოხსენებათა ტექსტები გამოაგზავნა 70 ქართველმა და უცხოელმა მეცნიერ-მკვლევარმა და დოქტორანტმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელმა.

საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა და ქვეყნისთვის მძიმე პერიოდს – საქართველო-რუსეთის კონფლიქტს დაემთხვა. ამიტომ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შექმნილი ძნელბედობის ჟამს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამოინახა სათანადო ძალები ამ კონფერენციის ჩასატარებლად. აქ წარმოდგენილი რუსულენოვანი სტატიები კი იმის დასტურია, რომ მეცნიერებას სამშვიდობო მისია აკისრია. ზოგადად, ფართო იყო უცხოელ მეცნიერთა წარმომადგენლობითი გეოგრაფია, კერძოდ: გერმანია, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, უცხოელმა სტუმრებმა კონფერენციაში უშუალო მონაწილეობა ვერ მიიღეს.

კონფერენციისადმი დიდი ინტერესი გამოხატეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. კერძოდ, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტმა, შავი ზღვის უნივერსიტეტმა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სხვა. პლენარული სხდომა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯ. ჯანჯღავამ გახსნა, კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა თსუ-ის საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლ. ყორღანაშვილი. კონფერენციის მუშაობა სამ სექციაში შემდეგი თემატიკის მიხედვით წარიმართა: გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია: თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები; ეკონომიკური და სოციალური რეფორმები საქართველოში; საქართველოს ინოვაციური და მდგრადი განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში; საქართველო და ევროკავშირი: ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები და ინტეგრაციის პერსპექტივები; სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გეოპოლიტიკური და რეგიონული პრობლემები.

დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შემდეგმა მოხსენებებმა: „ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის განვითარების პროცესში“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ი. გოგორიშვილი), „სახელმწიფოს და ტრანსნაციონალური კორპორაციების ურთიერთობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი), „კორუფციის პრობლემის გლობალიზაცია“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი), „გლობალიზაცია, თანამედროვე მსოფლიო და საქართველო“ (თეუსუ, პროფ. ლ. ჩაგელიშვილი), „ეკონომიკური ინტეგრაცია კავკასიაში: თურქეთის პოზიცია“ (შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფ. ტ. პაპიაშვილი, თეუსუ ასოც. პროფ. ლ. ბერიძე), „გლობალიზაცია და ეროვნული კონკურენტული სტრატეგია“ (გ. ივანიაშვილი, ქ. კრიალაშვილი), „გლობალიზაცია და სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური განვითარება“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ლ. ყორღანაშვილი), „მეცნიერების რეფორმირების და მართვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ფ. წოწკოლაური და თ. ჩუბინიშვილი), „მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგთან ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის თავსებადობის პრობლემები და საზღვრები“ (თსუ სრული პროფ. რ. გველესიანი), „გლობალიზაცია და ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ (თსუ-ის სრული პროფ. ნ. თოდუა, დოქტორანტი რ. აბულაძე), „კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ქვეყნებში“ (თსუ-ის ასოც. პროფ. ი. გაგნიძე), „საქართველოს ფულადსაკრედიტო და საბანკო სექტორის განვითარების მაკრომაჩვენებლების და ინფლაციის ანალიზი 2008 წლის I ნახევარში“ (თსუ-ის ასოც. პროფ. გ. თუთბერიძე) და სხვ.

კონფერენცია თსუ-ის საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის (ხელმძღვანელი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ყორღანაშვილი) ძალისხმევით გაიმართა. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სპეციალობა საქართველოში პირველად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე დამკვიდრდა, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. კათედრა უზრუნველყოფს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროსთვის კადრების მომზადებას სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა). კათედრა თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. მისი წევრები აქტიურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს აწარმოებენ, მათი შედეგები სხვადასხვა დონის კონფერენციებზე წარმოჩინდება. მაგალითად, 12-16 ოქტომბერს პროფესორი ლ. ყორღანაშვილი იმყოფებოდა პეკინში (ჩინეთი), სადაც მონაწილეობა მიიღო პეკინის განათლების საერთაშორისო ცენტრისა და პეკინის ტექნოლოგიებისა და ბიზნესის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ჩინეთის VIII საერთაშორისო სემინარში, რომელშიც მსოფლიოს ყველა კონტინენტის წარმომადგენელი მონაწილეობდა. სემინარის მუშაობა გაშუქდა ჩინეთის ტელევიზიითა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. პროფესორ ლ. ყორღანაშვილის მოხსენება „საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები“ საუკეთესო მოხსენებათა რიცხვში შევიდა და მან სპეციალური სერტიფიკატები დაიმსახურა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურის სურვილია გააგრძელოს მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ეკონომიკური და ბიზნეს-განათლების უზრუნველყოფის ტრადიცია, შრომის საერთაშორისო ბაზრისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან მჭიდრო კავშირში წარმართოს სამეცნიერო კვლევები.

ვფიქრობთ, კონფერენცია გახდება ყოველწლიური და გააგრძელებს სამეცნიერო კვლევის იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელსაც საქართველოში დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი.

დერმატოვენეროლოგთა XIX საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

21 ნოემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის XIX საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავს მიეძღვნა. შეხვედრას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე კოკა ფრუიძეც დაესწრნენ.

შურთხია გეროშვილი

კონფერენციის მუშაობაში ქართველ დერმატოვენეროლოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და აივ/ინფექცია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის კავშირის წარმომადგენლებმა, მათ შორის: ევროპის კავშირის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა, ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორმა აირი პოდერმა, რუსეთის კანისა და ვენსნეულებათა ცენტრალური ს/კ ინსტიტუტის და სახელმწიფო სამედიცინო-სტომატოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ გომბერგმა, უფსალას უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარიუს დომეიკამ, აზერბაიჯანის ა. ალიევის სახელობის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დერმატოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მირ-რიად ჯავად ზადემ და სხვებმა.

კონფერენციის ფარგლებში უცხოელმა და ქართველმა სპეციალისტებმა დერმატოვენეროლოგიის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს. შვედეთის, რუსეთის, ესტონეთის, აზერბაიჯანისა და პოლონეთის დერმატოვენეროლოგებმა ქართველ კოლეგებს თავიანთი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს. შეხვედრის მონაწილეებმა ამ ინფექციებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებზეც ისაუბრეს, რაც მნიშვნელოვნად წაადგება საქართველოში ამ დარგის შემდგომ განვითარებას.

როგორც თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ცისკარიძემ კონფერენციაზე აღნიშნა, ღონისძიება ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოა 2010 წელს საქართველოში დაგეგმილი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და აივ/ინფექცია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის კავშირის კონგრესის მოსამზადებლად. შესაბამისად, ის საკითხები, რომელიც ამ კონფერენციაზე წამოიჭრა, იქნება მცირე ნაწილი იმ გლობალური თემებისა, რომელსაც შემდგომში კონგრესზე განიხილავენ.

ალექსანდრე ცისკარიძის აზრით, ამ კონგრესის საქართველოში ჩატარების გადაწყვეტილება უდავოდ საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის დიდი წარმატებაა და იგი განაპირობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ამ ასოციაციის აქტიურობამ საერთაშორისო არენაზე. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დერმატოვენეროლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანმა ურთიერთობებმა უცხოელ კოლეგებთან.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონფერენციას ესწრებიან საერთაშორისო დონის მკვლევარები. ზოგადად, სქესობრივად გადამდები ინფექციები აქტუალური პრობლემაა არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც. შიდსი — ეს არის სქესობრივად გადამდები ინფექცია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პრობლემის აქტუალობა უაღრესად მაღალია. გარდა ამისა, არის ინფექციები, რომელიც ასევე დიდ პრობლემას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და მათი დროული გამოვლინება და სწორი მკურნალობა ძალიან მნიშვნელოვანია. სქესობრივი გზით გადაეცემა ასევე სხვა ინფექციებიც, მათ შორის, B და C ჰეპატიტი. ამ დაავადებებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეპიდემიის ხასიათი შეიძინა და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მკურნალობის მეთოდების შესაქმნელად დიდი სუფსიდიებია ჩადებული, ჯერჯერობით პრობლემა დაძლეული არ არის“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.

მისი ინფორმაციით, შიდსის გავრცელების მიხედვით საქართველო არ ჩამორჩება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს ინფექციური დაავადებების დეპარტამენტი, რომელსაც შიდსის ცენტრის დირექტორი თენგიზ ცერცვაძე ხელმძღვანელობს.

„განსაკუთრებული დამსახურება ამ დარგის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დერმატოვენეროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს გიორგი გალდავას მიუძღვის, რომლის ინიციატივითაც მრავალ საინტერესო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. ყველა პრობლემატიკა თავს იყრის ინსტიტუტში და საკმაოდ აქტიურად მიდის ბრძოლა ამ დაავადების აღმოსაფხვრელად როგორც პრევენციის, ისე მკურნალობის თვალსაზრისით“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.

სამომავლო შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზების მიზნით სტუმრები ადგილზე გაეცვნენ საქართველოში არსებულ ვითარებას. კონფერენციის მონაწილეები შეხვდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებს და სხვა ოფიციალურ პირებს.

გიორგი გალდავამ კონფერენციის მონაწილეების სახელით ყურადღებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა ღონისძიების სპონსორებს, ფარმაცევტულ კომპანია „გეა“-ს, „ჯელფა“-ს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს კოკა ფრუიძეს და უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას.

ჯერმუკში საერთაშორისო-სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია ჩატარდა

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 15-დან 18 ოქტომბრამდე ქალაქ ჯერმუკში გამართა საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე არქიტექტურისა და მშენებლობის ფუნდამენტური პრობლემები“.



სხდომები მიმდინარეობდა სამი მიმართულებით:

1. არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა და დიზაინი; 2. მშენებლობა, კონსტრუქციათა და შენობათა საინჟინრო უზრუნველყოფა; 3. სამშენებლო მექანიკა და საინჟინრო ჰიდრავლიკა.

კონფერენცია მოხსენებებით გახსნეს: ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ოჰანეს ტოკმაჯიანმა, რესპუბლიკის უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდენტმა ა. ტრჩუნიანმა, რესპუბლიკის მეცნიერების სახელმწიფო კომიტეტის პრეზიდენტმა ს. არუთინიანმა, ქალაქ ჯერმუკის ვიცე-მერმა ს. მარგარიანმა, რუსეთის ფედერაციის მომსახურებისა და ტურიზმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერევნის ფილიალის რექტორმა მ. ასოიანმა და მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა ა. გაზარიანმა.

კონფერენციის გახსნის შემდეგ გაიმართა სამეცნიერო სხდომა, რომელზეც პლენარული მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა: ი. საფარიანმა, ს. ნაზარეთიანმა და თ. ვაშაყმაძემ.

სამეცნიერო შეკრების პერიოდში (სექციურ სხდომებზე) განიხილებოდა ქალაქთმშენებლობის საკითხები, მათ შორის საზღვრისპირა ზონების ძირითადი პრობლემები, უახლესი არქიტექტურის განვითარების ტენდენციები, არქიტექტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და შენარჩუნების საკითხები. განხილული იყო სეისმომედეგი მშენებლობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ახალი სამშენებლო მასალების გამოყენების, სამშენებლო კონსტრუქციების სრულყოფის, მსუბუქი ბეტონის ექსპლუატაციის, ნაგებობათა ხანგამძლეობისა და იმედიანობის, გათვლის თანამედროვე სამშენებლო-კომპიუტერული მეთოდების განვითარებისა და დანერგვის საკითხები, სამშენებლო მექანიკა, საწყლოსნო სისტემათა ერთობლივი ექსპლუატაციის ასპექტები.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 150-ზე მეტი მოხსენება რუსეთის ფედერაციის, საქართველოს, ირანის, ეგვიპტის, სირიისა და სხვა ქვეყნების მიერ, რომელიც სამ ტომად გამოიცა. სამეცნიერო თხზულებათა სამტომეული მიეძღვნა ხუროთმოძღვრებს: რაფაელ ისრაელიანს, ქორუნ აკოფიანსა და ვარაზდატ არუთინიანს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეებს: ვაროს პინაჯიანსა და სიმონ ოვნანიანს და, ასევე, პროფესორებს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეებს: ტორგომ ხაჩატრიანს, ოქსენ საპონჯიანსა და ვაჩე ტოკმანჯიანს.

სამეცნიერო შეკრების მონაწილეები დიდი ინტერესით გაეცვნენ ჯერმუკთან მიმდებარე ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს.

აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციის ორგანიზატორმა, ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ოჰანეს ტოკმაჯიანმა თსუ-ის უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუასა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს რამაზ ბოჭორიშვილს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც იგი მადლიერებას გამოხატავს კონფერენციაში უნივერსიტეტის წარმომადგენლის თამაზ ვაშაყმაძის მონაწილეობის გამო. „სხდომების მსვლელობის დროს პროფესორ ვაშაყმაძის მიერ გაკეთებულმა პლენარულმა და სექციურმა მოხსენებებმა დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაზ ვაშაყმაძის ერთ-ერთი სექციის (სამშენებლო მექანიკა და საინჟინრო ჰიდრავლიკა) თავმჯდომარეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონფერენციის წარმატებას“, — აღნიშნულია წერილში. ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი თსუ-სთან აქტიური თანამშრომლობის სურვილსა და მზადყოფნას გამოთქვამს.

უნივერსიტეტის სტუდენტ-პროგრამისტებს ნიკოლოზ შილოვი გულშემატკივრობს

26 ნოემბერს ქ. ბათუმში გამართულ შეჯიბრში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამისტების პირველმა გუნდმა (ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი, ელდარ ბოგდანოვი, გიორგი ლეკვეიშვილი) მეშვიდე ადგილი დაიკავა და დამაჯერებლად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე შვედეთში (სტოკჰოლმში) გაიმართება. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ფინალში გადის გუნდი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან.

თსუ-ს ზემოხსენებული გუნდი წელს თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული გუნდების რიცხვს. თავად განსაჯეთ - მარტის ბოლოს ეს გუნდი იკავებს მე-3 ადგილს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა ღია ჩემპიონატზე, მაისის დასაწყისში ისევ მე-3 ადგილზე გადის ილია ვეკუას სახელობის მეორე თასზე. ივლისის დასაწყისში ჩვენი ახალგაზრდები ჩადიან კიევში, სადაც მეორე ადგილს იკავებენ გლუშკოვისა და ლებედევის მე-3 საერთაშორისო ოლიმპიადაზე. სექტემბერში ეს ყმაწვილები ქალაქ ვინიცაში იმარჯვებენ პროგრამირებაში სრულიად უკრაინის უმაღლეს სასწავლებელთა ჩემპიონატის ფინალში და ხდებიან უკრაინის 2008 წლის ჩემპიონები. 7 ოქტომბერს ინტერნეტით ჩატარებულ სრულიად ციმბირის ღია ოლიმპიადის შესარჩევ ტურში ჩვენი გუნდი იკავებს მე-5 ადგილს და დამაჯერებლად გადის დასწრებულ ტურში. 8 და 9 ნოემბერს ქალაქ ნოვოსიბირსკში, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა პროგრამირებაში სრულიად ციმბირის ი. პოტოსინის სახელობის ღია ოლიმპიადის დასკვნითი ტური, რომელშიც თსუ-ის გუნდი (ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი, ელდარ ბოგდანოვი, გიორგი ლეკვეიშვილი) მონაწილეობდა. 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ოლიმპიადის საბოლოო შედეგები. თსუ-ის სტუდენტებმა არ უღალატეს წლევანდელ ტრადიციას და კვლავ გამარჯვებულთა რიცხვში აღმოჩნდნენ. ამჯერად მათ მე-3 ადგილი დაიკავეს.

საინტერესოა, რომ თბილისში სტუმრობის დროს ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ბატონმა ნიკოლოზ შილოვმა წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში სამეცნიერო სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ქართველ სტუდენტებს გულშემატკივრობს. გთავაზობთ ბატონ ნიკოლოზ შილოვთან ჩაწერილ ინტერვიუს, რომელშიც ის საქართველოში სტუმრობის მთავარ მოტივაციას ხსნის.

— ვფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ვითარების გამო ადვილი არ იქნებოდა საქართველოში ჩამოსვლაზე დათანხმება. რამ განაპირობა თქვენგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება?

— მიმაჩნია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ჰუმანიტარული ურთიერთობები, მართლმადიდებელ ხალხებსა და ცალკეულ პიროვნებებს შორის კონტაქტები არ უნდა წყდებოდეს მაშინაც, როდესაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დაძაბულია. ამიტომ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ სწორედ ამ ოფიციალურ ურთიერთობათა სირთულის მიზეზით ნოვოსიბირსკში, პროგრამირებაში სრულიად ციმბირის ოლიმპიადის დასწრებულ (ფინალურ) ტურში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან სტუდენტთა გუნდი ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, ოლიმპიადის ჟიურის ყველა წევრმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ყოველი ღონე ეხმარათ, რათა ამ პერსპექტიულ გუნდს ფინალში გამოსვლის საშუალება მისცემოდა. სასიხარულოა, რომ ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაგებით მოეკიდა ჟიურის ამ ინიციატივას. აქვე მინდა გითხრათ, რომ პრობლემის მოგვარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, ილია ვეკუასადმი პატივისცემის, მადლიერების გრძნობამ და მისი ხსოვნისადმი ერთგულებამ.

ინტერესი ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიმართ, ინტერესი პროგრამირებისადმი, როგორც ინტელექტუალური მოღვაწეობის ნაირსახეობისადმი (ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი ერთდროულად), ნიჭიერ ახალგაზრდებთან შეხვედრის მოლოდინი – აი, ის პირადი მოტივები და მიზეზები, რის გამოც სიხარულით დავთანხმდი იმ წინადადებაზე, რომ ვყოფილიყავი ოფიციალური ზედამხედველი ოლიმპიადისა, რომელშიც ქართული გუნდი მონაწილეობდა.

ჩემი ამოცანა მარტივი იყო – გამეკონტროლებინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მხრიდან პროგრამირებაში სრულიად ციმბირის ოლიმპიადის დასწრებული ტურის წესებისა და რეგლამენტის დაცვა. ეს გუნდი მონაწილეობდა ოლიმპიადაში დისტანციურად, ინტერნეტის ქსელის მეშვეობით და მუშაობდა პროგრამირების მხარდაჭერის ასოციაციის ოფისში. როგორც ჟიურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ყველა წესი და რეგლამენტი დაცული იყო. მაგრამ როგორც პროგრამირების მასწავლებელი და საოლიმპიადო ამოცანების მოყვარული, მინდა დავამატო, რომ ძალიან მომეწონა ქართული გუნდის მუშაობის კოლექტიური სტილი. გუნდი „კარგი თამაშით“, დამსახურებულად შევიდა პრიზიორთა რიცხვში (დაიკავა მესამე ადგილი), რამაც, მე, როგორც მისი გულშემატკივარი, გამახარა.

შეჯიბრების შემდეგ მქონდა ურთიერთობა გუნდის წევრებთან, თსუ-ის სტუდენტებთან, ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილთან, ელდარ ბოგდანოვთან, გიორგი ლეკვეიშვილთან. ისინი ძალიან საინტერესო ახალგაზრდები არიან და მათ კარგი პროფესიული პროგრამისტული კულტურა აქვთ. თუმცა, სამწუხაროდ, შეიმჩნეოდა ყოფილი საბჭოთა სივრცის მრავალი უნივერსიტეტის სტუდენტისთვის დამახასიათებელი პროფესიული განათლების ზოგადი ნაკლოვანებაც: მაგალითად, ფუნქციონალურ და ლოგიკურ პროგრამირებაში, პარალელურ გამოთვლათა თეორიაში, პროგრამული სისტემების ანალიზსა, სპეციფიცირებასა და ვერიფიკაციაში.

განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა თსუ-ის სტუდენტთა მწვრთნელთან თეოდორე (თემურ) ზარქუასთან ურთიერთობის დროს. ჩემი აზრით, თსუ-ის გუნდის წარმატება დიდწილად მისი თავდაუზოგავი და უანგარო მუშაობის შედეგია. სამწუხაროა, რომ ბატონი ზარქუას საქმიანობა ემყარება მხოლოდ მის პირად ენთუზიაზმს.

— როგორ გესახებათ ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან?

— ეს იქნებოდა ძალიან საინტერესოც და მნიშვნელოვანიც. პირადად მე, დაინტერესებული ვარ კონტაქტებით იმ ქართველ მეცნიერებთან, რომლებიც ადრე პროგრამების ვერიფიკაციის საკითხებზე მუშაობდნენ. ზოგიერთი მათგანი გავიცანი წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში. მაგალითად, მერაბ ფხოველიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 70-იან წლებში წარმატებულად მუშაობდა დაპროგრამების ენა LISP-ზე დაწერილი პროგრამების ვერიფიკაციის საკითხებზე. სიამოვნებით მოვიწვევდი მას ნოვოსიბირსკში, ხოლო თავად კი პროგრამების თანამედროვე ვერიფიკაციის საკითხებზე ლექციების კურსის წასაკითხად ჩამოვიდოდი საქართველოში.

სამომავლოდ ნოვოსიბირსკში იგეგმება საინტერესო ღონისძიებები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ-პროგრამისტები მიიღებენ მონაწილეობას. პირველ რიგში ეს არის მე-7 საერთაშორისო კონფერენცია — „სისტემური ინფორმატიკის პერსპექტივები“, მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი კომპიუტერულ მეცნიერებებში რუსეთში და ბოლოს, მე-10 საერთაშორისო კონფერენცია პარალელურ გამოთვლით პროცესებში. ყველა ჩამოთვლილ ღონისძიებას აქვს სოლიდური სამეცნიერო რეიტინგი და ყველა მათგანი ითვალისწინებს შრომების გამოქვეყნებას

სერიაში — Lecture Notes In Computer Science (Springer).

გარდა ამისა, ნოვოსიბირსკში ყოველწლიურად ივლისში ტარდება ნორჩ პროგრამისტთა საზაფხულო სკოლა. როგორც ცნობილია ამ სკოლის ჩატარების ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ინფორმატიკის ერთ-ერთმა პიონერმა ანდრეი ერშოვმა. ასე რომ, ჩვენ გაგვიხარდება ამ სკოლაში ვიხილოთ როგორც უფროსი, ასევე, უმცროსი კურსის ქართველი სტუდენტები, რომლებიც ახლა ეცნობიან დაპროგრამების „ზურმუხტებს“.

გახსენება

ნოდარ ჯანაშიას ხსოვნას



თურქოლოგები დავრჩით უხუცესის გარეშე — გარდაიცვალა ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჯანაშია, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, წამყვანი სპეციალისტი, 40 წლის განმავლობაში თურქული ფილოლოგიის კათედრის გამგე.

ნოდარ ჯანაშია დაიბადა 1925 წლის 1 იანვარს. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა საბჭოთა არმიაში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, რაც არაერთი საბრძოლო ჯილდოთი აღინიშნა. დემობილიზაციის შემდეგ 1946 წელს ნოდარ ჯანაშია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის განყოფილებაზე. შემდეგ იგი ამთავრებს ასპირანტურას აკადემიკოს ს. ჯიქიას ხელმძღვანელობით და 1955 წელს იცავს საკანდიდატოს, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაციას.

თურქული გრამატიკის საკითხების წარმატებულ კვლევას ბატონი ნოდარი უხამებდა მხატვრული ლიტერატურის თარგმნას უცხო ენებიდან, რისი დასტურიცაა 20-მდე სქელტანიანი რომანი. ამავე დროს იგი იყო სადისერტაციო საბჭოების, ჟურნალების და კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი, თურქოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი მეუღლე და მამა...

მისი საკვლევი „ლაბორატორია“ ბუნების წიაღშიც იყო, საიდანაც მოპოვებულ ფესვსა და ტოტს ბატონი ნოდარი ხელის ერთი მოსმით მეორე გზობა სიცოცხლეს ანიჭებდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

თურქული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ახალი ეპოქა
უნივერსიტეტი

„ქართული პუბლიცისტიკა“ — წიგნი, რომელიც ყველა თაობას გამოადგება!

ძველი, გაცრეცილი და გაყვითლებული პრესის ფურცლებთან შეხება და ქართული პუბლიცისტიკის ნიმუშების გაცნობა ბიბლიოთეკის დარბაზში, შესაძლოა, ერთგვარად სასიამოვნოც კია, მაგრამ ეს პროცესი მაინც ზედმეტ შრომას მოითხოვს, რასაც თანამედროვე ახალგაზრდა დროის დეფიციტის გამო ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კურსის შესწავლისას, რომელიც თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე იკითხება, განსაკუთრებული მნიშვნელობა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ნაზრევის გაცნობას აქვს. მათი მოღვაწეობა ხომ, გარკვეულწილად, ეპოქის მაჯისცემას განსაზღვრავდა და ყველა იმდროინდელ პრობლემატიკას შეეხებოდა.

შურთხია ბერეშვილი

„წიგნი, რომელიც ყველა თაობას გამოადგება!“ — ასე შეაფასა თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა მარინა ვეკუამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ახალი სახელმძღვანელო — „ქართული პუბლიცისტიკა“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი ასოცირებული პროფესორი დალი ჩიკვილაძეა. ახალი ქრესტომათიის პრეზენტაციას, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 ნოემბერს გაიმართა, ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

ქრესტომათიაში თავმოყრილია სოლომონ დოდაშვილის, ივანე კერესელიძის, ნიკო ავალიშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ნანეიშვილის, ივანე მაჩაბლის, გიორგი წერეთლის, გრიგოლ (გიგა) ყიფშიძის და ნოე ჟორდანიას რჩეული პუბლიცისტური წერილები, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში: „ტფილისის უწყებანი“, „მოამბე“, „ცისკარი“, „მნათობი“, „დროება“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“.

ამ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ქართველ პუბლიცისტთა ნაწარმოებები ნათლად ასახავდა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესს.

დალი ჩიკვილაძე წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ წიგნი ჟურნალისტიკის დეპარტამენტის სტუდენტებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქრესტომათია დახმარებას გაუწევს ყველა იმ მკვლევარსა და ჟურნალისტს, რომელიც ამ ეპოქის შესწავლით დაინტერესდება.

ქალბატონი დალის თქმით, ქრესტომათიის შედგენა XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის სურვილმა განაპირობა.

„სალექციო კურსმა გაბნეული პუბლიცისტური წერილების ერთ წიგნად თავმოყრა და გამოცემა მოითხოვა, რადგანაც სტუდენტებს ეძნელებათ სხვადასხვა ტომეულებში დაბეჭდილი სტატიების მოძიება-დამუშავება. ამიტომაც გადაწყდა ისეთი ქრესტომათიის შედგენა, რომელშიც XIX საუკუნის მთლიანი საზოგადოებრივი პროცესი — სოლომონ დოდაშვილიდან ნოე ჟორდანიას მოღვაწეობამდე მეტ-ნაკლებად წარმოჩნდებოდა.

ქრესტომათიაში შეტანილი წერილები XIX საუკუნის სააზროვნო სივრცის ავ-კარგს გადმოგვცემენ, კერძოდ: საზოგადოების ტკივილს, განათლების დონეს, სიახლეთა მიღების სურვილს, ჟურნალისტის მოვალეობას, ჟურნალ-გაზეთების დანიშნულებას, თავისუფლებისთვის ბრძოლის გზების ძიებასა და მრავალ სხვას“, — აღნიშნავს დალი ჩიკვილაძე. მისი ინფორმაციით, ქრესტომათიაში წარმოდგენილი ბევრი სტატია უშუალოდ ჟურნალ-გაზეთებიდანაა ამოკრებილი და ეს მასალა წიგნის სახით პირველად გამოიცა.

ახალ სახელმძღვანელოს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა, ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ამ წიგნის გამოცემით დიდი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

„წიგნის სარგებლიანობა განისაზღვრება იმით, თუ როგორია მასზე მკითხველის მოთხოვნილება. ამ თვალსაზრისით, ეს სახელმძღვანელო ფასდაუდებელია. მასში თავმოყრილია ძირითადი და არსებითი მასალა XIX საუკუნის მოღვაწეთა შესახებ. წიგნს თან ახლავს ფოტო მასალა. XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკით დაინტერესებულ ჟურნალისტსა თუ მკვლევარს უხდებოდა მასალის ძებნა ცალკეულ გამოცემებში, ტომებსა და ძველ ჟურნალ-გაზეთებში. ამ წიგნის გამოცემით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მასზე თაობები გაიზრდება“, — აღნიშნა რევაზ ბალანჩივაძემ.

ქრესტომათიის მნიშვნელობაზე ისაუბრა ცნობილმა ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმაც, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა წიგნის გაფორმებაში.

„ქალბატონი დალის მიერ გამოცემული წიგნი იმითაც გამოირჩევა, რომ იგი მიახლოებულია ობიექტურ სურათთან. მან სწორი არჩევანი გააკეთა. ეს არის უნიკალური გამოცემა, რომლითაც მრავალი თაობა გაიზრდება. მშურს იმ სტუდენტების, რომლებიც ამ სახელმძღვანელოთი გაეცნობიან XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკას“, — აღნიშნა პაატა ნაცვლიშვილმა.

პროფესორმა ელდარ იბერმა წიგნზე საუბრისას პასკალის ცნობილი გამონათქვამი მოიშველია: „მე დიდი არაფერი გამიკეთებია — მე მხოლოდ დავალაგე!“ მისი აზრით, სახელმძღვანელოს ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ მასალა ისეა სისტემაში მოყვანილი, რომ კარგად ჩანს როგორ ვითარდება XIX საუკუნის პუბლიცისტური აზრი, პუბლიცისტური ოსტატობა და მასთან ერთად ეპოქა.

სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა მაგდა მემანიშვილმა.

„ზოგიერთი პუბლიკაცია, რომლის ცოდნასაც ვთხოვდით სტუდენტებს, საერთოდ არ იყო არც ერთ ტომეულში და ისინი იძულებულნი იყვნენ წაეკითხათ ეს პუბლიკაციები გაზეთებში, რომელიც მხოლოდ ბიბლიოთეკებში ინახება. ახლა შემიძლია ვიყო უფრო მომთხოვნი, რადგან ეს სახელმძღვანელო არსებობს. წიგნი დაიდება ბიბლიოთეკებში და მომავალში, ალბათ, მისი ელექტრონული ვერსიაც შეიქმნება“, — აღნიშნა მაგდა მემანიშვილმა.

როგორც პრეზენტაციაზე პროფესორმა თამაზ ჯოლოგუამ აღნიშნა, ეს წიგნი არის მატიანე XIX საუკუნისა, რადგან ეპოქა ყველაზე მკაფიოდ აისახება პუბლიცისტურ ტექსტში. მისი თქმით, ქრესტომათია სამაგიდო წიგნი გახდება მათთვის, ვინც ამ ეპოქით დაინტერესდება.

ახალი ქრესტომათიის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრეს ჟურნალისტიკის მიმართულების თანამშრომლებმა: ელზა ღომიძემ, ხათუნა ჩარკვიანმა და სხვებმა.

ქალბატონმა დალი ჩიკვილაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ ქრესტომათია დიდი შრომის შედეგად შეიქმნა. მისი ინფორმაციით, ის ფაქტი, რომ წიგნი 12 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოთა გამოსაცემ ნუსხაში მოხვდა, უნივერსიტეტის გამომცემლობის ყოფილი დირექტორის ნუგზარ წიკლაურისა და ჟურნალისტ დავით პაიჭაძის დამსახურებაა.

მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც დახმარება გაუწია სახელმძღვანელოს სრულყოფილად გამოცემის საქმეში. მათ შორის: ვალიდა მექვაბიშვილს, მარინა ლომიძეს, მარი წერეთელს, პაატა ნაცვლიშვილსა და სხვებს.

„დიდი მადლობა ჩემს წინაპრებს, რომლებმაც ბევრჯერ გამიიოლეს ცხოვრება. როდესაც ძალიან გამიჭირდება, ილიას ვკითხულობ. ამ წიგნის გამოცემისას მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მომიხდა, მაგრამ, ალბათ, ისევ მათი დიდი სიყვარულით შევძელი საქმის ბოლომდე მიყვანა“, — განაცხადა დალი ჩიკვილაძემ. მას იმედი აქვს, რომ მკითხველი მალე მეოცე საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის ქრესტომათიასაც იხილავს.

ინიციატივა

„პირველებმა“ დევნილების დასახმარებლად სიონის ბაღში საქველმოქმედო აქცია გამართეს

აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად ახალგაზრდული ორგანიზაცია „პირველების“ ინიციატივით სიონის ბაღში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ღონისძიებაზე ხალხის მოსაზიდად კონცერტიც გაიმართა, რომელშიც ჯგუფი „მგ ზავრები“, ჯეოსტარელები და მუსიკალური კონკურსის „ვარსკვლავების აკადემიის“ წევრები მონაწილეობდნენ. ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გიორგობის დღესასწაულს სპეციალურად დაამთხვია: „23 ნოემბერი სიკეთის კეთების დღეა, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ გიორგობის დღესასწაულზე დევნილებს დახმარების ხელს საზოგადოების დიდი ნაწილი გაუწვდიდა“, – განაცხადეს „პირველებმა“.

ნატო ოგოლაძე

საქველმოქმედო ღონისძიებაზე მისულ საზოგადოებას საკმაოდ დიდი არჩევანის საშუალება ჰქონდა. პლუშის სათამაშოები, მაისურები ცნობილი ქართველი ფეხბურთელებისა და რაგბისტების ავტოგრაფებით, სამკაულები, აქსესუარები, სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთები (ქუდები, თიხის ფიალები, დოქები), სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ნახატები... ნივთების დიდი ნაწილი გამოფენაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიტანეს, ნაწილი კი მხარდამჭერი ორგანიზაციების საშუალებით შეიძინეს. დევნილების დასახმარებლად გამართულ აქციაში სტუდენტებს მხარი დაუჭირეს საბანკო, პოლიტიკური, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა და სპორტისა თუ კულტურის მოღვაწეებმა. „ჩვენი აქციის სახელწოდებაა „ვაშენებთ სახლს“. გვინდოდა, მასში მონაწილეობა რაც შეიძლება უფრო მეტ ადამიანს მიეღო. მთავარია აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულმა მოსახლეობამ იგრძნოს, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ. გამოტანილი ნაკეთობებისა და ნახატების დიდი ნაწილი გაიყიდა, თანაც საკმაოდ მაღალ ფასებში. შემოსული თანხით 75-ე ბაგა-ბაღში შესახლებული დევნილებისთვის გამათბობლების და ზამთრისთვის საჭირო ნივთების შეძენას ვგეგმავთ“, – განაცხადა ახალგაზრდული ორგანიზაცია „პირველების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორმა ანა სამსონიამ.

გიორგობის დღესასწაულზე გამართული საქველმოქმედო ღონისძიება სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. ჯგუფი „მგზავრები“, ჯეოსტარელები და „ვარსკვლავების აკადემიის“ წევრები სიონის ბაღში სასიამოვნო გარემოს შექმნასთან ერთად მყიდველთა მოზიდვასაც ცდილობდნენ.

დევნილების დასახმარებლად მოწყობილ აქციაში „მოძრაობის თეატრიც“ მონაწილეობდა. მსახიობებმა „მხიარული კარნავალი“ წარმოადგინეს. „კარნავალი 30 წუთს გაგრძელდა და საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო, რაც ჩვენი მთავარი მიზანი იყო. ვმონაწილეობდით, ასევე, ჯგუფ „მგზავრების“ მიერ შესრულებულ ნომრებშიც, ყველანაირად ვცდილობდით, ახალგაზრდა „პირველებს“ რაც შეიძლება მეტი ნახატი და სუვენირი გაეყიდათ“, – განაცხადა „მოძრაობის თეატრის“ პიარ-მენეჯერმა ქეთი ბეჟიაშვილმა.

საქველმოქმედო ღონისძიება საღამოს რვა საათისთვის დასრულდა. გამოფენა-გაყიდვის ორგანიზატორებმა აზარტული ადამიანების ინტერესებიც გაითვალისწინეს და კინო-თეატრების ბილეთები გაათამაშეს. მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა, ვინც რამე ნივთს შეიძენდა. მყიდველებს შეეძლოთ ბედი კარაოკესა და ხატვაშიც ეცადათ. პოეზიის მოყვარულებისთვის კი პოეტთა ჯგუფმა „ვარდისფერი ავტობუსი“ საკუთარი ლექსები წაიკითხა.

ახალგაზრდული ორგანიზაცია „პირველები“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს. დაარსებიდან დღემდე მათ უკვე შვიდი საქველმოქმედო აქცია გამართეს. ახალგაზრდები უმეტესად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეხმარებიან. გიორგობის დღესასწაულზე კი საქველმოქმედო აქცია დევნილების დასახმარებლად მოაწყვეს. „პირველებმა“ ღონისძიების გამართვის წინ ბოლნისის ეპისკოპოსის მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევა მიიღეს.

საქველმოქმედო აქციას „ვაშენებთ სახლს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუაც დაესწრო. რექტორმა ახალგაზრდებს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა. „სასიამოვნოა, რომ დევნილების დახმარების იდეა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიდანაც მოდის. უნივერსიტეტი ყოველთვის ასრულებდა ერის ერთგვარ გამაერთიანებელ ფუნქციას. ვისურვებდი, რომ ამ სულისკვეთების ღონისძიებები ინტენსიურად გაიმართოს. დევნილების მიმართ გამოხატული სოლიდარობა მხოლოდ საზოგადოების გაჭირვებული ფენების დახმარება არ არის, ეს ქართული საზოგადოების გამაერთიანებელ მუხტსაც შეიცავს. მსგავსი ღონისძიებები ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარია. ამის იმედს ახალგაზრდული სახეების სიმრავლე გვაძლევს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „პირველები“ საქველმოქმედო აქცია თბილისის მერიის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციის, რაგბის კავშირის, სტუდია „ფორმულა კრეატივისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით განახორციელა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგვისტოს მოვლენებს ლექციათა ციკლი მიეძღვნა

1935 წელს აჭარაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა — ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელსაც 1938 წელს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა. ხოლო 1945 წელს მის ბაზაზე პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, რასაც საზოგადოებაში ფართო რეზონანსი მოჰყვა. 1977 წელს საფუძველი ჩაეყარა ახალი, ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობას, ხოლო 1990 წელს შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს წარმატებით ახორციელებს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე კონკურენტუნარიანი სპეციალობების მომზადებას. სტუდენტებს აქ შეუძლიათ ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება მიიღონ და სწავლების სამივე ეტაპზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები შეასრულონ.

მერი ელენი

ალიოშა გაკურაძე, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:

— უნივერსიტეტი ჩვენს სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. ჩვენთან ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა თვითგანვითარების, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების, მათი პრობლემების გადაჭრისა და უფლებების დაცვისთვის.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა განათლებისა და მეცნიერების ხარისხის სრულყოფა და შედეგად, ზოგადევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქცევა. აქ სამეცნიერო კვლევითი პროცესების მართვა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, ჰუმანურობა, გამჭვირვალობა, სუბორდინაცია, სამართლიანობა და ა.შ.

ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიზანია კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია სტუდენტებზე, საზოგადოებაზე და, ამასთანავე, სახელმწიფო მოთხოვნებს გამოხატავს.

ნოდარ ბარამიძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რექტორის მოადგილე:

— უნივერსიტეტში, სასწავლო და კვლევითი მუშაობისთვის კარგი ბაზაა შექმნილი. შეივსო და დაიხვეწა სწავლების ყველა საფეხური. მივიღეთ და შევიმუშავეთ სადოქტორო დისერტაციების დაცვის დებულება. შევადგინეთ და გამოვეცით წიგნი „სტუდენტის სამახსოვრო“, რომელშიც საინტერესოდ არის წარმოდგენილი მთელი ჩვენი უნივერსიტეტის სტრუქტურა, სპეციალობების მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები, სწავლის დონე, სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი და მათი თვითმმართველობის სტრუქტურაში საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტების უფლებები. აქტიურად მუშაობს სპორტისა და კულტურის ცენტრი. ვაკეთებთ ფოტოკოლაჟს, შემდეგ კი მიმოვიხილავთ და ვმსჯელობთ საჭირბოროტო საკითხებზე. ჩემი აზრით, მხოლოდ ასეა შესაძლებელი საერთო საქმის კარგად კეთება.

ლელა თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

— მიმდინარე სასწავლო წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებულია. აგვისტოს მოვლენებმა, რუსეთის აგრესიამ, როგორც მთელი საქართველო, ისე ჩვენც შეგვძრა, სწორედ ამიტომ, სასწავლო წლის პირველი შეხვედრა სტუდენტებთან ყველა ფაკულტეტზე დაიწყო ლექციით თემაზე: „საქართველო თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში“. გაიმართა ლექციების ციკლი: „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „აფხაზეთი და სამაჩაბლო შუა საუკუნეებში“, „საქართველოს ეკლესია — ქვეყნის ერთიანობის საფუძველი“, „ქართული ენა — ერის ერთიანობის სიმბოლო“, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წამებულნი“. გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“, „ჭაბუკებად დარჩნენ მარად“ და სხვა.

ვმუშაობთ ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე: სულ ახლახან უნივერსიტეტისა და ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო კვლევების განხორციელებას.

უნივერსიტეტში ჯანდაცვის ფაკულტეტის სახით ახალი სტრუქტურული ერთეული ჩამოყალიბდა. ახალი სასწავლო წლიდან დაწესდა სახელობითი სტიპენდიები, რომლებიც სტუდენტებს კონკურსის შედეგად მიენიჭებათ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ეწოდა ილია ჭავჭავაძის სახელი, 55-ე აუდიტორიას შოთა რუსთაველისა და 238-ე აუდიტორიას ტბელ აბუსერისძის სახელი. ფარული კენჭისყრით, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე შეიქმნა სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს ახორციელებს, აწყობს ინტელექტუალურ ლიტერატურულ საღამოებს, გამოფენებს, გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს. სოციალურად დაუცველ სტუდენტთა დასახმარებლად სპეციალური პროგრამები მოქმედებს. მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები სწავლის საფასურს არ იხდიან.

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებს 9 ფაკულტეტი ახორციელებს, ესენია: სოციალური, ჰუმანიტარული, მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ჯანდაცვის, ხელოვნების, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, სასოფლო-სამეურნეო და საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობათა სამსახური, გამომცემლობა, კულტურისა და სპორტის ცენტრი, საბუღალტრო, ბიზნესისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სკოლები, იურიდიული კლინიკა, ფსიქოლოგიური სამსახური და უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი „გლოსა“.

მილოცვა

გამოჩენილ ქართველ გეოგრაფს ზურაბ ტატაშიძეს 80 წელი შეუსრულდა

გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ამჟამად მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის კათედრის ყოფილ გამგეს, პროფესორს, მრავალი სამეცნიერო და სამთავრობო ჯილდოს კავალერს ზურაბ კონსტანტინეს ძე ტატაშიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

მომადლებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიპყრო თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. 1951 წელს დაამთავრა ზემოაღნიშნული ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, 1955 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მდ. ყვირილას აუზის გეომორფოლოგიას მიეძღვნა. მისი სამეცნიერო საქმიანობა ფართო სპექტრით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში წარიმართა. მან ინსტიტუტში შექმნა კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია. მისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება გეომორფოლოგიის, კარსტმცოდნეობის და სპელეოლოგიის პრობლემებს. ახალი ათონის კარსტული მღვიმის აღმოჩენის, შესწავლისა და კეთილმოწყობისათვის მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა ყოფილი სსრკ სახელმწიფო პრემია.

სადოქტორო დისერტაცია ბატონმა ზურაბმა გეოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას მიუძღვნა — „საქართველოს კარსტული მღვიმეების მორფოლოგიური ანალიზი“, რომელიც 1974 წელს წარმატებით დაიცვა.

მის უმნიშვნელოვანეს ნაშრომთაგან ამჟამად მხოლოდ რამოდენიმეს ჩამოვთვლით: საქართველოს კარსტული მღვიმეები, თბ. 1976; ახალი ათონის მღვიმური სისტემა, თბ. 1983; ბზიფის მასივის კარსტი და მღვიმეები, თბ. 1988; გეომორფოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1996, და სხვ.

ბატონი ზურაბის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა XVIII ს. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ატლასი (XVIII), მისივე „საქართველოს გეოგრაფია“ და ამ მეცნიერისადმი მიძღვნილი სპეციალური კრებული „ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფია“, (1997წ.). ამ მეცნიერულმა გამოცემებმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა პროფესორ ზ. ტატაშიძის თაოსნობით და მისივე თანაავტორობით გამოცემულმა VI, VII და X კლასის სახელმძღვანელოებმა „დედამიწა ჩვენი პლანეტა“, „კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია“ და „გეოგრაფიის შესავალი და გეოგრაფიული კვლევა“. აღნიშნული სახელმძღვანელოები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული სასკოლო სახელმძღვანელოების კონკურსში გამარჯვებულია.

ბატონი ზურაბი არის უბადლო ლექტორი და სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის საყვარელი პედაგოგი. ის წლების განმავლობაში თავის მდიდარ ცოდნას უშურველად გადასცემს სტუდენტ ახალგაზრდობას.

ბატონ ზურაბს მჭიდრო და ნაყოფიერი სამეცნიერო კონტაქტები აქვს ახლო და შორეული საზღვარგარეთის გეოგრაფიულ ცენტრებთან. მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიმართა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-სემინარი. იგი განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. უანგაროდ ეხმარება მათ სამეცნიერო მუშაობის წარმართვაში. მისი ხელმძღვანელობით არაერთი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი მომზადდა.

ბატონი ზურაბი იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სესის წევრი.

ბატონი ზურაბი არაჩვეულებრივი პიროვნება, მშვიდი, სიკეთისა და სათნოების განსახიერებაა, საოცარი პიროვნული სითბოთი დაჯილდოებული, კოლეგებისა და მეგობრებისათვის თავდადებული, ერთგული მეუღლე, საუკეთესო მამა და ბაბუაა. კვლავაც ხანგრძლივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებთ ბატონ ზურაბს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსების და გარემოს დაცვის მიმართულების სრული პროფ. ზ. სეფერთელაძე

გახსენება

ია ფხაკაძე — პიროვნება, მეცნიერი და პედაგოგი

ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ და, განსაკუთრებით, რომანულმა ფილოლოგიამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი რომანისტი, მეცნიერი და პედაგოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოში ფრანგული ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და რომანისტიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ია ფხაკაძე.

მართალია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 50-იან წლებში მოსულ თაობას მრავლად ჰყავდა ნიჭიერი, განათლებული, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები, მაგრამ ია ფხაკაძე მათ შორის თავისი ნიჭით გამორჩეული იყო და რა დასანანია, რომ დღეს მასზე გამოსათხოვარი წერილის დაწერა გვიხდება.

ძნელია ქალბატონ იას მეცნიერულ დამსახურებაზე საუბარი, იმდენად დიდი და მრავალფეროვანია მისი განვლილი მეცნიერული გზა და ავტორიტეტი. თანმიმდევრული ფუნდამენტური გამოკვლევებით, სამეცნიერო შრომით მან დიდი წვლილი შეიტანა რომანული ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების კუთხით. დიდია სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვი, რომლის ოფიციალური თუ არაოფიციალური ხელმძღვანელი და კონსულტანტი ქალბატონი ია იყო.

საყურადღებოა მისი, როგორც პედაგოგის დამსახურება ახალგაზრდების აღზრდისა და პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში. არ მოიძებნება ფრანგული ენის სპეციალისტი საქართველოში, რომელსაც არ ეამაყებოდეს, რომ იგი ქალბატონ ია ფხაკაძის სტუდენტი ან ასპირანტი იყო. ლექცია მისთვის ის ასპარეზი გახლდათ, სადაც მთლიანად წარმოჩნდებოდა როგორც პიროვნება, მეცნიერი და პედაგოგი.

ქალბატონი ია უშუალოდ უზიარებდა ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას მეგობრებსა და კოლეგებს, ახალგაზრდებს. მას მუდამ გვერდში ედგა მეუღლე, ბატონი ირაკლი სურგულაძე — შესანიშნავი ვაჟკაცი, მეცნიერი, მთარგმნელი. თითქოს ორივე ერთმანეთს ეჯიბრებოდა სიყვარულისა და სიკეთის თესვაში და რაოდენ ძნელია თითოეული ჩვენთაგანისთვის — მეგობრებისა და კოლეგებისთვის მათთან განშორება. ქალბატონი იას ერუდიცია, გასაოცარი ანალიზური აზროვნება და უდიდესი შრომის უნარი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გაჰყვა. ის აქტიურ სამეცნიერო მუშაობას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა, რაც საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მიუხედავად პიროვნული სიმტკიცისა, მძიმე სენს ვეღარ გაუძლო, მხოლოდ რამდენიმე დღე იავადმყოფა და თავისი მეუღლის გვერდით ჰპოვა განსასვენებელი.

ბრიტანეთის მუზეუმის მკვლევართა ჯგუფმა სამხრეთ ლივანში, საპორტო ქალაქ სიდონის შემოგარენში აღმოაჩინა ქანაანელი მეომრის ჩონჩხი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1800 წლითაა დათარიღებული. იგი მშვენივრადაა შენახული. მას ხელში შუბი უჭირავს. გარდა ამისა, სამარხში სწრაფად გადაადგილების უამრავი საშუალება და მათი შესაქმნელი იარაღებიც მოიძებნა. ექსპედიციის ხელმძღვანელმა კლოდ სერალმა განაცხადა, რომ ამ ადგილას რამდენიმე კულტურული ფენა გაითხარა, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციის ნაწილია. შესაბამისად, ეს კვლევა, ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.



„მანქანები ადამიანის ინტელექტის დონეს 2029 წლისათვის მიაღწევს“, — განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა გამომგონებელმა რეი კურცჰვაილმა. კერძოდ კი, კაცობრიობა ახალი აღმოჩენის ზღვარზე დგას, რომელიც საშუალებას მისცემს უშველებელი ინფორმაციის მატარებელი ჩიპები პირდაპირ თავის ტვინში გადაინერგოს. მეცნიერის შეფასებით, 2029 წლისთვის ადამიანის ტოლფასი ხელოვნური ინტელექტი შეიქმნება, რომელსაც ემოციების განცდის უნარიც ექნება. მომავლისთვის გამომგონებელი „ჭკვიანი“ ნანორობოტების გაჩენასაც ვარაუდობს, რომელიც ტვინში კაპილარების საშუალებით შეაღწევს. ეს ადამიანებს ფანტასტიკურ შესაძლებლობებს გაუხსნის, ამით ისინი შეძლებენ ყოველივე კომპიუტერული სისწრაფით გათვალონ, უამრავი ინფორმაცია დაიმახსოვრონ და ვირტუალურ სამყაროს ხელსაწყოების გარეშე, საკუთარი ნერვული სისტემით დაუკავშირდნენ. ექსპერტმა „მანქანათა აჯანყების“ შესაძლებლობა გამორიცხა. მისი აზრით, ცივილიზაცია ადამიანური და ხელოვნური ინტელექტების შეუღლების გზით წავა და ორგანიზმში ისეთ მოწყობილობებს ჩანერგავს, რაც გონებრივ შესაძლებლობებსაც აამაღლებს და ჯანმრთელობასაც დაიცავს. „კიბორგების გაჩენის პერსპექტივას ასე თავზარდაცემულები ნუ შეხედავთ, ჩვენი ცივილიზაცია ხომ უკვე ისედაც ადამიანურ-მანქანურია და მათ უკვე ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ასამაღლებლად ვიყენებთ. უბრალოდ, კაცობრიობის შემდეგი ნაბიჯი მათი შეუღლება იქნება,“ — განაცხადა გამომგონებელმა.

ამერიკის აერო-კოსმოსური სააგენტოს NASA-ს 50 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ლექციაზე ცნობილმა ფიზიკოსმა სტივენ ჰოკინგმა დედამიწის მცხოვრებლებს მზის სისტემის პლანეტათა უფრო სწრაფი კოლონიალიზაციისკენ მოუწოდა. მისი აზრით, კოსმოსის ათვისებისათვის ბიუჯეტის ათჯერ გაზრდაა საჭირო და ამ შემთხვევაშიც კი ეს მსოფლიოს ბიუჯეტის მეოთხედზე ნაკლები იქნება. ჰოკინგს მიაჩნია, რომ ეკოლოგიური და ენერგეტიკული მზარდი საფრთხის წინაშე, კოსმოსის სწრაფი ათვისება თავდაცვის მნიშვნელოვანი პუნქტი გახდება. ყველაზე სასწრაფო პუნქტად კი ცნობილი მეცნიერი მთვარის კოლონიალიზაციას ასახელებს, რომელიც სასტარტო მოედნად უნდა გადაიქცეს და მზის სისტემის ათვისება, უპირველეს ყოვლისა კი, მარსზე გაფრენა, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. როგორც ცნობილია, მარსს გაყინული წყლის დიდი მარაგი აქვს და დედამიწელთა დასახლებები პირველად სწორედ აქ უნდა შეიქმნას. ჰოკინსმა ხაზი გაუსვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიდოს NASA-ს გეგმა, რომელიც მთვარის კოლონიალიზაციას 2020 წლისთვის აპირებს, რადგან 2030 წელს კაცობრიობამ უკვე მარსის ათვისება უნდა დაიწყოს.

ამერიკელი ოფთალმოლოგების აზრით, მჭიდროდ შეკრული ჰალსტუხის ან ყელსახვევის ხმარება შესაძლებელია სიბრმავის მიზეზი გახდეს. იგი იმ ვენას აწვება, რომლის წყალობითაც თვალის ფსკერზე წნევა იმატებს, ეს კი გლაუკომის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მათი აზრით, იმ მამაკაცების 75%-ს, ვინც ჰალსტუხს სისტემატურად ატარებს, მხედველობა მალე უფუჭდება, 65%-ს გლაუკომა უკვე განვითარებული აქვს, საერთოდ კი, 70%-თვის ასეთი პოტენციური შესაძლებლობა ძალიან მაღალია. მაგრად მოჭერილი ჰალსტუხი ან პერანგის საყელო სამ წუთში თვალის ფსკერზე წნევას 2-4-ჯერ ზრდის. ეს კი განსაკუთრებით იმ მამაკაცებისთვისაა საშიში, ვისაც შესამჩნევად სქელი კისერი აქვთ. ოფთალმოლოგები მამაკაცებს ურჩევენ ჰალსტუხის კვანძი მაქსიმალურად მოუშვან და თუკი შესაძლებელია, ყოველდღე ნუ ატარებენ.



ესპანელმა ტამპლიერებმა რომის პაპს სასამართლოში უჩივლეს. ასოციაცია „ქრისტეს ტაძრის სუვერენული ორდენის“ (OSTS) წევრებს თავისი თავი შუა საუკუნეების იმ ბერ-რაინდული ორდენის მემკვიდრეებად მიაჩნიათ, რომელიც დღევანდელი პაპის ერთ-ერთი წინამორბედის, კლიმენტ V-ს გადაწყვეტილებით გაანადგურეს. სარჩელის ავტორები მოითხოვენ ტამპლიერთა ორდენის ლიკვიდაცია უკანონობად ჩაითვალოს და ორდენის ქონების მითვისების ფაქტიც დადასტურდეს. ეს ქონება კი 2008 წლის ფასებით ას მილიარდ ევროს შეადგენს. ესპანეთში იურიდიულად რეგისტრირებული „სუვერენული ორდენის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ასეთ დიდ კომპენსაციას არ მოითხოვს, რადგან არ სურს კათოლიკურ ეკლესიას „ფინანსური კრახი“ მოუმზადოს. მათი მონაცემებით, ტამპლიერებს, ლიკვიდაციის პერიოდში, მთელს ევროპაში ცხრა ათასამდე მამული ეკუთვნოდა, რომელიც ესპანეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და პოლონეთის ტერიტორიებზე იყო გაფანტული.



ზარმაცების საუკუნოვანი ოცნება — მიიღონ ტაბლეტი, რომელიც ფიზკულტურას და სპორტს შეუცვლის, როგორც ჩანს, უკვე ახდა. ჟურნალ Cell-ის განცხადებით, ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც ფიტნესს შეცვლის, სპორტი კი შეიძლება საერთოდ გაანადგუროს. როგორც ცნობილია, ჭარბი წონა დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. გენური ინჟინერიის პროფესორი დონალდ ევანსი ჭარბ წონასთან ბრძოლის ერთ-ერთი ფანატიკოსია. ათიოდე წლის წინ სწორედ მან აღმოაჩინა PPAR-დელტა გენი, რომელიც იმავე სახელწოდების ცილის გამოყოფას უწყობს ხელს. ეს ცილა კი, თავის მხრივ, ცხიმების ცვლას არეგულირებს. ცილის გამოყოფის დარეგულირებით შესაძლებელია მისი აქტივიზირება, რაც ხელს შეუწყობს ცხიმების წვას ან მის შენელებას, რაც უდავოდ ცხიმის დაგროვებასა და გასუქებასთან მიგვიყვანს. ჯერ კიდევ 2004 წელს პროფესორის გამოყვანილი მარათონელი თაგვები ორჯერ უფრო სწრაფად და მეტ მანძილს დარბოდნენ, ვიდრე მისი რუხი თანამოძმეები, თანაც მშვენიერი კუნთები შეიძინეს და რამდენიც არ უნდა ეჭამათ, გრამს არ იმატებდნენ. და აი, ოთხი წლის შემდეგ, უკვე გაჩნდა ტაბლეტი, რომელსაც რიგითი ადამიანის სპორტსმენ-მარათონელად ან ტოპ-მოდელად გადაქცევა შეუძლია. ამ აღმოჩენამ მსოფლიოში დიდი დისკუსია გამოიწვია. განსაკუთრებით შეშფოთებულია საერთაშორისო ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც ჯერ ვერ გაუგია — ახალი პრეპარატი დოპინგად ჩათვალოს თუ არა.

მსოფლიო ბიზნესი, როგორც ჩანს, ფლეშების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანია SanDisk-ის მიერ შეკვეთილი გამოკვლევების შედეგად სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ორგანიზაციის თანამშრომელთა ოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტი კოორპორაციული მასალის გადასატანად პირად ფლეშებს იყენებს. მათივე დასკვნით, ყველაზე ხშირად პირად ფლეშებზე შემკვეთთა მონაცემები, ფინანსური ინფორმაცია, მარკეტინგული გეგმები, ინტელექტუალური საკუთრება და პროგრამათა კოდები ხვდება. კომპანიის ერთ-ერთი დირექტორის ჯილ მაიდვორსის განცხადებით, ამგვარი ქმედება ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას, კომერციული საიდუმლოს გამჟღავნებას და ფინანსურ დანაკარგებს უწყობს ხელს. „კომპანიის ხელმძღვანელობამ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ფლეშების გამოყენებაზე მონიტორინგი დააწესოს“, — განაცხადა მან.

კალიფორნიის სამეცნიერო კონფერენციაზე (Neuroscience) მეცნიერთა ჯგუფმა განაცხადა, რომ მაიმუნის ტვინიდან ინტერნეტით ბრძანების პირდაპირ გადაცემის სისტემა შექმნეს. მათ გადანერგეს ელექტროდები მაკაკა-რეზუსის ტვინის იმ მონაკვეთში, რომელიც ფეხების მოძრაობას აკონტროლებს. სიგნალი სამხრეთ კალორნიას შტატიდან ინტერნეტით გადაიცა იაპონიაში, სადაც კიოტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, თავის მხრივ, წყვილი რობოტიზირებული ფეხი დაამზადეს. ექსპერიმენტის შედეგად გამოჩნდა, რომ მაკაკა-რეზუსის ტვინმა ათი ათასი კილომეტრით დაშორებული ფეხები აამოძრავა. მეცნიერების განცხადებით, ამ ტექნიკის გამოყენება სპეციალური ინპლანტანტების შესაქმნელად შეიძლება, რაც პარალიზებულ ადამიანს საშუალებას მისცემს — პროტეზები პირდაპირ ტვინით მართოს. ოღონდ ცოტა გაუგებარია, ინტერნეტი როგორ უნდა გამოიყენონ.

ქარის ტურბინა ადამიანებში ყოველთვის მოძრავ ფრთებიანი გიგანტური კონსტრუქციის ასოციაციას იწვევს. გამომგონებელმა დუგ სელსამ სრულიად ახალი მოდელი Sky Serpent შექმნა, რომელსაც რამდენიმე მცირე ზომის როტორი მოძრავ ღერძზე აქვს დამაგრებული. ასეთი გენერატორის სიმძლავრე, დაახლოებით, წისქვილისას უტოლდება, სამაგიეროდ მის მომზადებას ათჯერ უფრო ნაკლები მასალა სჭირდება. როტორების სამაგრი ღერძის სიგრძე სურვილისამებრ იცვლება და იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება, როტორებიც განსხვავებული ზომის მაგრდება. ასეთი მოდელი, ვთქვათ, სახლის სახურავზე შეიძლება მოეწყოს. 45 სანტიმეტრიან 10 როტორის მქონე Sky Serpent–ს 100-დან 400 ვატამდე ენერგიის გამომუშავება შეუძლია.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34